საერთო გაზეთი

№42 (405) • 9 ნოემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



ვინ დაიცავს საქართველოს ჩინელების შემოსევისგან?

რამდენი მინიჩინური „სახელმწიფოა“ საქართველოში, რომლებზეც საქართველოს კანონები, ფაქტობრივად, არ ვრცელდება

„ესე ამბავი ქართული ჩინს ქვასა ზედა წერია...“

მელორ სტურუა: ჰილარი და დონალდი – ჯადოქარი და ლუციფერის აჩრდილი

როჯერ პილატი: ღმერთის იმედი მაქვს, რომ არ მოგვიწევს სროლა. მაგრამ პირადად მე, თუ საჭირო გახდება, ამაზე არც დავფიქრდები

პოლიტიკური სატარაკნეთი და ბიძინა ივანიშვილის სასწაულმოქმედი „დიხლოფოსი“

„გირჩი“ მზადაა „ქართულ ოცნებასთან“ ითანამშრომლოს

დავით უსუფაშვილის დიდი პოლიტიკური აფიორა

შევარდნაძისა და ნაციონალების დროს საქართველოდან 50-55 მილიარდი დოლარია გატანილი

საინვესტიციო პოლოკოსტი

„თითქმის ყველა სკოლაში არიან სატანისტი ბავშვები. ამის შესახებ იციან სკოლის დირექტორებმაც...

ჰილარი და დონალდი - ჯადოქარი და ლუციფერის აჩრდილი

როჯერ პილატი: ღმერთის იმედი მაქვს, რომ არ მოგვიწევს სროლა. მაგრამ პირადად მე, თუ საჭირო გახდება, ამაზე არც დავფიქრდები

სამშაბათს, 8 ნოემბერს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე — საპრეზიდენტო არჩევნები იმართება. თეთრი სახლის ბინადარი ან ჰილარი კლინტონი გახდება, ან დონალდ ტრამპი. და ისევ და ისევ, როგორც ამბობენ, Tertium non datur — მესამე შეუძლებელია.

ღმერთო, რატომ დაემთხვა საპრეზიდენტო არჩევნები 8 ნოემბერს? ამ დღეს უნდა მივიდე Regents-ის ჰოსპიტალში მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (მრტ) ფანტასტიკური აპარატით გამოკვლევაზე, რომლის დაწყებამდე გეკითხებიან, ხომ არ გაწუხებთ კლაუსტროფობია და თქვენთვის რა მუსიკა შევუკვეთოთო (ჩემი არჩევანი კლასიკური ჯაზია).

თუმცა მრტ სულაც არ არის უბედურება, მისი მეასედი ნაწილიც კი. საქმე ის არის, რომ 8 ნოემბერს ჩემი მეუღლის დაბადების დღეა, და ასეთ დროს მხოლოდ და მხოლოდ კლასიკური ჯაზით თავს ვერ დაიძვრენ. ერთი სიტყვით, ირგვლივ ყველგან კლაუსტროფობიაა.

ეს სრულად გამოსცადეს საკუთარ თავზე დაზვერვის ფედერალური სააგენტოს აგენტებმაც მისი დირექტორის, ჯეიმს კომის მეთაურობით. კომმი რესპუბლიკურ კონგრესს უპატაკა: ადრინდელივით, არ არსებობს საფუძველი იმისთვის, რომ კლინტონი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს, თუმცა მისი საქციელი „უკიდურესი უპასუხისმგებლობით“ გამოირჩეოდა.

ფედერალური სააგენტოსგან მიღებული ინდულგენციის შემდეგ ჰილარი მთელ ამერიკაში დასუნსულებდა. სიკვდილის წინ სუნთქვით გულს ვერ იჯერებ. არჩევნების წინ ბევრ რამეს ვერ იტყვი. აეროპორტები და არენები, სტუდენტური კამპუსები და შავკანიანთა ეკლესიები... და ყველგან ჰილარია, დაზვერვის ფედერალური ბიუროს ბორკილებისგან თავდახსნილი, ყველგან რომ ყვიროდა და იხვეწებოდა, ხმა მომეციათო.

მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ რესპუბლიკელების კანდიდატი დონალდ ტრამპი და მისი მეწყვილე გუბერნატორი მაიკ პენსი. ორივე უფრო დრამატული ტონალობით მაუწყებლობდა. ტრამპისეული ნაციონალიზმის კონსერვატორული ბრენდისთვის არჩევნები, ამბობდნენ ისინი, ეს არის „ახლა ან არასდროს“.

ფლორიდაში გამოსვლისას, ტრამპი გაიძახოდა: „მაქვს პატივი ყველაზე მძლავრ ტემპერამენტს ვფლობდე ყველა მათგანს შორის, ვისაც ოდესმე კენჭი უყრია პრეზიდენტობაზე!“ ტრამპის ტემპერამენტისგან ჩაზნექილ უოლ-სტრიტზე, ზედიზედ ცხრა დღის განმავლობაში (ეს ერთგვარი რეკორდია), დოუ-ჯონსის ინდექსი ეცემოდა. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომისტი საიმონ ჯონსონი წინასწარმეტყველებდა, რომ ტრამპის გამარჯვება „ბირჟის კრახს გამოიწვევს და მთელ მსოფლიოს რეცესიის უფსკრულში გადაჩეხავსო“.

მაგრამ ტრამპმა თავი აიწყვიტა, ჰილარის სისხლის სამართლის დამნაშავე უწოდა და მისი ციხეში ჩასმა მოითხოვა. იგი კლინტონს ლუციფერის განსახიერებად წარმოაჩენს. ტრამპის რადიოდამქაში რაშ ლიმბო არწმუნებს თავის მსმენელებს, რომ ჰილარის პრეზიდენტად არჩევა ნაწლავების გადახლართვას დამმართებს და ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეს შემიმოკლებსო. თავისი შიშის დასტურად თან ციტატები მოჰყავდა კუდიანების შელოცვებიდან.

მართალია XXI საუკუნეა, მაგრამ კუდიანები თეთრი სახლისკენ ილტვიან. კლინტონს კუდიანების საზოგადოების უმაღლეს ქურუმად მოიხსენიებენ, ოღონდ მათი წინაპრებისგან განსხვავებით, ჯიბეებს დოლარებით ივსებენ. „თქვენ გინდათ, რომ ეს კუდიანი ოთხი წელიწადი ჩვენი პრეზიდენტი იყოს?“ — შეძრწუნებულია რესპუბლიკური გაზეთის ერთ-ერთი რედაქტორი.

ტრამპის თქმით, კლინტონსა და დანარჩენ კუდიანებს მართავს დემონი (ლუციფერი). ჰელოუნის ღამეს ამერიკაში დემონი დასეირნობდა. მართალია, ამჯერად კუდიანები ცეცხლზე არ დაუწვავთ, როგორც ეს მოხდა პერუს ერთ-ერთ სოფელში. თუმცა კომენტატორი ალექს ჯონსი ფიქრობს, რომ „ქალბატონი კლინტონი — ეს არის ქვესკნელის დემონ-ფსიქოპატი, რომელიც, როგორც კი თეთრ სახლში დასახლდება, მთელ ჩვენს პლანეტას დაღუპავს“.

დემოკრატებიც იყენებენ ლუციფერს და მას ტრამპს ადარებენ. ღვთის ხელით შექმნილ სამყაროში არსებობს 1692 წლის სასამართლოს გადაწყვეტილება „სასტიკი, ტრაბახა (!), შერყვნილი და ანჩხლი“ კაცის საქმეზე, კაცისა, რომელიც ნამდვილად ჰგავს ტრამპს. ის, როგორც ირკვევა, „თავის დაძვრენის, ორსახოვნებისა და სიყალბის“ ხელოვნებას ფლობდა და ტრამპის მსგავსად „მარჯვედ იყენებდა მძიმე იარაღს, მიუხედავად იმისა, რომ გასაოცრად პატარა ხელები ჰქონდა... ის იყო ზეადამიანური არსება, ჯადოქრებს შორის ყველაზე სახელგანთქმული, მათი „ხროვის“ ბელადი“. როგორც ტრამპი. „ყველა ელოდა მის გასამართლებას. ის სეილემში ჩამოახრჩვეს“.

როგორ სწყურიათ ტრამპის აღსასრული.

თუმცა სხვები ამტკიცებენ, მაგალითად, სტესი შიფი, ავტორი ნაწარმოებისა „კლეოპატრა“ და „ჯადოქრები: ეჭვები, ღალატი და ისტერია“, რომ თუ პენსილვანიის ავენიუზე მდებარე თეთრ სახლში ქალი გამეფდება, ეს „ჯადოქრობის შტორმის“ მაუწყებელი იქნება.

8 ნოემბერი, არჩევნებისა და ჩემი მეუღლის დაბადების დღე, ჰელოუნად იქცა. კუდიანების გაუთავებელი შეთქმულებებია ტელეეკრანებზე, სადაც ბოლო დღეების წინასაარჩევნო რეკლამამ ჯადოქრობის ყველა რეკორდი დაამხო. ჯოზეფ ფარა, ახალი ამბების ვებგვერდის World No Daily-ის რედაქტორი და მმართველი, მოთქვამს „თეთრ სახლში ამ ჯადოქრის“ ოთხ წელიწადზე. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ბევრს მართლაც სჯერა კლინტონის ჯადოქრული თილისმა-ჯადოების.

ტრამპი კონტრშეტევას ორ ფრონტზე ახორციელებს. ერთი მხრივ, უტევს პროფესიონალ მებრძოლებსა და შვარცენეგერებს. მეორე მხრივ, ხალხს მისი „სათუთი სულის“ შესახებ უყვებიან ცოლი მელანია და ქალიშვილი ივანკა. ორივე ლამაზმანი. ყურს დაუგდებ, აბა რა! არა, არა, — თვალებს მიაპყრობ!

დანტეს ჯოჯოხეთი და ჯადოქრები მხოლოდ ხელოვნება და ლიტერატურა როდია. გრინვილში, მისისიპის შტატში, არჩევნების წინა დღეებში შავკანიანთა ეკლესია დაწვეს. მათთვის კი, „ვინც ვერ მიხვდა“, დატოვეს გზავნილი: „ხმა მიეცით ტრამპს“.

სადაც არიან შვარცენეგერები, იქვე არიან ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის „მეორე ცვლილების“ დამცველები და მათი ავანგარდი — მეთოფეთა ნაციონალური ასოციაცია, რომელსაც ტრამპი მოუწოდებდა, კლინტონისთვის ესროლათ (მოგვიანებით ეს ამბავი „ხუმრობად“ მონათლა). მაგრამ არჩევნებამდე ორი დღით ადრე საიდუმლო სამსახურის აგენტებმა, რომლებიც ტრამპს იცავენ, სწრაფად გაათრიეს იგი ტრიბუნიდან, იმიტომ რომ, იქ ხალხის მასაში ვიღაცას პოსტოლეტი აღმოაჩნდა. მალევე გაირკვა, რომ არანაირი პისტოლეტი არ ყოფილა, და ტრამპი ისევ გამოაბრძანეს ტრიბუნასთან.

არჩევნებისწინა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებით გაირკვა, რომ დაზვერვის ფედერალური ბიუროს დახმარებით ტრამპი კლინტონს მიუახლოვდა. თუმცა ამ უკანასკნელს მაინც უპირატესობა აქვს.

რა იქნება? ტრამპი ამტკიცებს, რომ არჩევნები შეიძლება გააყალბონ. ეს მტკიცება ძალზე სახიფათოა. კოლორადო სპრინგში ტრამპის მომხრეები ამბობენ, თუ კლინტონი გაიმარჯვებს, ვაშინგტონისკენ მარშით მსვლელობას მოვაწყობთო. „ჩვენს ხელთ არსებულ ყველანაირ ძალას გამოვიყენებთ, რომ კლინტონი თეთრი სახლიდან გამოვაძევოთ, რადგან იქ ყოფნა მას არ ეკუთვნის“, — აცხადებს შეუდრეკელი ტრამპოლოგი ჯერედ ჰოლბრუკი.

და ის მარტო არ არის. მეორე „შეუდრეკელი“ როჯერ პილატი „ახალი რევოლუციური ომის“ მოწოდებით გამოდის. ამბობს, ღმერთის იმედი მაქვს, რომ არ მოგვიწევს სროლა. მაგრამ პირადად მე, თუ საჭირო გახდება, ამაზე არც დავფიქრდებიო“

აი რატომ არ არის 8 ნოემბერი არჩევნების დასასრული, 8 ნოემბერი მისი გაგრძელებაა.

მელორ სტურუა,
მინესოტა, აშშ

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

პოლიტიკური საზარაკნეთი და ბიძინა ივანიშვილის სასწაულმოქმედი „დიხლოფოსი“

არა, მაინც ეს რა ქნა ბიძინა ივანიშვილმა, რატომ დაიდო ჩვენი ცოდვა? ვიყავით ზოგჯერ აღშფოთებულები, ზოგჯერ — შეშფოთებულები, ალაგ-ალაგ ერთმანეთს ვუტყაპუნებდით კიდეც, ლანძღვა ხომ ორ შაურად გვქონდა და არ ჩაგვიკლა მთელი სანახაობა? ეს კი არა და, ჭორაობისა და ფანტაზიორობის დილიხორიც კი ჩაკლა ამ არამცალობით, მთლიანობაში კი ერთმანეთს ასწრებდნენ.

შემდეგ, თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიაო და ტარაკნებივით გამოშლილები თითქოს ვირთხებად გადააქცია, საკუთარივე პარტიიდან გაქცეულები, ზოგი, ვინც გამოკვეთილად ფეხმ-მძიმე აღმოჩნდა, ადგილზე დარჩა პირდაფჩენილი ნაპირზე ამოგდებული ღლავივით, ხოლო, ვინც შვენიერად ჟრიამულა ქვეყანაში, ახლა მხოლოდ მკითხავი სონასა და ლელა კაკულიას იმედზელა ვართ დარჩენილები, ეგებ რამე გვანიშნონ ისეთი, მარცხენა წარბის შეთამაშებამ რომ მოგვიწიოს. ის, რომ ირაკლი კობახიძე თურმე ლელა კაკულიასგან იღებს ენერგიას, მაგრამ ამის შესახებ კობახიძეს წარმოდგენაც არ აქვს, ვერ აღმოჩნდა სახალისო, ერთი დღე იცოცხლა მისტიკური შინაარსის საკბილომ და გაფუჭდა დახლზევე.

რა გინდოდა ბიძინაჩემო, რას გვერჩოდი, ჩვენისთანა ბედნიერი განა იყოს სადმე ერი?

ჯერ ხომ, თითქოს „დიხლოფოსი“ უჭირავს ხელშიო, ჭუპრები ჩაკლა პარკებშივე და შემდეგ, ტარაკანებივით გამოყარა ყველა კუთხე-კუნჭულიდან თუკი სადმე ერთი „ნაციონალი“ მაინც იყო შეყუჟული. ამას რა უჭირს, ეს გამოყრილი „ნაციონალები“ წითელი და შავი ტარაკანებივით გააცალკევა და მიასია ერთმანეთს. შემდეგ, ამ გამოცალკავებულებსაც მიასხურა რაღაც და ბერთოლეს მარილივით დაშალა. ისეთი სასწაული რამ ასხურა, „მულო შენ გეუბნები, რძალო შენ გაიგონესა“ და „დომინოს პრინციპით“ პრინციპით ერთი მეორეს მიყოლებით თავისით დაიშალნენ ცალკეული პარტიები. ხალხმა კი, მიაძახა, ბოლო ვინც გამოხვალთ მაგ თქვენი პარტიებიდან, დენის, გაზის და შუქის გამორთვა არ დაგავიწყდეთო, მაგრამ გაიგონა ვინმემ? — ხან ჯგუფურად გამორბოდნენ, ხან შედარებით ფეხ-მსუბუქები და ჯიბემძიმეები იყვნენ, დაჰკრეს ის მსუბუქი ფეხი და ისეთ „საზღვარგარეთებში“ წავიდნენ, დასახელება და მისამართი რომ არ ითქმის.

კაცი იფიქრებდა, ეს მთელი უცნაურობები მესიზმრება, რადგან დღეს, 31 ოქტომბრის ღამეს ჰელოუინის დღესასწაული იწყება და ამიტომ მიჩნდება ტარაკნებისა და ვირთხების ასოციაციაო. ამ ღამეს იმ სამყაროში მცხოვრები მიცვალებულები ბრუნდებიან (კელტების რწმენით) დედამიწაზე, ჩვენთან კი, პირიქით მოხდა, პოლიტიკურად მკვდარი ცოცხლები გადაბარგდნენ პოლიტიკურ მოუსავლეთში,

საინტერესოა, ნეტავ, რამდენი მათგანი ნატრობს, აფსუს, კვაბად მაინც გადავექციე 30 ოქტომბერსვე ამ ბიძინაჩვენს და 31 ოქტომბერს არ მოვსწრებოდი ასე თავსლაფდასხმული, რა იყო ახლა ეს, ვის რაში ვჭირდები მოსიარულე გვამადო?

კი, ასე იფიქრებენ, აბა, როგორი მოსასმენია ერეკლე კოდუას ნაცოლარი და „რუსთავი-2-ის სახე“, ნანუკა ჟორჟოლიანი, ხელისუფლებას საქვეყნოდ რომ მიულოცავს გამარჯვებას და შენ, მის „შეუვალ ოპოზიციას“, ჩაგიქირქილებს, „საბოლოოდ გაბანძდიო“... ან მეგი გოცირიძე რომ გამოგიქვეყნებს ბატონმა ბიძინამ, მაგრამ ხომ ჩაგხადათ ყველა პროდასავლურ ოპოზიციას საქვეყნოდო“...

ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, 2011 წლის 5 დეკემბერს კობა სუბელიანის ინტერვიუზე მიწერილ კომენტარებს გაეცნო ბატონი ივანიშვილი საფუძვლიანად და ქართული „ეროვნული დიხლოფოსის“ გამოყენება ამიტომ გადაწყვიტა. კი, ნამდვილად ასე ეწერა კომენტარებში, რომ კობა სუბელიანი ტარაკანაა (შესაბამისად, მისი პარტიული მეგობრებიც), ტარაკნებს კი, განსხვავებით ბაღლინჯოებისგან, „დიხლოფოსს“ ასხამენ, თუმცა, რადგან „დიხლოფოსი“ რუსული წარმოებისაა, რეკომენდაციას იძლეოდა მავანი, რომ „ეროვნული დიხლოფოსით“ უნდა შეწამლულიყვნენ.

სანამ ახალ პარლამენტს მუშაობა დაუწყია და მათი საქმიანობის მკაცრ კრიტიკაზე გადავსულვართ, ვინც ხუმრობის ხასიათზე ვართ, ვიხუმროთ, რატომაც არა, ტირილსა და „თავო ჩვენოს“ გლოვას ხომ სჯობს?

ხალხი ლაღობს, შაყირობს და ერთობა, თან დრო და დროს ბატონ ივანიშვილს შეუძახებენ ხოლმე:L „მოვკვდით უსაქმურობით! ოჰ, ბიძინა, შენ მოგეცა

ჩვენი ცოდვა რომ საგინებელი აღარავინ დაგვიტოვე-ო!“

ყველა თავისას „მოთქვამს“, რაც მთლიანობაში „ბიძინა საკვირველმოქმედის“ შექმნილი საერთო მხიარულებაა:

„აწი რაღა გვეშველება, ოდესის გუბერნატორი თუ შემოგვეშველება ზოგჯერ, თორემ გაფუჭდა საქმე...“

„გვიყურა ამ კაცმა (ივანიშვილმა — გ.ჩ), ხმას არავინ იღებდა, ერთეულები ვკიოდით აქ და რა მერე? ადგა და მიუჯირყვნა დედები ზოგიერთებს და ზოგიც რიგში დადგეს. რატომღაც, „ნაცანალების“ რიგი მგონია უახლოეს ოთხ წელში...“

ბისგან მალე ყველა ქსოვას დავიწყებთ!“

„რესპუბლიკელებმა“, ბოლობოლო დამრჩენ-წამსვლელებისა დალიეს და ჩაყუჩდნენ?“

„ვიფიქრე, ამ არასამთავრობოებს მაინც დავერევი მთელი ძალით და ვაგინებ, ცოტა გულს მოვიოხებო და ესენიც სხვანაირად აჟღუტულდნენ სადაც წავასწარი; „რუსთავი-2-ს“ მივუბრუნდი, ამათ მაინც ვაგინებ, შეერგებათ მაინცო და გაოგნებულს გინების სიტყვები დამავიწყდა ისე აქებდნენ რობიკო სტურუას...“

„ბოკერია დამანახეთ და ნაცემი რომეო საჯაია ასევე ნაცემ აყუყი მინაშვილთან ერთად (ზელიონკაშესხმული საყვარელიძე არ მინდა), როგორ იყო ივანიშვილს რომ მიმართავდნენ არ გაიქცე ქვეყნიდან, არ დაგიჭერთო?

„ესენი ახლა ვინ არიან, მიშამიდრეკილები?“

„რამე მოვიფიქროთ სანერვიულო, თორემ ხომ ხედავთ, დავწყდით კარგ ხასიათზე ყოფნით...“

„მოკლედ, ერთი იოკო ონო იყო „ბიტლები“ რომ დაშალა და მეორე ბიძინა თავისი „ბუტკით“, მაგრამ იმან 4-კაციანი დაშალა და ამის დაშლილებს რა დათვლის“

„უცნაურად საკვირველმოქმედია ბიძინაჩვენი, აბა, რა არის?“

გიორგი ჩხეიძე

„მართლა გენიოსი ყოფილა...“

„მარტივი არითმეტიკული გამოთვლებით, მგონია, რომ ორ წელში ყველა მისაჯირყვნს მიჯირყვნის, ოღონდ, ჯერ ჩვენი „სექს-ბომბა“ პრეზიდენტის რიგია...“

„უკვე ის დროა, „ნაცებიდან“ სასწრაფოდ „მარგველაზე“ გადავიდეთ, თორემ მოწყენილობა...“

P.S სანამ ეს წერილი გამოქვეყნდებოდა, მიხეილ სააკაშვილი გადადგა ოდესის გუბერნატორობიდან, რასაც მალე უკრაინაში დაბანდებული მთელი „ნაცკადრებიც“ მიჰყვება. დავიჯეროთ ბიძინა ივანიშვილის სასწაულმოქმედი „დიხლოფოსი“ უკრაინასაც მისწვდა?

„ესე ამბავი ქართული ჩინს ქვასა ზედა წერია...“

ვინ დაიცავს საქართველოს ჩინელების შემოსევისგან?

რამდენი მინიჩინური „სახელმწიფოა“ საქართველოში, რომლებზეც საქართველოს კანონები, ფაქტობრივად, არ ვრცელდება

2 ნოემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში ჩინური კომპანიის თანამშრომლების მიერ ქართველი მუშების სასტიკად ცემისა და დასახიჩრების ფაქტმა შარშან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული ორი წერილი გაგვახსენა. ერთი ჩინური კომპანიის მიერ წარმოებულ მშენებლობაზე ქართველი მუშის დაღუპვის ფაქტს ეხებოდა, ხოლო მეორე ზოგადად, ჩინური კომპანიების წარმოებულ მშენებლობებზე დასაქმებული ქართველი მუშების მდგომარეობას.

2012 წლის 30 მარტს საქართველოს ყოფილ მთავრობას, მერიასა და ჩინურ კორპორაცია „ჰუალინგს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ჩინურ კომპანიას ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის ოლიმპიური ქალაქი უნდა აეშენებინა.

მიხეილ სააკაშვილი პირადად შეხვდა ჩინურ დელეგაციას და კონტრაქტზე ხელმოწერის ცერემონიას დაესწრო. თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 420 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოიყო და მძშენებლობა დაიწყო. 2015 წლის 9 მარტს, ოლიმპიური ქალაქის მშენებლობაზე, უბედური შემთხვევა მოხდა—ხარაჩოდან 40 წლის მუშა ლევან მაღრაძე გადმოვარდა. მამაკაცმა გადმოვარდნის შედეგად, თავის ქალა დაიზიანა და ზუსტად ერთ თვეში, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. გარდაცვლილ მუშას მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი დარჩა, ამიტომ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის, ოჯახმა კომპანიას მიმართა. პასუხად, „ჰუალინგმა“ მომხდარზე პასუხისმგებლობა მთლიანად მოიხსნა და კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარი განაცხადა. „საერთო გაზეთთან“ ინტერვიუში გარდაცვლილის მეუღლე მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში უსაფრთხოების ნორმების დარღვევასა და ქართველი მუშების მონურ მდგომარეობაზე ამახვილებდა ყურადღებას. მაპა ხვედელიძის თქმით, მშენებლობაზე, სადაც არც ჩაფხუტები და არც დამცავი ბადეები არ არსებობდა, ქართველ მუშებს 20 ლარად მონებივით ამუშავებდნენ, ჩინელებს კი დღეში 80 ლარს უხდიდნენ.

— ლევანს ხშირად უთქვამს ქართველ მუშებს 20 და 30 ლარად მონებივით ამუშავებდნენ და ჩინელ მუშებს დღეში 80 ლარს უხდიდნენ. ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა და არც დაურეკავთ, სამძიმარზეც არავინ მოსულა. თითქოს წიწილა მოკვდა, არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ. იმის გამო, რომ ჩინურ კომპანიას მუშების აღჭურვილობის შეძენაზე ფული დაეზოგა, დავკარგეთ შრომისმოყვარე, უპატიოსნესი ახალგაზრდა კაცი. ჩემი მეუღლის მკურნალობის ხარჯები საყოველთაო დაზღვევამ და მერიამ აანაზღაურა. კომპანიას მხოლოდ 5000 ლარის გადახდა მოუწია და ისიც ადვოკატების უდიდესი ბრძოლის შედეგად.

გარდაცვლილი მუშის ინტერესების დამცველი ადვოკატი თამარ სადრაძე:

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „ჰუალინგ ჯგუფის“ მიერ წარმოებულ მშენებლობაზე დარღვეულია ყველა სამშენებლო ნორმა და სტანდარტი. კომპანიას არ გააჩნია ჩაფხუტები, დამჭერი ზონარები, დამცავი ბადეები და ა.შ. კომპანია, რომელმაც ვერ უზრუნველყო მუშის უსაფრთხოება, ვალდებულია, რომ ლევან მაღრაძის ობლად დარჩენილ ბავშვს და შრომისუუნარო მეუღლეს მიყენებული ზარალი აუნაზღაუროს, რადგან ეს იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, რომელსაც მეუღლე და სამი წლის შვილი დარჩა. კომპანია, რომელსაც აბსოლუტურად ყველა სტანდარტი დარღვეული აქვს და მუშებს ხელშეკრულებების გარეშე, მონებივით ამუშავებს, გვეუბნება, რომ არაფერს გადაიხდის, რადგან მუშის ჩამოვარდნაში ბრალი არ მიუძღვის. ვაპირებთ, რომ საწარმოო ტრამვის საფუძველზე გარდაცვლილი ადამიანის ოჯახისთვის კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით სასამართლოს მივმართოთ. ასევე, მოვითხოვთ უმკაცრესად დაისაჯოს ყველა ადამიანი, რომელიც მუშების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი იყო. გვესმის, რომ ისეთი მსხვილი ინვესტორის დაკარგვა, რომელსაც უკვე 100 მილიონ დოლარზე მეტის ინვესტიცია აქვს განხორციელებული, ნებისმიერი ხელისუფლებისთვის დიდი დანაკარგი იქნებოდა, მაგრამ კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს და ინვესტორმა, რომელი ქვეყნიდანაც არ უნდა იყოს და რა თანხაც არ უნდა ჰქონდეს ჩადებული, ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი უნდა აგოს.

ჩინური კორპორაცია „ჰუალინგის“ მიერ უხარისხოდ ჩატარებულ სამუშაოზე და მშენებლობაზე დასაქმებული ქართველი მუშების გაუსაძლის მდგომარეობაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა-ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე გვესაუბრა.

— ჩემთვის ცნობილია, რომ ოლიმპიური ქალაქისა თუ სხვა მშენებლობებზე ჩინურ კომპანიებს იაფი მუშახელის სახით პატიმრები ჩამოჰყავთ, რომლებსაც პირველ ეტაპზე, დღეში 20 დოლარს უხდიან. როგორც ვიცი, ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე დასაქმებული ჩინელი პატიმრები ვაშლიჯვრის დასახლებაში მდებარე სასტუმროში ცხოვრობდნენ. საპატიმრო ვადის გასვლის შემდეგ, გადადიან 50 დოლარიან ანაზღაურებაზე, ზოგ შემთხვევაში კი 80 და 100 დოლარსაც კი უხდიან. იგივე სამუშაოების შესრულებაში, ქართველი მუშა 20 ლარს იღებს და იმასაც თვეობით უგვიანებენ. ხარაჩოებიდან გადმოვარდნილ და დაღუპულ მუშებზე აღარაფერს ვიტყვი.. ეს სხვა სტრუქტურების შესწავლის საგანია. როცა ჩინელ მუშას ყოველთვიურად მაღალ ხელფასს უხდი და ადგილობრივ მუშახელს თითქმის უფასოდ ამუშავებ, ამას კრიმინალი და ქვეყნის აბუჩად აგდება ქვია. სამწუხაროა, რომ საქართველო იქცა საცდელ პოლიგონად, სადაც ჩინელსაც და ირანელსაც ყველაფრის კეთების უფლება აქვს და ვერავინ უბატონოდ ხმას ვერ გასცემს. ის, რომ ჩინური კომპანიები საქართველოში ინვესტიციას ახორციელებენ, ჩვენი მოქალაქეების დაცინვისა და აბუჩად აგდების უფლებას არავის აძლევს. ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. რაც შეეხება ხარაგაულში მომხდარ ფაქტს, ეს უკვე ყველანაირ ზღვარს სცილდება და კომენტარის გაკეთებაც კი მიჭირს. იმედს ვიტოვებ, რომ მომხდარს უმკაცრესი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება.

„თქვენ მარტო არ ხართ. სოლიდარობა ზვარეს! სოლიდარობა მუშებს.“ „თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა“, “მოვითხოვთ რეალურ შრომის ინსპექციას“, „მშრომელთა სიცოცხლე საფრთხეშია“ - ამ ლოზუნგებით, თბილისში აქციამსვლელობა გაიმართა. აქციის მონაწილეები სოფელ ზვარეში მომხდარის გასაპროტესტებლად, „ბრითიშ პეტროლეუმის“ ოფისთან შეიკრიბნენ და საქართველოს რკინიგზის შენობისკენ მსვლელობა მოაწყეს. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ: ადგილობრივი მენეჯმენტის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას და მომხდარისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას. ამის გარდა, რკინიგზის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას, იმის გარკვევას, თუ რა გზით შემოვიდა საქართველოში კონკრეტული დამსაქმებელთა ჯგუფი და ა.შ. სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა და „აუდიტორია 115“-ის წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში აღნიშნა, რომ ზვარეს თემას შოვინისტური ხასიათი არ უნდა მიეცეს, რადგან სოციალური ჩაგვრის ფაქტები წმინდა ქართულ გარემოშიც მრავლად გვხვდება. ლევან ლორთქიფანიძე რამდენიმე თვის წინ მომხდარ გაფიცვას იხსენებს და დარწმუნებულია, რომ 2 ნოემბრის ინციდენტი ჩინური კომპანიის მხრიდან შურისძიებას უკავშირდება.

ამდენი წელია, სხვადასხვა ტელევიზიის ეთერით შრომით ურთიერთობებში არსებული ჩაგვრის, სოციალური შევიწროვებისა და დისკრიმინაციის შესახებ გესაუბრებით, მაგრამ ზვარეში მომხდარი, როცა დამსაქმებლები დასაქმებულებს „არმატურით“ და ხორცის საკეპი ნაჯახით დაერივნენ, ყველა ზღვარს სცილდება. მემარცხენეები რადიკალურად ვემიჯნებით ყველა ნაციონალისტურ დისკურსს, რადგან გვაქვს ფაქტები, როგორ ჩაგრავს

ქართველი ქართველს, როგორ ურტყამს, როგორ აგდებს მატარებლის ქვეშ და სიკვდილისა და შიმშილისთვის წირავს. ზვარეს შემთხვევაში, მთავარი ნაციონალური ფაქტორი კი არა, სოციალური ჩაგვრაა. როცა დიდი შემოსავლის ხალხი და მათ მიერ დაქირავებული ბიუროკრატია პატარა შემოსავლის ადამიანებს ჩაგრავს. ეს დიდი შემოსავალი კი ხან ქართველს აქვს, ხან რუსს, ხან სომეხს უკრაინელს და როგორც ამბობენ ზოგიერთი ინვესტორი მარშალის კუნძულებიდანაც გვყავს. აქვე გეტყვით, რომ მუშებს, რომლებიც კატორღულ შრომას ეწევიან, მხოლოდ 300-400 ლარიანი ხელფასი აქვთ. ამას ემატება ტრაგედია, როცა ექვსი ადამიანი ფაქტობრივად, სასიკვდილოდ არის განწირული. აბსოლუტური ტყუილია, რომ ქართველი მუშები შეშას იპარავდნენ, მაგრამ მართალიც რომ იყოს, ამის გამო, ნაჯახით უნდა გაეკიდო და ზურგში ურტყა? საქმე ის გახლავთ, რომ თვენახევრის წინ ჩინეთის სახელმწიფო კომპანიის მიერ დასაქმებულმა ქართველმა მუშებმა, გაფიცვა მოაწყვეს. ამის გამო, კომპანიამ შენიშვნა მიიღო და ეს ძველი ბოღმა და შურისძიების სურვილი გამოჰყვათ. მაშინ მუშებისთვის უთქვამთ, ახლა შეგრჩათ, მაგრამ მერე ვნახოთო. აი, ესაა მომხდარის რეალური მიზეზი.

სიტუაცია, რომელშიც აღმოვჩნდით, ნეოკოლონიალიზმის გამოხატულებაა. ოღონდ ჩინეთს არ ეწყინოს, ოღონდ არ გავაბრაზოთ და მოდი, მივაფუჩეჩოთ ეს საქმეო.. ამ დროს, მთელი ევროპა ამერიკასთან და კანადასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების წინააღმდეგ არის აჯანყებული. ევროპელები ამბობენ, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებს ძლიერი სახელმწიფო და ძლიერი სარეგულაციო დისციპლინა უნდა დახვდეს, რომ შემოსულმა პროდუქციამ ადგილობრივი წარმოება არ გააჩეროს და უმუშევრობა არ გამოიწვიოს. ჩვენ ყველაფრისთვის და ნებისმიერ ფასად მზად ვართ. ოღონდ გამოგვიყენონ, ოღონდ ჩვენი რესურსები აითვისონ, ოღონდ ჩვენი შრომა მიითვისონ და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას უპირობოდ მოვაწერთ ხელს. ამის შემდეგ, გამართული კანონმდებლობისა და სათანადო რეგულაციების გარეშე, ზვარეს მსგავსი შემთხვევები მასობრივ სახეს მიიღებს და შეიძლება, თავისუფალი ვაჭრობა ავად შემოუბრუნდეს ჩვენს მოსახლეობას. მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას – შევთანხმდეთ რა არის განვითარება. ის, რომ ინვესტორი ორ კაპიკს ჩადებს, მილიონებს ამოიღებს, ნაცემ და მოკლულ მუშებს და განადგურებულ გარემოს დაგვიტოვებს თუ ის, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგებით, გაჭირვებული ფენის წარმომადგენლებს ახეირებს? პოლიტიკური ელიტისთვის, რომელსაც ამ ფაქტზე ხმა არ ამოუღია, განვითარებაა, რომ ადგილობრივი ელიტის მცირე ნაწილმა და გარედან შემოსულმა ინვესტორმა იხეიროს და დანარჩენს ნაჯახი მოხვდება თუ ჯოხი, საინტერესო არ არის. ასე არ გამოვა ბატონებო! ამიტომ ჩვენ ვაყენებთ საქართველოს ხელისუფლების, საქართველოს რკინიგზის და ზოგადად, პოლიტიკური პარტიების პასუხისმგებლობის საკითხს. სად არის არასამთავრობო სექტორი? მწერლები, პოეტები, საზოგადოება? თუ ხარაგაულელი, ოფშკვითელი და საგარეჯოელი ნაკლებად გაღელვებთ? ეს სეგრეგაცია არ არის?

საუბრის ბოლოს, სტუდენტური მოძრაობის ლიდერმა განათლების პრობლემებზეც გაამახვილა ყურადღება. ცნობილია, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ტექნიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში უამრავი მიმართულება გაუქმდა ან შეიკვეცა. ქვეყანას, რომელიც ტექნიკური დარგის უძლიერეს სპეციალისტებს ამზადებდა, დღეს სპეციალისტების „გარედან“ შემოყვანა უწევს და განათლების სამინისტრო არაფერს აკეთებს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

საბოლოოდ, ყველა პრობლემა მაინც განათლების პრობლემამდე მიდის. ჩვენი განათლების მინისტრი გამოდის ყოველ დღე ტელევიზიით საუბრობს იმაზე, რა არ უნდა იცოდეს მოსწავლემ, მაგრამ რა უნდა იცოდეს, ამაზე არაფერს ამბობს. თურმე საზეპიროები არ უნდა იცოდეს, მენდელეევის ცხრილა საჭირო არ არის, კომპიუტერი ყოფილა სასწაული და „იუთუბი“ ყოფილა საქართველოს ხსნა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მოწოდების სიმაღლეზე რომ იყოს, გვირაბის მშენებლების „გარედან“ შემოყვანა არ დაგვჭირდებოდა, მაგრამ ადამისა და ევას დროიდან რომ მაქინაციებით არჩეული რექტორი ჰყავთ, ის ვერ მოიცილეს და რაზე უნდა ელაპარაკო?

ნელი თორდია
571 35 36 88

რეპლიკა

„რა მოგიშუშებს ამდენ იარას...“

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით! —

ეს სიტყვები რუსეთის იმპერიის გენერალს და საქართველოს ერთ-ერთ რჩეულ პოეტს გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის. სწორედ ეს სიტყვები ამომიტივტივდა უნებლიეთ გონებაში, როცა ამას წინათ ტელევიზიით დაქირავებული უცხოელების მიერ ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში ნაცემი, დაბეგვილ-დაჟეჟილი, დასისხლიანებული ქართველი მუშების სახეები ვნახე.

თითქოსდა რა უნდა გაგიკვირდეს ამ წუთისოფელში? ან რატომ უნდა შეგაძრწუნოს დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე ბარბაროსულმა პროცესებმა, სირიაში თუ ავღანეთში, ერაყში თუ ლიბიაში დატრიალებულმა ტრაგედიებმა და ა. შ. მაგრამ მაინც, ამ ამბავმა სულით ხორცამდე შემძრა.

რა ხდება? რა უბედურება გვჭირს დღეს ამ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში?!

ამ კითხვებს შესანიშნავი ქართველი პოეტის გრიგოლ აბაშიძის სიტყვებით მინდა გავცე პასუხი.

„მუხას წააქცევს, ლერწამს კი არა,
პირალესილი ამდენი ცული,
რა მოგიშუშებს ამდენ იარას,
რამ მოგირჩინოს ამდენი წყლული.
და რომ გეხვევა ღრუბელი ბნელი,
შორიდან როგორ გიყურო მშვიდად,
ნუთუ დამხობა ჩვენს დროში გელის
დაუდევრობით შენთავე შვილთა!“
საკითხავია, მხოლოდ დაუდევრობით?!
„გულწრფელად ვამბობ სათქმელს, გულღიად,
დე, მკრეხელობად ნუ აღიქმება;
სხვა ყველაფერი წყალს წაუღია,
თუ საქართველო აღარ იქნება!“

მხცოვანი პოეტის გულში ჩარჩა დარდის ერთი ნესტარიც: **„მეც სამარეში ისე ჩავდივარ, სამშობლოს საშველს ვერ მოვესწარი!“**

გულღიად უნდა ვთქვა, ეს სიტყვები თითქოს ჩემი დაწერილია და არა მარტო ჩემი! აქ ჩემი და ყველა ქვეყნის მოყვარული ადამიანის გულისთქმაა გამჟღავნებული, რადგან პატრიოტიზმი, ეროვნულობა, რომელ საუკუნეშიც უნდა ცხოვრობდეს ადამიანი, მარად უკვდავი განცდაა!

ციალა არდაშელია

რედაქციისგან: ვსარგებლობთ შემთხვევით და „საერთო გაზეთისა“ და მისი მკითხველების სახელით გულითადად ვუღოცავთ ქალბატონ ციალა არდაშელიას, შესანიშნავ მწერალსა და პუბლიცისტს, დაბადების 80 წლის იუბილეს და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დაუშრეტელ შემოქმედებით ენერგიას ვუსურვებთ.

ზურაბ ჯაფარიძე:

„ბირჩი“ მზადაა „ქართულ ოცნებასთან“ ითანამშრომლოს

– ბატონო ზურაბ, როგორ ფიქრობთ, მაინც რა მოურჩენელი სენი სჭირს ქართულ ეკონომიკას, რატომ ვერ მოხერხდა წლების მანძილზე მისი ფეხზე წამოყენება?

– ქართული ეკონომიკის მთავარი პრობლემაა ის, რომ ძალიან ბევრ ფულს ვიღებთ ეკონომიკიდან, ანუ სახელმწიფო იღებს, მთავრობა იღებს და ამ ფულსაც შემდეგ განკარგავს მთავრობა. ამას ეძახიან მთავრობის ხარჯებს. საქართველოში წლების მანძილზე მთავრობის ხარჯები საერთო ეკონომიკის 35 პროცენტს შეადგენდა. მე მახსოვს დაპირებები საკაშვილი მხრიდან, ამ ხარჯების შემცირების შესახებ 25 პროცენტამდე, მაგრამ რეალურად ეს არ გაკეთებულა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს, ბოლო ორი წლის მანძილზე, მთავრობის ხარჯმა დაიწა 32 პროცენტამდე, ანუ 3 პროცენტით, ეს არაფერს კი სჯობს, მაგრამ ძალიან ნელი ტემპია. გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ კოალიცია იყო ძალიან ეკლექტური და არ ჰქონდა მკვეთრად ჩამოყალიბებული აზრი, საითკენ მიდიოდა ეკონომიკა. ეკონომიკის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს სტაბილურობას: იქნება ეს ბიზნესი, თუ პოტენციური ინვესტორი, მათთვის უნდა იყოს ცხადი, რომ ამ ქვეყანაში შემდეგი წლების განმავლობაში, თამაშის წესები იქნება უცვლელი. გაურკვევლობა უფრო დამაზიანებელია, ვიდრე გარკვეული და ცუდი წესები.

თუმცა მთავარ პრობლემად მაინც მთავრობის ხარჯები რჩება: ქვეყნები, რომლებიც ხარჯავდნენ ძალიან ცოტას, ეკონომიკურად იზრდებოდნენ გაცილებით სწრაფად. მაგალითად, წინა ხელისუფლების დროს ძალიან ხშირად მოჰყავდათ ხოლმე სინგაპურის მაგალითი, რომელსაც, მეტწილად, აკრიტიკებენ მკაცრი კანონების გამო, იქ კევის დაღეჭისთვის შეიძლება წკეპლით გცემონ და სხვა...სინგაპურში არის ბევრი რამ არასწორი და მეც არ მომწონს მაგრამ, არის რაღაცეებიც, რაც უნდა გადმოგვეღო და უნდა გადმოგვეღო ზუსტად ის, რომ სინგაპური 60-იანი წლებიდან მოყოლებული ეკონომიკის მხოლოდ 15 პროცენტს ხარჯავს მთავრობის შენახვაზე, ანუ სინგაპურს ორჯერ უფრო იაფი უჯდება მთავრობის შენახვა, ვიდრე ჩვენ. ამის შედეგად სინგაპურის ეკონომიკა იზრდება 15-20 პროცენტით წელიწადში.

ჩვენ ვიღებთ ბევრ ფულს ეკონომიკიდან და ვაძლევთ მთავრობას დასახარჯად, მთავრობა კი, ყველგან და ყოველთვის არის არაეფექტური მხარჯველი. რას ხარჯავს მთვრობა? მთავრობა ხარჯავს იმ ფულს, რომელსაც ჩვენ ვიხდით. ნაცვლად ამისა, სჯობს, გადასახადები შემცირდეს, ჩვენ დაგვრჩეს მეტი ფული და თვითონ გადავწყვიტოთ, რაში დავხარჯავთ. რაც უფრო მეტ ფულს ხარჯავს ხალხი თავისი გადაწყვეტილებით, მით უფრო სწრაფად იზრდება ეკონომიკა. რაც უფრო მეტს ხარჯავს მთავრობა, თავისი რომელიმე ერთი მინისტრის ხუშტურებით, მით უფრო ნელა იზრდება ეკონომკა.

ეკონომიკის ექსპანციას და დოლართან მიბმული ლარის გაუფასურებას, გარკვეულწილად, ექსპორტის შემცირება და იმპორტის გაზრდაც ხომ არ უწყობს ხელს?

ხშირად ამბობენ ხოლმე მაგას, რომ აი, პრობლემაა როცა ბევრი

შემოგვაქვს და ცოტა გაგვაქვს. მანდ მთავარი არის ის, რომ ამის კონპონსირება მოხდეს რაღაცით და ეს რაღაც იქნება ინვესტიცია, რომელიც, თავის მხრივ, ეკონომიკის სწრაფად ზრდამ უნდა უზრუნველყოს. იმპორტი თუ მეტია, ვიდრე ექსპორტი, ეს ნიშნავს, რომ მეტი ფული გადის, ვიდრე შემოდის, მაგრამ ინვესტიციები ამის დაბალანსების წყაროა. თუ ეკონომიკა წინ წავა და სამუშაო ადგილები გაჩნდება, არანაირი პრობლემა აღარ იქნება, გაზრდილი იმპორტი ან შემცირებული ექსპორტი. ჩვენ დაბალანსების პრობლემა გვაქვს და ამიტომ ხდება შემდეგ ლარის გაუფასურება.

— სამუშაო ადგილების სიმწირე, გაღატაკებული ქვეყანა, სადაც ყოველი მეოთხე ადამიანი შიმშილობს, „ნაციონალური მოძრაობის“ მემკვიდრეობად დაგვრჩა, რომლის წევრი თქვენც ბრძანდებოდით. რატომ ვერ მოახერხეთ მათთან ერთად, თუ მათი დახმარებით თქვენი ეკონომიკური პროექტების ცხოვრებაში დანერგვა?

— ეგრე შეიძლება ვთქვათ, რომ შევარდნაძემ დაგვიტოვა სიღატაკე, ან ვქვათ, რომ გამსახურდიამ დაგვიტოვა და ასე შემდეგ. მე „ნაციონალური მოძრაობის“ დამცველად აღარ გამოვდგები მაგრამ, არ მგონია, სწორი იყოს იმის თქმა, რომ სიღარიბე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გვისახსოვრა. როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა, ომების და სამოქალაქო ომების ფონზე, ქართული ეკონომიკა ჩამოიშალა 70-75 პროცენტით. ეგრე არ ჩამოშლილა გერმანიის ეკონომიკაც კი, მეორე მსოფლიო ომის დროს. ძალიან დაბალი ნიშნულიდან დავიწყეთ ზემოთ სვლა. ცხადია, რაღაცები შეიძლება დავაბრალოთ გამსახურდიას, რაღაცები შევარდნაძეს, რაღაცები საკაშვილს, რაღაცებიც „ქართულ ოცნებას“, მაგრამ ამით არაფერი იცვლება, ჩვენ დავიწყეთ დაბალი ნიშნულიდან და ნელ-ნელა ვცდილობთ წინ წასვლას. ჩვენ გვქონდა პერიოდები, როცა ჩვენი ეკონომიკა სწრაფად იზრდებოდა: მაშინ, როცა კახა ბენდუქიძე ატარებდა რეფორმებს, ჩვენი ეკონომიკა გაიზარდა 13 პროცენტით, ჩვენ რომ ეგეთი ზრდა შეგვენარჩუნებინა, ახლა ვიქნებოდით თურქეთზე მდიდარი ქვეყანა

— და მაინც, რამ შეგვიშალა ხელი, რატომ ვერ შევინარჩუნეთ ეს ზრდა?

— ბევრი ფაქტორის გამო. ალბათ, უფრო მაინც იმიტომ, რომ 2008 წლიდან ისე აღარ ხორციელდებოდა რეფორმები, როგორც იმ დროს, როცა ბენდუქიძე იყო ხელისუფლების ნაწილი, აღარ უსმენდნენ და ბევრი კარგი პროექტი დარჩა განუხორციელებელი.

მე არ ვყოფილვარ მაგ დროს ხელისუფლებაში, ჩემი ერთადერთი ბერკეტი იყო ის, რომ გამოვდიოდი და ღიად ვსაუბრობდი: ეკონომიკური პროექტებს, რომლებიც მომწონდა, ვაქებდი და რომლებიც არ მომწონდა, ვაკრიტიკებდი. უბრალოდ, იმ ფონზე, როცა, ყველა აგინებდა „ნაციონალურ მოძრაობას“ ჩემი მხრიდან ერთი კონკრეტული ეკონომიკური პროექტის შექება ისე ჩანდა, თითქოს, „ნაციონალურ მოძრაობას“ ვიცავდი.

— რატომ წამოხვედით „ნაციონალური მოძრაობიდან“, რა არ მოგეწონათ?

— წამოსვლის მიზეზებზე ბევრი რამ მაქვს ნათქვამი და იმაზე მეტის თქმა არ მინდა, მით უმეტეს, ახლა, ისეთ დღეშია „ნაციონალური მოძრაობა“, რომ მე კიდევ დამატებით აქედან წიხლი დავაჭირო, ამის არანაირი სურვილი არა მაქვს.

— ისევ ეკონომიკას მივუბრუნდეთ, როგორ ფიქრობთ, პროექტებმა, კანონებმა, რომლებიც წარმატებულია ევროპასა და ამერიკაში, შეიძლება, ჩვენთან, ჩვენი ეკონომიკის პირობებში ანალოგიური წრამატება მოგვიტანოს? ხომ არ გეჩვენებათ ზოგი კანონპროექტი ხელოვნური, ან საქართველოს პირობებისთვის უსარგებლო?

— იმის გამო, რომ ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, გვიწევს ძალიან ბევრი ინტერესის გათვალისწინება. მაგალითად, ევროკავშირთან დაახლოების პროცესში, ჩვენ გვაქვს ასოცირების ხელშეკრულება და დღის წესრიგი, სადაც დეტალურად არის გაწერილი, რა მიმართულებებში უნდა დაუახლოვდეს ჩვენი კანონმდებლობა ევროპულ კანონმდებლობას და მათ შორის დიდი ნაწილი ეკონომიკას ეხება. გეთანხმებით იმაში, რომ არის რაღაცები, რასაც პირდაპირ თუ გადმოვიღებთ, ჩვენი ქვეყნისთვის ეს იქნება ძალიან ცუდი. ჩვენ რომ პირდაპირ გადმოვიღოთ მათი კანონები, ჩვენი ეკონომიკა, უბრალოდ, წავა მინუსებში. ეს მართლა ასეა და პრინციპში, ეს ესმის რაღაც ნაწილს, რაღაც ნაწილს არ ესმის.

მაგრამ, პრინციპული განსხვავება საბჭოთა კავშირსა და ევროკავშირს შორის, არის ის, რომ თუ მოსკოვში რაღაცას გადაწყვეტენ, ეს ბრძანებასავით მოდიოდა და აუცილებლად უნდა გადმოგვეღო, ევროკავშირს შეგიძლია ეკამათო, ეჭიდაო, ედავო და შენი ინტერესები გაიტანო ბოლომდე. მაგალითად, ვთვლი რომ მოგება, საშემოსავლო, იმპორტი, ქონების გადასახადი, ოთხივე გასაუქმებელია, მხოლოდ დამატებითი ღირებულების გადასახადი უნდა დავტოვოთ და საქართველო გავხადოთ ერთგადასახადიანი ქვეყანა. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ბიზნესის გაკეთება იქნება უმარტივესი და აქ ფული იტრიალებს.

ეს ის შეთხვევაა, როცა უკაცრავად „ჟარგონისთვის“, მაგრამ უნდა დავიკიდოთ ფეხებზე, რას გვეუბნება ევროკავშირი. მას აქვს თავისი ინტერესები მაგრამ, ჩვენ გვაქვს ჩვენი და ახლა ჩვენთვის ცალსახად მნიშვნელოვანია ეკონომიკის სწრაფი განვითარება. ევროკავშირისთვის არ იქნება მომგებიანი, ჩვენ რომ გადასახადები გავაუქმოთ, რადგან, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენთან პროდუქციის წარმოება დაჯდება გაცილებით იაფი, რომ ვიღაცები აქ გადმოიტანენ ბიზნესებს და აქედან გაყიდიან მერე ევროკავშირში და დიახ, ჩვენ ეს გვინდა. გავიგეთ, რომ იმათ არ აწყობთ, მაგრამ ჩვენთვის ეს არის მომგებიანი. არავის აქვს უფლება რამე დაგაძალოს, შეუძლია მოგცეს რეკომენდაცია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ

რომ ასე გვაწყობს და ასე ვაპირებთ გაგრძელებას.

— თუ სწორად მახსოვს, „გირჩი“ თვლის, რომ სახელმწიფო არასწორად ახდენს დახმარებებისა და პენსიების თანხების გადანაწილებას...

— სოციალური დაცვის სისტემა - უვარგისია. საყოველთაო ჯანდაცვა და ზოგადად სახელმიწფოსგან საყოველთაო მიდგომა რაიმეს მიმართ, არის არასწორი. რატომ უნდა უყიდოს სახელმწიფომ ყველა მოსწავლეს სახელმძღვანელოები, როცა შეუძლია დაეხმაროს მხოლოდ იმ ოჯახებს , რომელთაც არ გააჩნიათ წიგნების შესაძენი სახსრები.

სოციალური ფული, ჩვენი ბიუჯეტის მესამედზე მეტია, ამ ფულის ხარჯვა კი ხდება პრინციპით: ყველას ვუფინანსებთ ამასა თუ იმას და ეს არ არის სწორი მიდგომა. მიზანი უნდა იყოს ის, რომ ჩვენ დავეხმაროთ ღარიბ ოჯახებს, რომლებსაც არ შეუძლიათ საკვების ყიდვა, განათლების მიცემა შვილისთვის ან მკურნალობის თანხის გადახდა. ანუ, უნდა დავეხმაროთ მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც სჭირდებათ დახმარება.

ავიღოთ საპენსიო დახმარება. მდიდარსაც და ღარიბსაც ორთავეს ვაძლევთ ერთნაირად 180 ლარს. ზოგისთვის ეს თანხა არაფერია, რესტორანში ხარჯავს ერთ დღეში და დაახლოებით ის ღირებულება აქვს, რაც სხვისთვის 20 თეთრს. ამ დროს კი მეორე ჯგუფს, საჭმლის ფული აღარ რჩება პენსიიდან ჰიპერტონიის ან სხვათა დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების ყიდვის შემდეგ.

ყველას ვერ ვუყიდით ძვირიან მედიკამენტს და ყველას ვერ გავგზავნით ჰარვარდში, მაგრამ გაჭირვებული ადამიანისთვის საქართველოს პირობებში განათლების და მკურნალობის პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. აქ არ არის საუბარი თანხის უკმარისობაზე, აქ განაწილების პრობლემაა.

აი, გოგი თოფაძე არის პენსიონერი და იღებს 180 ლარს პენსიას და კიდევ ბევრი ამ ასაკის ადამიანი, რომელსაც ბიზნესი აქვს საქართველოში, ან ბინა აქვს ვაკეში გაქირავებული...

— ანუ, თქვენ გსურთ, შეძლებულ ადამიანებს საერთოდ არ დაურიგდეთ პენსია?

— ცხადია. ბიძინა ივანიშვილი ორ წელიწადში გადის პენსიაში და უნდა ვუხადოთ 180 ლარი პენსია? რაში სჭირდება? ჩვენ უბრალოდ სტერეოტიპული წარმოდეგნა გვაქვს, რომ მოხუცი ადამიანი არის გაჭირვებული, მაგრამ რეალურად ყველა მოხუცი არ არის გაჭირვებული, ჩვენ კი უნდა დავეხმაროთ მხოლოდ იმას, ვისაც უჭირს და დამთავრდა. იგივეს ვამბობ და ვიტყვი შეზღუდული უნარების მქონე ადამიანებზე: მე ვიცნობ ერთ ასეთ ადამიანს, რომელსაც რამდენიმე რესტორანი აქვს თბილისში. მას არ სჭირდება სახელმწიფოსგან დახმარება, იქეთ ეხმარება სხვებს.

ასევე დევნილებიც... დევნილის სტატუსი უნდა შევინარჩუნოთ, პოლიტიკურად გვჭირდება რომ გვყავდეს დევნილები ქვეყანაში, მაგრამ, არიან დევნილები. რომლებსაც სამი „პრადო“ ჰყავთ, იმათ არაფერში სჭირდებათ სახელმწიფოს დახმარება. კრიტერიუმი უნდა იყოს ერთი - უჭირს, ეხმარები.

უმიზნოდ იხარჯება ფული სოფლის მეურნეობის პროექტებისთვის. შედეგი არ გვაქვს და ვერც გვექნება, ფუნდამენტური პრობლემა გაქვს და იმიტომ. ჩვენთვის სოფლის მეურნეობა არის სულ 500 ათასი ადამიანი, რომელიც ამუშავებს ერთ ჰექტარ მიწას. როცა ერთ ჰექტარზე მოგყავს მოსავალი და იმავდროულად, 5 ათას ჰექტარზე მოჰყავს რომელიღაც თურქ ფერმერს მოსავალი, მისთვის კვადრატული მეტრის ხარჯი ამ დიდ ფართობზე ასჯერ უფრო დაბალია, შესაბამისად, შენი მოყვანილი მოსავალის ხარჯიც მეტია და თვითღირებულებაც. ცხადია, ის გაყიდის პროდუქციას, დავუშვათ, 60 თეთრად და შენ უნდა გაყიდო 4 ლარად. მოსახლეობა კი იყიდის რომელს? იმას, რომელიც იაფია.

— გამოდის, არ ჰქონია სოფლის მოსახლეობას გამოსავალი და ეგაა...

— გამოსავალი ეკონომიკის

განვითარებაშია. როგორც კი ეკონომიკა გაიზრდება, ავტომატურად შეიქმნება სამუშაოები ურბანულ დასახლებებში, მათ შორის ძირითადი თბილისია, მაგრამ დანარჩენ ქალაქებსა თუ რაიონებშიც შეიცვლება მდგომარეობა და მოხდება მოსახლეობის მიგრაცია, ან პირიქით, დაგვემატება ურბანული დასახლებები. რატომაც არა.

მიწების გამსხვილებაც გამოსავალია, ანუ ვიღაც თუ იყენებს ეფექტურად და მომგებიანიდ მიწას, იმან უნდა იყიდოს გვერდით ფართობი და გააერთიანოს. რაც მეტი ფართობი ექნება, მით ნაკლები იქნება დანახარჯი ერთ კვ.მ-ზე და შეუძლია თურქ ფერმერსაც კი გაუწიოს კონკურენცია.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მიწების რეგისტრაციის პრობლემა. ვიცი ადამიანები, რომლებსაც უნდათ მიწის გაყიდვა, და ვერ ყიდიან იმიტომ, რომ რეგისტრირებული არ აქვთ მიწები. სოფლებში მიწების უდიდესი ნაწილი რეგისტრირებული არ არის, მათ შორის არის რეგიონები, სადაც არქივები საერთოდაც დაიწვა და განადგურდა. ადამიანები რეალურად ფლობენ მიწას და არ აქვთ ამის შესაბამისი საბუთი. ჩვენი მიდგომა აქაც მარტივია: თავი დავანებოთ საბუთების დევნას, მიწები განაწილებული აქვთ ნებისმიერ სოფელში, როგორც აქვთ გადანაწილებული და რაც აქვთ, ასევე დავურეგისტრირეროთ. თუ ვინმეს ჰყავს მოდავე, ვაძლევთ ვადას, რომ მოიპარაკონ და თუ ვერ მოილაპარაკებენ სასამართლო გადაწყვეტს დავას. თუ მიწების რეგისტრაციას მასიურად გავაკეთებთ, სულ რამდენიმე მილიონი ლარი დაჯდება და გლეხს კი დიდი პრობლემა მოეხსნება. მიწის გაყიდვა თუ დაიწყება, ეს თავის მხრივ მიწის ფასაც გაზრდის და ეგაც კარგი და ხეირიანი იქნება გლეხისთვის.

დასახვეწი და შესაცვლელია განათლების სისტემაც: განათლების სიტემაში უნდა მოვხსნათ ძალიან ბევრი რეგულაცია, სკოლები უნდა გახდეს ავტონომიურები, დაფინანსების სისტემა უნდა შეიცვალოს, იქაც ყველას ყველაფერს არ უნდა ვაძლევდეთ... არ უნდა იყოს ის სტერეოტიპი, რომ სკოლა არის ბლოკისგან აშენებული მეტალოპლასმასის ფანჯრებით: მიდგომები უნდა შევცალოთ, ადამიანები განსხვავებულნი არიან, ზოგი 6 წლის ბავშვს შეუძლია 8 წლის ბავშვენის პროგრამით სწავლა და არ უნდა დავაბათ ამის გამო დაბალ კლასში. ვიღაცას მუსიკის ბიჭი აქვს, ვიღაცას ჰუმანიტარულის...

— როგორ და ვისი დახმარებით აპირებთ ამ პროექტების განხორციელებას? ამბობენ, რომ „გირჩი“ ივანიშვილის პროექტია...

— სხვა რაღაცებსაც ამბობენ... ზოგი თვლის, რომ სააკაშვილის პროექტი ვიყავით, ზოგი თვლის რომ ივანიშვილის...

— სინამდვილეში?

— სინამდვილეში „გირჩი“ არის ჩემი და ჩემი მეგობრების პროექტი.

— ბურჭულაძე ვისი პროექტი იყო, რა სურდა მიეღო, რას ელოდა ქართული პოლიტიკისგან, რისი მიღწევა უნდოდა და რას მიაღწია, როგორ ფიქრობთ?

ჩემი აზრით, უნდოდა ფული. ამ ადამიანს ჰქონდა პოზიტიური იმიჯი საზოგადოებაში და გადაწყვიტა, რომ ახლა ამ არჩევნების დროს, თავისი პოზიტიური იმიჯი გადაეხურდავებინა პოლიტიკურ დივიდენდებში და შემდეგ ეს პოლიტიკური დივიდენდები გადაეხურდავებინა ფულში. საბოლოოდ ჯამში, არ ვიცი, რამდენად მიაღწია მიზანს, ანუ რამდენად ბევრი ფული იშოვა.

როცა შეეხვდი და ვესაუბრე, დატოვა გულწრფელი ადამიანის შთაბეჭდილება. მართალია, არც მაშინ არ მიფიქრია, რომ ამ ადამიანს ჩამოყალიბებული და გააზრებული აქვს, საერთოდ რა არის გასაკეთებელი ქვეყანაში, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ნამდვილად შესტკიოდა გული ქვეყნის ბედზე. გადავწყვიტე, რომ ჩვენი ცოდნა და მისი პოზიტიური იმიჯი შეავსებდა ერთმანეთს.

— რატომ ჩათვალა, რომ ან გქონდათ ფული და აუცილებლად მისცემდით?

— მე მგონი, თავადაც დარწმუნებული იყო, რომ იმ ფულის მიმტანი არ ვიყავი, უბრალოდ უნდოდა დაეშალა ბლოკი და დაშალა კიდეც. ამის უკან იდგა ვინმე, იდგა სააკაშვილი, იდგა ივანიშვილი და საერთოდ, იდგა თუ არა ვინმე, არ ვიცი.

— რა გვეტყვით არჩევნების შედეგზე: როგორ ფიქრობთ, რას მოგვიტანს საკონსტიტუციო უმრავლესობა?

— საკონსტიტუციო უმრავლესობა შანსს აძლევს „ქართულ ოცნებას“, რომ ბევრი სწორი რეფორმა გაატაროს, თუ მათ აქვს ამის პოლიტიკური ნება და სწორი ხედვა. ნებისმიერ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ რეიტინგი მომდევნო ოთხ წელიწადში წამოვა ქვემოთ, ამას ჩვენი უახლოესი ისტორიაც ადასტურებს, ორი ვადის გასვლის შემდეგ, ნებისმიერი ხელისუფლება ბეზრდება ხალხს. მათ შეუძლიათ ეს ოთხი წელი დაკარგონ არაფრის კეთებაში და იმაზე ზრუნვაში, რომ როგორმე დარჩნენ ისევ ხელსიუფლებაში, პრინციპში, ის რაც გააკეთა შევარდნაძემ, ის, რაც გააკეთა სააკაშვილმა, მეორე ვადა მიუძღვნეს ხელისუფლებაში დარჩენას.. ან იმის გათვალისწინებით, რომ რეიტინგი მაინც ქვემოთ წავა, ეს ოთხი წელიწადი შესწირონ რეფორმების გატარებას და ეს იქნება აუცილებლად მტკივნეული, არ არსებობს ყველასთვის მისაღები ცვლილება, ვიღაც აუცილებლად დარჩება განაწყენებული... თუ ასე მოიქცევიან, შანსი აქვთ, რომ საქართელო დააყენონ ისეთ რელსებზე, საიდანაც ვეღარ გადავუხვევთ და გვექნება ეკონომიკის სწრაფი ზრდა. ეს არჩევანი აქვთ გასაკეთებელი: რა ურჩევნით ძალაუფლებისთვის ბრძოლა თუ ქვეყნისთვის საჭირო საქმის კეთება. ახლა ყველა ბერკეტი მათ ხელშია და შეუძლიათ კარგი და სწორი რეფორმები გაატარონ.

— როგორ ფიქრობთ, ოპოზიციურმა პარტიებმა ხომ არ დაუშვეს სტრატეგიული შეცდომა, როცა მთავარ კონკურენტად „ქართული ოცნება“ დაისახეს და არა „ნაციონალური მოძრაობა“?

— „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაცინალურმა მოძრაობამ“ მოახერხეს ის, რომ ყოფილიყვნენ მთავარი მოთამაშეები და ერთმანეთისგან დაეხატათ მტრის ხატი: „ქართული ოცნება“ ეუბნებოდა მოსახლეობას, რომ თუ მათ არ არ დაუჭერდნენ მხარს, აღდგებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმი და ეს რეჟიმი იყო საშიში, ხოლო, „ნაციონალური მოძრაობა“ ხატავდა საფრთხეს რომ უნიათო ხელისუფლების ხელში კიდევ უფრო მეტად გავღატაკდებოდით. ორივემ გამოიყენა კლასიკური ფორმა, როცა ადამიანების მობილიზებას ახდენ საფრთხის წინაშე. როგორც აღმოჩნდა: ადამიანების უფრო მეტმა ნაწილმა ჩათვალა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ უფრო მეტმა ნაწილმა ჩათვალა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნება იქნება საფრთხე.

გარდა ამისა, ამომრჩეველს აფრთხობს ის 5 პროცენტიანი ბარიერიც, რადგან ფიქრობს, რომ თუ პოლიტიკური პარტია ვერ გადალახავს 5 პროცენტიან ბარიერს, მისი ხმა დაიკარგება. ამიტომ უნდა დაიწიოს ბარიერი ერთ პროცენტამდე მაინც და თუ ბარიერი დაიწევა 1 პროცენტამდე, მაშინ პატარა პარტიებიც შეძლებენ თუნდაც ერთი ადამიანი გაიყვანონ პარლამენტში და საკუთარი იდეებისა და მოსაზრებების უკეთ პოპულაცია მოახდინონ.

სამმა პარტიამ აიღო 80 პროცენტი ხმების, დარჩა 20 პროცენტი, რომელმაც ხმა მისცა სხვა პარტიებს... ჯამში ეს არის 400 ათასი ადამიანი. ამბობენ, ამ ადამიანების ხმა დაიკარგაო, კი არ დაიკარგა, მათი ხმები ამ პარტიებმა გადაინაწილეს. „პატრიოტთა ალიანსს“ ფრაქციის ჩამოსაყალიბებლად 6 ადგილი სჭირდებოდა და მისცეს, ისე ჰქონდა 3 ადგილი მგონი, დანარჩენი ხმები ამ ოთხასი ათასი ადამიაანისა, რომლებსაც არც „ქართული ოცნება“ უნდათ და არც „ნაციონალური მოძრობა“, წაიღო მაინც სწორედ ამ ორმა პარტიამ. რაც არასწორი და უსამართლოა, ამიტომ გვგონია, რომ ბარიერი უნდა დაიწიოს.

— რას აპირებს „გირჩი“ მომავალში, აპირებთ თუ არა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას?

— თუ თემატური თანამშრომლობა იქნება, რატომაც არა, აქამდეც ვთანამშრომლობდით. ბევრჯერ მაქვს ნათქვამი, რომ თუ რამე საკითხთან დაკავშირებით დახმარება შეგვეძლება, შეუძლიათ გამოგვიყენონ. ამას წინათ, კვირიკაშვილმაც თქვა, რომ აპირებს ჩვენთან შეხვედრას რიგ საკითხებთან დაკავშირებით. თუ ამის სურვილი იქნება, დიდი სიამოვნებით, არავის არაფერს არ ვუმალავთ, ღიად ვსაუბრობთ და ჩვენთვის მხოლოდ ერთი რამ არის მთავარი: ქვეყნისთვის საჭირო იდეები, სწორი კანონპროექტები განხორციელდეს და რეალურ ცხოვრებაში დაინერგოს.

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

თუ ხელისუფლება ვერ მოახერხებს გაწმინდოს ძალოვანი სტრუქტურები დამნაშავეებისგან, მაშინ ამის გაკეთება ხალხს მოუწევს

2012 წლის არჩევნებიდან 4 წლის შემდგომი მწარე რეალობა ასეთია - 200-მდე პოლიტიკური პატიმრის სტატუსით საპატიმროებიდან გათავისუფლებული ადამიანი ისევ სამართლიანობის აღდგენას ითხოვს! უამრავი ქონებაწართმეული ადამიანი კი უშედეგოდ ცდილობს საკუთრების უფლების აღდგენას. პროკურატურამ ამ ფონზე მოახერხა და ე.წ. გახმაურებული საქმეების რამდენიმე

სუბიექტს 2016 წლის არჩევნების წინ, წართმეული ქონება დაუბრუნა. სხვა თემაა, მაგალითად, 2004 (ან სხვა) წელს, პირისთვის ჩამორთმეული მანქანა, რამდენად შეესაბამება ჩამორთმევის ეტაპზე არსებულ ამ მანქანის მდგომარეობას, მაგრამ ფაქტია — ითქვა, რომ სამართლიანობის აღდგენა დაიწყო და სადაც ერთი, იქ სხვაც, ანუ მომავალი წინაა და იმედი ბოლოსაც არ კვდება! ამით სახელმწიფომ ორი კურდღელი დაიჭირა — სამართლიანობის აღდგენის საქმე „გახსნილად“ გამოაცხადა და კომპესაციის გაცემისგანაც დაიძვრინა თავი! მართალი იყო წულუკიანი, როცა თანამდებობაზე მოსულმა განაცხადა, რომ სამართლაინობის აღდგენა „ძვირი სიამოვნება“ იყო, მერე რა, რომ ეს „სიძვირე“ იგივე წულუკიანმა არჩევნების წინ „ძალიან იაფად“ და „ძალიან ხელმისაწვდომად“ გამოაცხადა! ასევე წამებში იქნა დავიწყებული მთავარი დაპირება — პროკურატურაში საკადრო ცვლილებები! თურმე ნუ იტყვით და მთავარი სამართლიანობა კი არა, დამნაშავე პროკურორების (და არა მხოლოდ) უფლებები ყოფილა!

„ნაციონალებს“ უკონტროლო პროკურატურა და სასამართლო სჭირდებოდათ. ნუგზარ საჯაიამ „ახალგაზრდა რეფორმატორების“ შორეული მიზნები შესანიშნავად განჭვრიტა და დაემუქრა, ციხეში ამოგალპობთო.

აქედან ერთ კვირაში, საჯაია კარგად შენიღბული თვითმკვლელობის ვერსიით მოკლეს და საქართველოს დასაქცევად გზა ბოლომდე გაითავისუფლეს. არნახული და არგაგონილი მეთოდებით მართეს ქვეყანა თითქმის ცხრა წელიწადი. ანტიკონსტიტუციური კანონების მიღებით იწონებდნენ თავს და ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა — ქალამნად. რუხი კარდინალი ზურაბ ადეიშვილი ერთპიროვნულად წყვეტდა უამრავი ადამიანის ბედ-იღბალს. მისი მოადგილე გიორგი ლაცაბიძე ხალხის ეგზეკუციით იყო დაკავებული და თავისი შნირები ერეკლე კოდუას მეთაურობით აყაჩაღებდნენ ეგრეთწოდებულ „ეჭვმიტანილებს“ და შემდეგ ერთად იყოფდნენ ნაალაფარს. ადეიშვილამდე პროკურატურას ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობდა, „რეფორმატორები“, ერთი კაცის გამოკლებით, არ წყალობდნენ უშიშროების საბჭოს კადრებს. ის „ერთი კაცი“ გახლდათ ზუსტად ის, ვინც მიხეილ სააკაშვილს „ვარდების რევოლუცია“ დააგვირგვინებინა და ფართოდ გაუხსნა პარლამენტის კარები და არა ვალერი ხაბურზანიამ. სამაგიეროდ, მიშას დროსაც ყვაოდა მისი „ფარული“ ბიზნესი და არც დღეს გრძნობს თავს დაჩაგრულად (აღნიშნულ თემას სხვა წერილში აუცილებლად დავუბრუნდები)... დაპირისპირებადაყოფის ძველი მაგალითიც იმისთვის გავიხსენე, რომ ნაცელიტის განუყოფელი ნაწილი გახდა ადამიანთა ჯგუფის დაშლა ერთი ან მეტი ადამიანის „დავერბოვკების“ გზით.

კონტროლის პალატის დასკვნამ, რასაკვირველია, აღაშფოთა მიხეილი და როგორც კი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, „მტრების“ განადგურებას შეუდგა. კერძოდ, 2004 წლის 23 აპრილს პროკურატურის ბრძანებით სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე დააკავეს კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი, რომელსაც აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. 2004 წლის ივლისში სულხან მოლაშვილის ძმას, თორნიკე მოლაშვილს დაუკავშირდნენ პროკურატურიდან და სულხან მოლაშვილის აღკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის არასაპატიმრო სასჯელით შეცვლის სანაცვლოდ მოსთხოვეს წავკისში მდებარე ერთ-ერთი აგარაკის შეძენა და შემდგომში სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა. თორნიკე მოლაშვილმა და სულხან მო-

ლაშვილის მეუღლემ, თამთამ ბანკში 140 ათასი ლარის ოდენობით კრედიტი აიღეს, იყიდეს აღნიშნული აგარაკი და სახელმწიფოზე გააფორმეს. გამომძიებლებმა პირობა არ შეასრულეს და სულხან მოლაშვილი პატიმრობაში დატოვეს. ერთი წლის შემდეგ მოლაშვილს 9 წლით პატიმრობა შეუფარდეს. მას ბრალი არ უღიარებია. საპატიმროში მოლაშვილმა სამი წელი გაატარა. 2008 წელს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის თხოვნით, სულხან მოლაშვილი შეიწყალა. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ 2014 წელს მოლაშვილის წამების ფაქტი აღიარა. ერთ-ერთ ინტერვიუში სულხანმა განაცხადა: „ჩემი საქმე იყო პირველი ეტაპი. მაშინ ოქრუაშვილმა მოაწერა ხელი ჩემს საბრალდებო დასკვნას, რომელიც მხოლოდ სიცრუეზე იყო აგებული და ეს კარგა ხანია დადასტურდა შესაბამისი დოკუმენტებით. ჩემ მიმართ ათასგვარი უსამართლობა ჩაიდინეს. თანამშრომლებისთვის პრემიის სახით 37.000 ლარის დარიგება ჩაითვალა უფლებამოსილების გადამეტებად და თანამდებობის ბოროტად გამოყენებად. მაშინ, როდესაც იუსტიციის მინისტრობის დროს, იმავეს თვითონ აკეთებდა. უსამართლობა მაშინვე ხდებოდა, როცა თვალი დახუჭეს მაშინდელმა ომბუდსმენმა და ასევე ბევრმა, ძალიან ცნობილმა პირმა, რომლებიც დღეს დემოკრატობანას თამაშობენ. უსამართლობა ხდებოდა მაშინ, როცა ღამის 3 საათზე ჩაატარეს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩემი სასამართლო პროცესი და ამას მხოლოდ პროკურორი და მოსამართლე ესწრებოდნენ. არც მე, როგორც ბრალდებული, რომლისთვისაც პატიმრობის ვადა უნდა გაეგრძელებინათ, არც ჩემი დამცველი, არც მოწმე ექსპერტი არ დასწრებიან. ამ დროს სახალხო დამცველის წარმომადგენლები შერცხვენილები გარეთ იდგნენ და გაოცებულები ჩემს ნათესავებსაც ვერ სცემდნენ პასუხს... მაშინ ბევრმა ადამიანმა ეს „გაატარა“, ისევე, როგორც სხვა პატიმრების წამების პროცესი. სააკაშვილი რომ ამბობს, არ ვიცოდი, რა ხდებოდაო, საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ის ტყუის! თვითონ მიხეილ სააკაშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა, ვანო მერაბიშვილმა და ირაკლი ოქრუაშვილმა შექმნეს ეს სისტემა, ...ჩემი წამების საქმე 2004 წელს აღიძრა, მაშინ ინგა გრიგოლიასთან პირდაპირ ეთერში ზურაბ ადეიშვილმა საჯაროდ დადო პირობა, რომ ამ საქმეს გამოიძიებდა, მაგრამ დღემდე ეს საქმე ისევ „თაროზე დევს“. ეს არის ადეიშვილის სამართლიანობა! გამოქვეყნებულ მასალებს, რომლის შეფასებისას ხალხი სიტყვებს ვერ პოულობს, ის მნიშვნელობა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ გაჯიუტებულ ადამიანებს, რომლებიც სააკაშვილის მომხრეები არიან, თვალი აეხილოს. მომავალში კი მკაცრად უნდა მოვთხოვოთ პასუხი ამ საშინელებების ავტორებსა და სულისჩამდგმელებს, რომ აღარასოდეს გამეორდეს ასეთი აღვირახსნილობა და ფაშიზმი, პირველი პირისგან წამოსული სისხლისმსმელი კანონები. წამება და გაუპატიურება ყოველთვის ხდებო-

და საკაშვილის ციხეში. ეს იწერებოდა პრესაში, თუმცა ბევრი მალავდა, მაგრამ ხალხმა იცოდა. მე გავახმაურე ჩემი წამების ფაქტი, სამართალდამცავ ორგანოებსაც მივმართე, მაგრამ რა რეაგირება მოჰყვა?!. არა მარტო პატიმრების წამება, არამედ იქ უარესი ფაქტებიც ხდებოდა“.

ლია მუხაშავრია სულხანის შესახებ ამბობდა: „მე ის მოვინახულე, თუ არ ვცდები, ორჯერ თუ სამჯერ, როდესაც უკვე გადაყვანილი იყო, მძიმედ ჯანმრთელობაშერყეული, ეგრეთ წოდებულ რეზბალნიცაზე და მაშინ, მახსოვს, რომ მას ჰქონდა ძალიან მნიშვნელოვნად წონა დაკლებული — 60 კილოგრამამდე დაიკლო წონაში... სულხან მოლაშვილი მე-7 საპყრობილეში საერთაშორისო ექსპერტებმაც მოინახულეს და პატიმრის წამების შესახებ ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო ანგარიშებშიც მოხვდა. წამება და ადამიანის მიმართ არაადამიანური მოპყრობა, ადვოკატის თანახმად, ცივილიზებულ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლება და, შესაბამისად, სულხან მოლაშვილის საქმის ხელახალი გამოძიება აუცილებელია იმისთვისაც, რომ მსგავსი პრეცედენტები აღარ განმეორდეს...“ — თუმცა საპირისპიროს ამტკიცებდნენ ნაცპროკურორები და ასევე ნაცხროვის წარმომადგენლები. მათი უტიფარი განცხადებების გამეორება არც ღირს... თუნდაც ამ ერთ ტრაგიკულ მაგალითზე, ძალიან სამწუხარო გარემოება იკვეთება, სტრასბურგის დასკვნის გარეშე ჩვენი ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურებისთვის არ იყო ცნობილი ვინ, რატომ და ვისი ბრძანებით დააპატიმრა სულხან მოლაშვილი? მისი წამების შესახებ არ იყო ცნობილი? რამდენმა ადამიანმა გაიარა უარესი ან შედარებით „უკეთესი“ გზა, რამდენი ადამიანის საჩივარი იკიდებს ობს დღესაც პროკურატურაში. თუ, აუცილებელია, სტრასბურგში გასაჩივრდეს, წართმეული ღირსება რომ დაიბრუნოს ხალხმა. თუ, ვერაფერს წყვეტს ჩვენი ქვეყნის პროკურატურა, მაშინ რისთვის იღებენ ხელფასს ბიუჯეტიდან? პროკურატურაში ჯერ კიდევ უამრავი ის პროკურორია მოკალათებული, რომლებიც ადეიშვილის დავალებით კერძო საკუთრების „ახევით“ იყო დაკავებული და მტკიცებულებების გარეშე 15 წელს უსჯიდა ხალხს. მაგალითად, პროკურორმა გია შარიქაძემ ყველანაირი მტკიცებულებების გარეშე ჩემი და ჩემი შვილების ნათლობის ჯვრები, ქორწინების ბეჭდები დაუსაბუთებელ ქონებად ცნო, სამართლიანი სასამართლოს უფლებაც წამართვა, რადგან უპრინციპო მოსამართლე ნატო ხუჯაძეს ჩემი თანდასწრებით აიძულებდა, მისი ბრძანება შეესრულებინა და მოსამართლის ფუნქციაც თვითონ ჰქონდა შეთავსებული. გია შარიქაძე, რომელიც კორუმპირებული პროკურორის სახელით იყო ცნობილი ჯერ კიდევ ხარაგაულიდან, დღესაც აგრძელებს მთავარ პროკურატურაში მოღვაწეობას. რატომ? იმიტომ, რომ დამსახურება აქვს ადეიშვილის და საკაშვილის წინაშე. ან, როგორ უნდა ბედავდეს დღესაც სულხანის სახელის ლაფში ამოსვრას პროკურორი, რომელსაც არც არასდროს ჰქონია ღირსება და ახლა სულ გაბანძდა თავისი სულელური ზღაპრების წყალობით. სხვათა შორის, „ეგ“ პროკურორი თავის დროზე გაუმაძღრობას გადაჰყვა, უშიშროების საბჭოს ერთ ყოფილ ჩინოსანზეც გადამტერებული იყო და ისიც იდიოტური ბრალდებით დაიჭირეს. მაშინ მიდგნენ, მოდგნენ მისი მეგობრები და ოქრუაშვილს, როგორც ამბობენ, მილიონი დოლარი ჩაახუტეს. აპელაციამ „ბრალდებული“ დარბაზიდან გაათავისუფლა და შეურაცხადი გახადა ქალაქის პროკურორი. შემდეგ „შავები“ მიუგზავნა, ოქრუაშვილს მილიონი რომ გადაუხადე, მე ნახევარი მილიონი მაინც მომეციო. მანამდე მე ჩავწერე ფარულად პროკურატურის „კორუფციული“ სქემა, შემდეგ სხვამ „შავების“ (ამ დროს გაქანებული თაღლითი იყო შუამავალი) და პროკურორიც „დააცურეს“, დაჭერას ძმის დამსახურებების გამო გადაურჩა მაშინ. ხოლო შუამავალი თაღლითობის მუხლით დააპატიმრეს (პროკურორის სახელს ჩემი უახლოესი მეგობრის თხოვნით არ ვახსენებ, ისედაც ყველა მიხვდება, ვისზეა საუბარი). შავებს და ქურდებს ვითომ ებრძოდა ნაცხელისუფლება და ამ დროს აქტიურად იყენებდნენ საჭიროებისამებრ...

სამარცხვინო პასუხია, როცა გიხსნიან, რომ „მაშინ“ ასეთი ტენდენცია იყო, არადა, კანონი რომ „ტენდენცია“ არ არის, ვფიქრობ, დაახლოებით მაინც იციან. პროკურორი, რომელიც დღესაც უტიფრად ამტკიცებს, რომ სულხანი დამნაშავე იყო, ვფიქრობ, დასაჭერი კი არა, ჩასაქოლია, გიორგი ლაცაბიძე გაჰყვიროდა, არ ვცნობ თავს დამნაშავედო, ვინც მაგ ვირთხის პროკურორობის დროს არ ცნობდა თავს დამნაშავედ, რატომ ისჯებოდნენ დაუმსახურებლად, ვინმემ მოიკითხოს, ან რა განათლება აქვს მიღებული, სად და ერთი ხურჯინით ხარაგაულიდან ჩამოსულმა, როგორ მოახერხა ამხელა ქონების შეძენა. თუკი მოლაშვილს არ შეიძლებოდა ჰქონოდა აგარაკი, კაცს, რომელსაც სახლიც არ ჰქონდა და მეუღლის სახლში ცხოვრობდა, პროკურატურაში მთიანი რეგიონიდან შემოჭრილმა ვირთხებმა როგორ მოახერხეს გამდიდრება. ნუ, ადეიშვილი ზურაბი, რომ „კუმირად“ გეყოლება, გამდიდრების მრავალ ხერხს გასწავლის. ვფიქრობ, ადეიშვილის კადრებს გაუჭირდებათ აღადგინონ სამართლიანობა — თავის თავს ან „მეგობარს“ ხომ არ წაუყენებენ ბრალს? არადა, დასჯა უსამართლო განაჩენების, ხალხის წამების და ათასი სისაძაგლის გამო სწორედ ნაცპროკურორების სამაგალითო დასჯით უნდა დაწყებულიყო. რადგან ის ბინძური სცენარები, რომელთაც ოპერატიული სამსახურები

დგამდნენ, სწორედ პროკურატურის შენობაში იწერებოდა. თუ ხელისუფლება ვერ მოახერხებს გაწმინდოს მთავარი პროკურატურა სისხლში გასვრილი პროკურორებისაგან, მაშინ ამის გაკეთება ხალხს მოუწევს. სტრასბურგის გარეშე, სიცოცხლეში და არა სიკვდილის შემდეგ. სანამ ეს არ მოხდება, სამართლიანობა არ აღდგება.

რამდენიმე დღის წინ ევროპიდან ყოფილი პატიმარი შემეხმიანა და სად-ის სამედიცინო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის შესახებ მკითხა, აინტერესებდა, პასუხისგებაში მისცეს თუ არა. სწორედ დავით ასათიანი „აპრავებდა“ ციხე კოლონიაში ცემით მოკლულ პატიმრებს, მას „სად“-ის მაშინდელი საგამოძიებო და ზედამხედველი პროკურორი ეხმარებოდა. სწორედ ასათიანი იყო „დოც“ და „დოც+“ პროგრამას დაწესებულებების დირექტორების დახმარებით რომ ტენიდა პატიმრებს და ქიმიურ პრეპარატებს ძალით უკეთებდნენ და ასმევდნენ. პირადად ჩემი საჩივრის საფუძველზე იყო აღნიშნულთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრული. პროკურატურამ კი „სად“-ის საგამოძიებოს გადააწერა, ანუ, ვისაც ვუჩიოდი, თურმე მას უნდა გამოეძიებინა. ასეთი უამრავი მაგალითია, ციხე კოლონიაში უამრავი ადამიანი დაავადდა, უამრავი სად-ის „მონდომებით“ გარდაიცვალა. პროკურატურა რისი გამკეთებელია, სულხანის მაგალითითაც გამოჩნდა. საინტერესოა, დაისჯება თუ არა პროკურორი და მოსამართლეც, რომელმაც თემიდას თვალები დასთხარა, სულხანი კი სასიკვდილოდ გაიმეტა. ეს იქნება ტესტი, როგორც ხელისუფლების ასევე პროკურატურისთვის. აგარაკი სიცოცხლის სანაცვლოდ, მართლაც უცნაურად ჟღერს, საინტერესოა, პროკურატურა ხარძიანის, ვაზაგაშვილის, კრიალაშვილის, რობაქიძის და სხვათა ჭირისუფლებს რას სთავაზობს, მიცვალებულების გაცოცხლებას? როდემდე უნდა იყოს ამ ქვეყანაში ნაცების მიერ დანერგილი შერჩევითი სამართალი, ან ამ ქვეყანაში კანონის წინაშე ყველა თანასწორია? ნაცმკვლელებს იგივე სასჯელს უსჯიან მოსამართლეები, რომლებიც გამხმარი ხის მოჭრაზე და სპილენძის ქვაბის მოპარვაზე უსჯიდნენ მიშას ზეობის პერიოდში. მიშას „აშენებული“ სასამართლო და პროკურატურა დემონტაჟს საჭიროებს. როგორც ნაცების დროს მიღებული ყველა კანონი და, პირველ რიგში, კონსტიტუციაში შეტანილი არასერიოზული ცვლილებები. ძნელი სათქმელი და საფიქრალია, ვინ მოაბამს ამ ყველაფერს თავს... მანამდე კი პროკურატურა უნდა გაიწმინდოს, ვინც ერთხელ მაინც გაიმეტა უდანაშაულო ადამიანი თავისი კეთილდღეობისთვის, ის კიდევ ბევრჯერ გაიმეორებს ამას.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ამ ტელევიზიების მაყურებლებს კიდევ გიკვირთ, შვილმა დედა რომ შეჭამა?

მრავალათაგან მოგვისმენია, მათ შორის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისგან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პარტიის, მოკლე დახასიათება: „ტერორისტული ორგანიზაცია“, „კრიმინალური სექტა“, „ნაცბანდა“, „მკვლელების გაერთიანება“ და ა.შ ხალხს შეკითხვა აქვს: თუ ეს მართლაც ასეა (არც არავის ეპარება ეჭვი), თუ მათი ტრიბუნა არ არის სრულიად საეთერო სივრცე, რატომ იწვევენ ტელევიზიები სტუმრად ეთერში, ან რატომ სთხოვენ კომენტარებს, იღებენ ინტერვიუებს, ეკითხებიან ჭკუას? ვინ შემოგვატყუა ხელოვნურად შექმნილი ფრაზა-მდგომარეობა „დაბალანსებული მედია“? სად ვხედავთ დაბალანსებულ მედიას, ან რატომ უნდა იყოს ხელოვნურად დაბალანსებული თუ რეალობა სხვაგვარია? რომელ ტელევიზიას რა ერქმევა და რომელ გადაცემას ვინ წაიყვანს, რა მნიშვნელობა აქვს, როცა ყველა ტელევიზიის კრებსითი

სახელი გნებავთ, ინგა გრიგოლიაა, გნებავთ, გიორგი გაბუნია? ან რა მნიშვნელობა აქვს რომელი ტელევიზიის სტუდიაში მიმდინარეობს გადაცემის ჩაწერა, როცა ნებისმიერი გადაცემის სტუმრები მუდმივად ერთი და იგივე „ნაცსახეები“ არიან?

დიახ, სერიოზულად ბორგავს ხალხი, როცა ტელეეკრანზე ჩვეულ სტილში კვლავ გაბუნიასა და ბაქრაძის დიალოგს ისმენს თემაზე, როგორ კარგად აქვს საქმე „ნაციონალურ მოძრაობას“ და არჩევენ ოდესაში ჩასახლებული ძებნილის გამონათქვამებსა და მითითება-მოწოდებებს, განსაკუთრებით „გადაჯგუფების“ არსს. მერე რა, თუ ბაქრაძე ისეთს ბოდავდა, თვით გაბუნიაც კი არ დაეთანხმა, მაინც განაგძობდა ისეთ დემაგოგიას, საზღვრები რომ დაკარგული აქვს. და მხოლოდ ესენი? — ინგა გრიგოლიას მეტყველებას, ხალხმა უკვე დიდი ხანია „ბულდოგის ყეფა“ დაარქვა...

სხვა მხრივ კი, „თოქ-შოუა“, დებატები, გასართობი შოუ, მუსიკალური, კულინარია თუ სხვა, ნებისმიერი, ტრიალებენ და ტრიალებენ დაუსრულებლად ერთი და იგივე სახეები „ნაცმოძრაობიდან“ და მათი მეხოტბე ე. წ ხელოვანი მდედრები და მამრები.

როგორც ხალხი ამბობს, ხელოვანი მედროვეების მეხოტბეობის „ბედნიერი ერაც“ ძველებურად გრძელდება. ეს ის კატეგორიაა, რომლებიც არსად არ დაიკარგებიან, მიუხედავად იმისა, „მიშას კარი მომღერლები“ შეარქვა სწორედ ხალხმა. ნიაზ დიასამიძე დაირქმევს „41 ა-ს“; ზუმბა ჩაატარებს „არტ-ბერა გენს“; სეფაშვილი — „ჩემი ბიძო გიწოდე, ხელი გამოგიწოდე; იმედა კახიანი „ჭორვილელ ჭაბუკში“ ითამაშებს და ა.შ ერთადერთმა, ნინა წკრიალაშვილმა განაცხადა, ამ მთავრობას არ ვუმღერებო და იქით დასცინეს, „არ უმღერებ თორემ, ბებიაშენისამ, შენი სიმღერა „მატირე“, კოსმოსშია გაგზავნილი „ჩაკრულოსთან“ ერთადო. აი, ასეთია დღევანდელი უსიმპათიურო რეალობა ამ მიმართულებით...

ის, რასაც ჩვენ მედიით ვხედავთ და მავანი „დაბალანსებად“ ნათლავს, უმეტეს შემთხვევაში სწორედ რომ ანტიქართულია, ანტიადამიანურია, მკრეხელურია, სამარცხვინოა, მერე კი გვიკვირს, შვილმა დედა შეჭამაო...

„ნაცმოძრაობის“ ბინძური კასრიდან ვერ დაგვიღწევია თავი, გვზელენ მათთან ერთად და გამოჰყავთ ადამიანის ახალი სახე, პორტირებული პოლიტიკოსი, ხელოვანი თუ უბრალოდ, რიგითი მოქალაქე?

რაგინდ განათლებული ან პირიქით, უწიგნური იყოს, „ნაცმოძრაობის“ წევრობა, გულშემატკივრობა ან სხვა ნებისმიერი ფორმით მათთან „გახახუნება“ რომელიმე კონკრეტული და ნებისმიერი ადამიანის მოკლე დახასიათებაა (გარდა გონებრივი მაჩვენებლისა): ავანტიურისტი, შანტაჟისტი, მიდრეკილი ძალადობისკენ, მომხვეჭელობისკენ, ბოროტებისკენ, ყველა სახის ავკაცობისკენ.

ვის ხელშიც ტელევიზიებია, მის ხელშია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და სახელი მშენებლობა, საძირკვლიდან უნდა დაიწყოს, იმ საძირკვლიდან, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ბეტონით გადალესეს და შავი მიწაც წააყარეს ხან „მოქალაქეთა კავშირის“, ხან „ნაცმოძრაობის“ სახით საბოლოოდ დასასამარებლად.

სანამ ჰაერში იქნება გამოკიდებული საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის (თუ თვითმკვლელობის) ამბავი; სანამ ყველა, უპირველესად კი უახლესი წარსულიდან, პასუხს არ აგებენ ჩადენილი დანაშაულისთვის; სანამ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა და კანონით არ აიკრძალება ნებისმიერი ფაშისტური გამოვლინების პარტია, ორგანიზაცია თუ სექტა, ვერანაირი ახალი საქართველო ვერ აშენდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ჩაფენილ ნიადაგზე პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დროშის ფრიალის ქვეშ!

მორბენალ თავწაცლილ ქათამს თუ დროულად არ მიხედავს კარგი დიასახლისი, ჯერ ხომ სისხლით მოთხვრის იქაურობას, შემდეგ კი, რომ გაცივდება, აღარც გაიპუტება, ხოლო თუ კიდევ არ მიეხედა აჰა, წლებია უმდარესი სერიალებით იკვებება საქართველოს მოზრდილი ნაწილი; შემეცნებით და რაიმე ღირებულების მქონე ადამიანურ მულტიპლიკაციურ ფილმს ვეღარ ნახავს მოზარდი თაობა, მხოლოდ ფანტასტიკური ჟანრის ფილმების პერსონაჟების აგრესია და ძალადობა გადმოდის ეკრანიდან. გვაცხოვრებენ არარეალურ სამყაროში და გვკვებავენ კულუარებში დაწერილი სცენარებით. გადაცემის წამყვანი, სულ მცირე, ჯანმრთელად მაინც ხომ უნდა გამოიყურებოდეს? ეკრანზე „წამომჯდარმა სახემ“ მაყურებელს დადებითი ემოცია უნდა გაუჩინოს როგორც ვიზუალით, ისე, მეტყველებით თუ პირიქით, წყევლაგინება აღავლენინოს? ეს ხალხის აზრია და ცდება ხალხი?

ახალი საქართველოს დაჩქარებული აღმშენებლობა თუ მართლა არის ჩვენს გეგმაში, სახურავიდან ვერ დაიწყება მიდროზე, აამყრალებს გარემოს...

ნამდვილად ამყრალდება, რადგან სამართლიანობის ამაოდ მომლოდინე იმედგაწურული ადამიანები უკვე ღიად ამბობენ: დამთავრდა კოჰაბიტაცია და ესენი მაინც არ ამთავრებენ? ჰოდა, სხვა გზა არ არის, დაუმსახურებლად ჩაგვსვა ციხეებში მიშამ? — ახლა დამსახურებულად ჩავჯდებით, ამ სატანის მოციქულებს ბაღლინჯოებივით სათითაოდ გავსრესთ სადაც დავინახავთო...

შურისმაძიებელი მშენებლების ძველი ილეთია — როდესაც დამკვეთი უდიერად ექცევა დაქირავებულებს, მშენებლობისას კვერცხს ატანენ გაჯწასმულ და გალესილ კედელში. დიდი დრო უნდა კვერცხის ლპობის სუნის გამოღწევას კედლიდან, მაგრამ ისეთი სუნი დგება, იქ ცხოვრება შეუძლებელი ხდება, არადა, არაფრით იდევნება სიმყრალე...

გნებავთ საზოგადოების თხოვნად მიიღეთ, ვისაც ეს ეხება, გნებავთ — მოთხოვნად: ახალი საქართველოს აღმშენებლობისას ნუ ჩაგვიტნევთ კედელში ნაციონალურ კვერცხს ასაყროლებლად!

გიორგი ჩხეიძე

„თითქმის ყველა სკოლაში არიან სატანისტი ბავშვები. ამის შესახებ იციან სკოლის დირექტორებმა, მაგრამ ამაზე ხმამაღლა ვერ საუბრობენ“

სანამ საზოგადოება 19 ოქტომბერს თბილისში მომხდარი საზარელი მკვლელობით გამოწვეული შოკიდან გამორკვეულა, საქალაქო სასამართლოში მკვლელობაში ბრალდებულების სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. საქმის პროკურორის ზვიად ფხაკაძის განმარტებით, საქმეში კანიბალიზმისა და რიტუალური მკვლელობის ნიშნები იკვეთება. ვინაიდან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კანიბალიზმის და რიტუალური მკვლელობის დასჯადი მუხლი არ არსებობს, დაკავებულებს ბრალი 109-ე მუხლით წაუყენეს, რაც განსაკუთრებული სისატიკით ჩადენილ ჯგუფურ, განზრახ მკვლელობას გულისხმობს. დანაშაულის მოტივად გარდაცვლილისა და მისი ქალიშვილის ხშირი კონფლიქტი სახელდება, რაც ძირითადად, გოგონას გოთური სუბკულტურით გოგონას დაინტერესებითა და საეჭვო რეპუტაციის ადამიანებთან მეგობრობით იყო გამოწვეული. გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილი 76 წლის ლუბა ყოჩიაშვილი სამხატვრო აკადემიის ლექტორი იყო, მისი მეუღლე ომარ ყოჩიაშვილი კი ინჟინერი გახლავთ. 20 წლის წინ ცოლ-ქმარს ერთადერთი, 19 წლის შვილი ლეიკემიით გარდაეცვალა და სწორედ მაშინ იშვილეს ჩვილი გოგონა-ირმა ყოჩიაშვილი, რომელიც დღეს საბრალდებო სკამზე ზის. მოკლულის მეზობლების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მშობლებისგან სითბო და სიყვარული არ აკლდა, გოგონა არავისთან მეგობრობდა და ჩაკეტილი ცხოვრებით ცხოვრობდა. მეზობლების თქმით, ბოლო დროს, ირმა ყოჩიაშვილი გოთების სუბკულტურის მიმდევარი გახდა „უცნაური“ სამეგობრო გაიჩინა. რაც შეეხება მის შეყვარებულს და საქმეში ერთ-ერთ ბრალდებულს, 23 წლის ბექა შენგელია 2016 წლის მაისში გია ჯაჯანიძის შოუში „სხვა რაკურსი“ მონაწილეობდა. გადაცემა საქართველოში არსებულ სექტებს და მასში ჩართული ახალგაზრდების ბედს ეხებოდა. მე ვარ ადამიანი, რომელიც თაობის ეპიცენტრშია და იცნობს სამოქალაქო საზოგადოებას ამ კუთხით— განაცხადა ბექა შენგელიამ გადაცემის მიმდინარეობისას, ბესო ჩუბინიძესთან პოლემიკის დროს. „დღევანდელ თაობას, რომელიც ემო-კულტურას, პანკ, როკ და გოთ კულტურებს მიეკუთვნება, აქვს ლოზუნგი, რომ ნებისმიერი ძალადობა უგუნურებაა. აქედან გამომდინარე, მათზე ძალადობა იწვევს უფრო გამძაფრებით პროტესტს. ეს ვენების დასერვა და ა.შ. ფსიქიკური აშლა არ არის, იმიტომ, რომ ზოგიერთი მათგანი შვებას იღებს ამით“— განმარტა შენგელიამ. სკანდალური გადაცემის ერთ-ერთი სტუმარი, ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე იხსენებს, რომ გადაცემის დასრულების შემდეგ ბექა შენგელიას და მასთან მყოფ მეორე პირს საკუთარი მობილურის ნომერი გადასცა და უთხრა, რომ რომ თუ დახმარება დაჭირდებოდათ, დაკავშირებოდნენ, თუმცა ასეთი კომუნიკაცია არ შემდგარა. ამ ბიჭებს რომ ვუსმენდი, ისეთი განცდა მქონდა, რომ რაღაცის შეცვლა და გამოსწორება უნდოდათ, მაგრამ არ შეეძლოთ— აღნიშნა ჩვენთან საუბარში **გიორგი ბურჯანაძემ**.

— რაც შეეხება თავად გადაცემას, ამ ადამიანებმა დაინახეს, რომ მათ მხარდამჭერები ჰყავდათ, რაც ჩემი აზრით, ძალიან დიდი შეცდომა იყო. ვიღაც კარგად ახერხებს ამ ახალგაზრდებს ჩაუნერგოს რწმენა, რომ დამოუკიდებლები არიან და როგორც სურთ, ისე იცხოვრებენ.

ვცდილობთ ამ ხალხზე გავიდეთ და საზოგადოებას მათ შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია მივაწოდოთ. არ შეიძლება 12-13 წლის გოგო-ბიჭები სატანისტური ჯგუფების მსხვერპლი ხდებოდნენ და ჩვენ ამას მშვიდად ვუყურებდეთ. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ამ დღეებში მოძღვართან ერთად, შევძელით ერთ-ერთი ასეთი დაჯგუფებიდან 13 წლის გოგონას დახსნა და მომავალშიც, მზად ვარ ყველა მშობელს დავეხმარო. ბავშვი რომ ერთი კვირის განმავლობაში სკოლაში და სახლში არ მივა, რას აკეთებს ამ დროს ოჯახი, სამეგობრო, სანათესაო, ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური სააგენტო და პოლიცია? კანონის თანახმად, დაკარგულზე ძებნა მხოლოდ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ცხადდება, ამასობაში კი გვიანდება. ამიტომ უნდა შევიტანოთ კანონში ცვლილება, რომ დაკარგულ ბავშვზე ძებნა დროულად გამოცხადდეს. პოლიციამ ყოველდღიურად და ყოველწუთიერად უნდა აკონტროლოს „ცხელი წერტილები“. აუცილებლად, ვინმე უნდა შეჭამონ, რომ ზერელე დამოკიდებულებიდან მოქმედებაზე გადავიდეთ?

აგრესიული სექტების მომრავლებაზე და სკოლებში სატანისტური რიტუალების აღსრულების ფაქტებზე წლების წინ, განათლების ექსპერტთან ერთად ვსაუბრობდით, ამიტომ მომხდართან დაკავშირებით **მანანა ნიკოლაიშვილის** პოზიციითაც დავინტერესდით. ექსპერტი დარწმუნებულია, რომ სატანიზმის მომძლავრების ერთ-ერთი მიზეზი ოჯახის ინსტიტუტის დასუსტებაა.

— მოგეხსენებათ, საქართველოში ოჯახის ინსტიტუტი დასუსტდა და ფაქტობრივად, წაიშალა. მძიმე სოციალ-ეკონომიკური ფონის გამო, სარჩოს საძიებლად, ქვეყნიდან ორი მილიონი ადამიანი გავიდა, რომელთა უმეტესობა დედაა. ადამიანი, რომელიც შვილს ყველაზე დიდ სითბოს და სიყვარულს აძლევს. მამები სახლში გვიან ან საერთოდ არ შედიან და ეს წლების მანძილზე გრძელდება. მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ზოგი ბავშვი ბებიის ან ნათესავის ამარაა დარჩენილი. ზოგი კი ქუჩაშია „გავარდნილი“.. ახალგაზრდობას დეპრესიის სხვადასხვა ფორმები და ფობიები აწუხებს. აღარაფერს ვამბობ ნარკოტიკებზე, ფსიქიკურ აშლილობაზე და ა.შ. რაც შეეხება სკოლას, მიმაჩნია, რომ თეოლოგიური საფუძვლების ცოდნის გარეშე, ადამიანი განათლებული ვერ იქნება, ამიტომ დიდი ხანია ვამბობთ, რომ სკოლებში რელიგია თუნდაც ელემენტალურ დონეზე, მაგრამ უნდა ისწავლებოდეს. უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან და ჩვენც ასე დაგვემართა. თითქმის ყველა სკოლაში არიან სატანისტი ბავშვები. ამის შესახებ იციან სკოლის დირექტორებმა, მაგრამ ხმამაღლა ვერ საუბრობენ, რადგან არ იციან, რა რეაქცია ექნება სახელმწიფოს. ისეთი განცდა მაქვს, რომ სახელმწიფო ამ სექტებს არ ებრძვის.

სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ნორმალური განვითარებისთვის საშიში სექტები უნდა აკრძალოს და ვინც ამას არ დაემორჩილება, უნდა დაისაჯოს. წლების წინ, პატრიარქს დუშეთში ვახლდი. კარგად მახსოვს ძალიან ბევრი ხალხი იყო და როცა წირვა-ლოცვა დამთავრდა, უწმიდესმა ბრძანა, პარლამენტმა ისეთი კანონები უნდა მიიღოს, რომ საშიში სექტები აიკრძალოსო. ეს ჯერ კიდევ საკაშვილის მოსვლამდე ითქვა, მაგრამ ვინ მოუსმინა? იმაზე მნიშვნელოვანს რას გააკეთებს საქართველოს პარლამენტი, ვიდრე მომავალი თაობის გადარჩენაა?

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში ერთ-ერთი ფეისბუკმომხმარებლის სტატუსი გავრცელდა, რომლითაც ავტორი სადისტურ მკვლელობაში ბრალდებულებს თანადგომას უცხადებს და ამხნევებს: „მე არ ვილოცებ თქვენი სულის გადარჩენისთვის, რადგან ეს არაა საჭირო. თქვენი სული დიდი ხნით ადრე გადაარჩინა უფალმა და გარწმუნებთ, ის არ სჯის ადამიანებივით. თუ მე მესმის თქვენი , მას არ სჭირდება რამის გაგება, ის თქვენშია და ამას მოწმობს თქვენი თავგანწირვა. მეამაყებით, ძალიან ვნერვიულობ თქვენს ხვედრზე და ვისურვებდი თქვენნაირ მეგობარს. გარწმუნებთ, ჩემი საყვარელი მეგობრებიც იგივე აზრზე არიან”.

წერილის ავტორისა და „მისი საყვარელი მეგობრების“ პოზიციაზე დასკვნების გაკეთება მკითხველისთვის მიგვინდია. რაც შეეხება ჩვენ პოზიციას, ის სრულ თანხვედრაშია საქართველოს კათალოკოს-პატრიარქის მოწოდების პათოსთან. მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ახალმა პარლამენტმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ სექტებთან მიმართებაში სასწრაფოდ და დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მუშაობა.

ნელი თორდია
571 35 36 88

დავით უსუფაშვილის დიდი პოლიტიკური აფეთქება

დავით უსუფაშვილი „რესპუბლიკური პარტიიდან“ წამოვიდა, თუმცა, როგორც ამბობენ, კი არ წამოვიდა, გამოაგდეს. გამოგდებასა და წამოსვლას შორის კი, მოგეხსენებათ, დიდი განსხვავებაა.

უსუფაშვილის პარტიიდან გამოგდების მიზეზები ოფიციალურად არ სახელდება, თუმცა კულუარებიდან გამოჟონილ ინფორმაციებს თუ დავუჯერებთ, მშობლიურმა პარტიამ ყოფილ ლიდერს პარტიის საერთო ინტერესების ღალატსა და პარტიის ზურგს უკან „ქართულ ოცნებასთან“ კომფორმისტული ხასიათის საიდუმლო გარიგებებში დასდო ბრალი, რის გამოც „რესპუბლიკელებმა“ საარჩევნო ბარიერის გადალახვაც კი ვერ შეძლეს.

– პარტიის თავმჯდომარისგან, უსუფაშვილისგან, იყო დაპირება, რომ „რესპუბლიკური პარტია“ აუცილებლად შევიდოდა პარლამენტში, რისი გარანტიაც მან თითქოს „ქართული ოცნებისგან“ მიიღო, ოღონდ ერთი პირობით: „რესპუბლიკური პარტია“ საარჩევნო პერიოდში არ იქნებოდა რადიკალურად აგრესიული და კრიტიკული „ოცნების“ მისამართით. ჩვენი მხრიდან პირობა შესრულდა – „რესპუბლიკური პარტიის“ წინასაარჩევნო კამპანია არ გასცდენია უწყინარ განცხადებებს და უღიმღამო მოწოდებებს და შედეგიც სათანადო მივიღეთ – სამი თითის კომბინაცია ამომრჩევლისგან!

„რესპუბლიკურ პარტიას“, ფაქტობრივად, არ უწარმოებია საარჩევნო კამპანია, თუ არ ჩავთვლით იმ იდიოტურ კლიპს, ტელევიზიით რომ გადიოდა და რომელსაც, პირობითად, „გავთავისუფლდეთ“ შეიძლება ვუწოდოთ.

ამ „გავთავისუფლდეთ! გავთავისუფლდეთ!“-ის ძახილში ქართველი ამომრჩეველი გათავისუფლდა „რესპუბლიკური პარტიისგან“, რაშიც ბატონ უსუფაშვილს ლომის წილი უდევს! სწორედ ამიტომ გავუშვით პატივცემული დავითი და მისი პატივცემული მეუღლე პარტიიდან, – განუცხადა „რესპუბლიკური პარტიის“ ერთმა წევრმა „საერთო გაზეთს“ და იქვე გვთხოვა, რომ მისი ვინაობა არ დაგვესახელებინა, რასაც, პირობისამებრ, ვასრულებთ.

ჩვენი კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია რომ სიმართლესთან ძალიან ახლოს არის, ამას ადასტურებს „რესპუბლიკური პარტიის“ სხვა წევრების მიერ საჯაროდ გაკეთებული კომენტარები, რომლებშიც იგივე მიზეზებია დასახელებული, რასაც ჩვენი რესპონდენტი ასახელებს, ოღონდ ამ კომენტარებში პირდაპირ ხელს არ ადებენ უსუფაშვილს, თუმცა მიმხვედრი ადვილად მიხვდება, რომ საუბარი სწორედაც რომ ბატონ უსუფაშვილზეა.

ის ფაქტი, რომ დავით უსუფაშვილის წამოსვლა პარტიიდან არჩევნების დამთავრებიდან სულ მოკლე დროში მოხდა, კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ვერსიას, რომ უსუფაშვილის წამოსვლა თუ გამოგდება პარტიიდან, „რესპუბლიკელებისთვის“ კრახით დამთავრებული არჩევნების თემას უკავშირდება.

ჩვენს მკითხველს ემახსოვრება, თუ როგორი დამაჯერებელი ტონით, როგორი რიხით ამტკიცებდა ბატონი დავითი, რომ „რესპუბლიკური პარტია“ არჩევნებში აუცილებლად მიაღწევდა დიდ წარმატებებს, თუმცა ეს ყველაფერი, როგორც ვნახეთ, „ბლეფი“ აღმოჩნდა და „რესპუბლიკურმა პარტიამ“ იმდენად სამარცხვინო შედეგები აჩვენა, რომ პარტიის თავმჯდომარეს, მას რომ ოდნავი თავმოყვარეობა და პასუხისმგებლობა ჰქონდეს, ხმა არ უნდა ამოეღო და

პოლიტიკიდან საერთოდ უნდა წასულიყო. წასულიყო კი არა, უნდა გაპარულიყო, მაგრამ სად თავმოყვარეობა და სად უსუფაშვილი, სად პასუხისმგებლობა და სად უსუფაშვილი?!

გასაკვირი ის არის, რომ ქართულ პოლიტიკურ წრეებში დავით უსუფაშვილი კარგი პოლიტიკოსის, წარმატებული პოლიტიკოსის, ნიჭიერი პოლიტიკოსის სახელით სარგებლობს, თუმცა, რა კონკრეტულ საფუძველს ემყარება და ეფუძნება მისი სახელი და მისი ავტორიტეტი, ვერავინ ვერ გეტყვით და ვერ გეტყვით იმიტომ, რომ ამ სახელს და ავტორიტეტს არანაირი არგუმენტები და მტკიცებულებები არ უმაგრებს ზურგს, რადგან ასეთი არგუმენტები და მტკიცებულებები არ არსებობს.

უსუფაშვილი, უბრალოდ, არის კარგად გაპიარებული, კარგად რეკლამირებული, კარგად შეფუთული და ელექტორატისთვის მომგებიანი ფორმით მიწოდებული უცხოური წარმოების პოლიტიკური ფაბრიკატი, რომელიც ქართველმა მომხმარებელმა არა და არ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ „ნახევარფაბრიკატს“ დიდი შრიფტით აწყობილი იარლიყი აქვს მიტყეპებული – „მადე ინ ბოდბე“, თუმცა ეს ბოდბელი კაცი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ბოდბელი კი არა, ევროპელია, თანაც, ჩვეულებრივი ევროპელი კი არა, კოსმოპოლიტი ევროპელი, რომელიც თავის შვილებსაც კი კოსმოპოლიტურ-გლობალისტური იდეებით ზრდის.

– მე არ ვეუბნები ჩემს შვილს, სამშობლო შეიყვარე, მე ვეუბნები მას: ჩემო შვილო, თქვენ უნდა გაიზარდოთ თავისუფალ ადამიანად, მერე კი ვინც გნებავთ, ის შეიყვარეთ – გინდ სამშობლო, გინდ ქალი, – ასეთია უსუფაშვილის დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი და სახელმწიფოებრივი აზროვნების კრედო.

არა პარტნიორული, არა საკუთარი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე პოზიციების დაცვა, არამედ ქვეშევრდომული, მლიქვნელური დამოკიდებულება ყოველივე იმისადმი, რასაც ხან რეკომენდაციების, ხან ინსტრუქციების, ხან ცუდად შენიღბული დირექტივების სახით გვაწვდიან ქვეყნის გარედან. აი, ეს არის ამ უსუფაშვილის და კიდევ სხვა უსუფაშვილების პოლიტიკური მოღვაწეობის სტილი, რასაც თამამად შეიძლება დავარქვათ მონური კომპლექსი, მონობას კი არც დიდი განათლება სჭირდება, არც დიდი ნიჭიერება და, ზოგადად, არც დიდი პოლიტიკოსობა.

კაცი, რომელმაც საკუთარ პარტიას ვერ უპატრონა, კაცი, რომელიც საკუთარი პარტიიდან გამოაგდეს, ახლა უტიფრად აცხადებს, რომ მთელი ოპოზიციური სპექტრის ერთად თავმოყრას და მის პატრონობას აპირებს.

ერთ, არცთუ ისე მრავალრიცხოვან პარტიას ვერ უთავკაცეთ და ვერ უპატრონეთ თქვენ, პატივცემულო დავით და, მთელ ოპოზიციურ სპექტრს როგორ და რანაირად უნდა უპატრონოთ, თქვე დალოცვილო?

როგორც ერთმა დიდმა კაცმა გითხრათ, პატარა კაცი ხართ, თქვენ, ბატონო დავით, პატარა კაცი, რომელიც, მნიშვნელოვანი და სერიოზული პოლიტიკური ფიგურის ბილის ნიღბის მორგებას ცდილობს, მაგრამ გზადაგზა იმდენ პატარა კაცობას გამოავლენს ხოლმე, რომ მისი დიდკაცობისა არავის სჯერა.

– ორი-სამი თვის სამუშაოა ეს, ყველა პოლიტიკურ სუბიექტს ცალ-ცალკე უნდა დაველაპარაკო და დავეთათბირო... ძალიან სერიოზული სამუშაოა, ძალიან სერიოზული! – სერიოზული სახით ლაპარაკობს ბატონი დავითი და პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ გასაგებად მიანიშნებს, რომ ჯერ არნახული, ჯერ არსმენილი, ჯერ არგაგონილი მასშტაბის ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბებას აანონსებს.

– დიდი ფული უნდა ამას, ძალიან დიდი ფული, თორემ უსუფაშვილი იმ დონის პოლიტიკოსია, ამ საქმეს ბრწყინვალედ გაართმევს თავს, – ამბობენ ვიღაც-ვიღაცები ალბათ, იმ იმედით, რომ უსუფაშვილმა დიდი მაყუთი თუ დაითრია, მათაც არ დაივიწყებს და დროულად შეწეულ სიტყვას სათანადოდ დაუფასებს.

დიდი ფულის შოვნის სურვილით ნაკარნახევი დიდი პოლიტიკური აფიორა გვგონია ის, რის გაკეთებასაც უსუფაშვილი აპირებს.

აფიორა იმიტომ, რომ, რამდენი პოლიტიკური სუბიექტიც უნდა შეიამხანაგოს უსუფაშვილმა თავის პარტიებიანად, რა დიდი კოალიციაც უნდა შექმნას, შედეგი მაინც თითქმის იგივე იქნება, რაც „რესპუბლიკურ პარტიას“ ჰქონდა, რადგან ეს შედეგი არის უსუფაშვილის რეიტინგის ზუსტი მაჩვენებელი, ეს რეიტინგი კი, როგორც იცით, 3%-ს არ აღემატება.

სამპროცენტიანი უსუფაშვილი აპირებს მთების გადატრიალებას?

ვიღაც-ვიღაცებს ავიწყდებათ, რომ პოლიტიკა არ არის არითმეტიკა, სადაც 1+1=2.

არსებობს ილუზორული შეხედულება, თითქოს რამდენიმე დაბალრეიტინგიანი პოლიტიკური პარტიის ერთი ქოლგის ქვეშ თავმოყრა ავტომატურად გამოიწვევს მათი რეიტინგების შეკრებას და დაჯამებას, რაც სრული აბსურდია, რადგან, როგორც ვთქვით, პოლიტიკა არ არის არითმეტიკა.

პირველი, ვინც ამ მომავალი დიდი პოლიტიკური გაერთიანების დამამუხრუჭებელი ძალა, ვინც ამ გაერთიანების ფეხზე გამობმული ლოდი იქნება, ეს არის დავით უსუფაშვილი, ამ გაერთიანების არაპოპულარული, არაქარიზმატული, ურეიტინგო ლიდერი.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, უსუფაშვილმა სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ამერიკელებს საქართველოში ამერიკული ჯარის შემოყვანა და სამხედრო ბაზების განლაგება შესთავაზა.

ვერ გეტყვით, რას ფიქრობდა და რა ეგონა პატივცემულ უსუფაშვილს – გახარებული ამერიკელები ამ „მეფური“ შეთავაზების საპასუხოდ უსუფაშვილს და მის „რესპუბლიკურ პარტიას“ პარლამენტში შეიყვანდნენ თუ შეიტანდნენ, თუმცა ამერიკელები უსუფაშვილის იაფფასიან ავანტურაზე, რა თქმა უნდა, არ წამოეგნენ და პირში ჩალაგამოვლებული უსუფაშვილი მარტოდმარტო შეატოვეს ქართველ ამომრჩეველს, ქართველმა ამომრჩეველმა კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბრანწი უჩვენა ცუღლუტ უსუფას...

ახლაც ასე მოხდება: რამდენი მილიონიც უნდა დაახარჯონ უსუფაშვილს და მის პოლიტიკურ „ანტანტას“, ქართველი ამომრჩევლის პასუხი მაინც იგივე იქნება, რაც 2016 წლის 8 ოქტომბერს იყო...

ასე რომ, ტყუილად ნუ გადაყრით ფულს, ბატონებო, დავით უსუფაშვილის მიერ დაპროექტებულ დიდ პოლიტიკურ აფიორაში, რომელიც სრული კრახისთვის არის განწირული...

გიორგი გამეზარდაშვილი

საინვესტიციო ჰოლოკოსტი

ჩვენ მცირე ეკონომიკა გვაქვს. თუ ასე გაგრძელდა, ლარი ძალიან ცუდად დაამთავრებს არსებობას — ვერც „ეროვნული ბანკის“ ინტერვენციები უშველის და ვერც მთავრობის დაპირებები

გვესაუბრება თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის ვიცე-პრეზიდენტი (1994-2006წ.წ.), ფასიანი ქაღალდების ბაზრის ექსპერტი ვახტანგ ხომიზურაშვილი:

— ბატონო ვახტანგ, ლარის კურსი ყოველდღიურად უფასურდება, ეკონომიკური გუნდი კი დამაიმედებელ პროგნოზებს აკეთებს და გვეუბნება, რომ საგანგაშო არაფერია. როგორია რეალობა? გამომწვევი მიზეზები, ალბათ, კომპლექსურად უნდა განვიხილოთ.

— დიახ, ლარი არანორმალურად იქცევა. კურსი ძალიან მკვეთრად იცვლება, რაც თავად საინვესტიციო გარემოსთვისაა დამაზიანებელი იმიტომ, რომ ბიზნესს ძალიან უჭირს დაგეგმარება, უცხოელი ინვესტორები უკვე თავს არიდებენ აქ ფულის დაბანდებას, რადგან სავალუტო კურსის ასეთი ქცევა იმის მაჩვენებელი და წინაპირობაა, რომ ეკონომიკაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ექსპერტები ამბობენ, ფუნდამენტალური ფაქტორები ლარზე ზემოქმედებას არ განაპირობებსო. ფუნდამენტალური ფაქტორები შემდეგია: პირველი — სტატისტიკური მონაცემები მაკრო-ეკონომიკური პარამეტრების შესახებ, მონეტარული ინდიკატორები და ა.შ., ისტორიულია იმიტომ, რომ დღეს რა მდგომარეობაა არ ვიცით. მეორე — უშუალოდ, მონეტარული პოლიტიკა რომ გავაანალიზოთ, ჯერ „ეროვნულ ბანკის“ საქმიანობას უნდა დავაკვირდეთ — იგი, ამ შემთხვევაში, მიმართულია ე.წ. რბილი მონეტარული პოლიტიკისკენ, რაც ნიშნავს, რომ „ეროვნულმა ბანკმა“, ლარში საპროცენტო განაკვეთის დაწევის შედეგად რეფინანსირების სესხები ბანკებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახადა. ექსპერტები არ იძახიან, რომ უშუალოდ, რეფინანსირების სესხების მიზნობრივი დანიშნულება ბანკების ლიკვიდურობის უზრუნველყოფაა, ანუ მიმდინარე ვალდებულებების შეუფერხებლად გასტუმრება. ეს სესხები წესით, არ მიდის და არც შეიძლება წავიდეს ბიზნესის დაკრედიტირებაში იმიტომ, რომ ეს მოკლევადიანი სესხებია, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმეს ემსახურება. ასე, რომ სიტუაცია შემდეგია: პირველი, რეფინანსირების სესხების გაზრდის შედეგად მოცულობები დაახლოებით, 700 მილიონით გაიზარდა, მაგრამ უძრავი ნაშთი — ერთკვირიანი სესხი რომელიც მერე ტრანსფორმირდება და გრძელვადიან სესხად გარდაიქმნება, ანუ, რაც ბანკებში ილექება, დაახლოებით, 250 მილიონია. სად მიდის ეს თანხა? ბიზნესის დაკრედიტირებაში ნამდვილად არა იმიტომ, რომ საკრედიტო პორტფელი პირიქით, მცირდება; შემცირებულია ექსპორტიც, იმპორტიც, თავად მოხმარებაც, ხალხი ვეღარ ყიდულობს ვერაფერს, ვალების პრობლემამ სოციალური ფონი საერთოდ დაამძიმა. მაშ, სად მიდის ეს თანხები?! ბანკები რატომ ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად უფრო და უფრო მეტ და მეტ თანხებს ითხოვენ. საქმე ისაა, რომ ბანკების ბოლოდროინდელი სტრატეგიული მიმართულება თანხების ე.წ. არაპროფილურ აქტივებში მიმართვაა, ანუ საკუთარი ბიზნესების დაარსებისათვის. ეს არ არის სესხი რომელიც ბრუნდება, არამედ საკმაოდ გრძელვადიანი დაბანდება საფინანსო, სადაზღვევო, სამშენებლო და ა.შ. სექტორში. ანუ ბანკებს პრაქტიკულად, საშუალება მიეცათ რეალური ბიზნესის კონკურენტები გამხდარიყვნენ. ხომ ხვდებით, თუ სამშენებლო კომპანია ბანკის არის, რატომ უნდა დააკრედიტოს სხვა, როცა საკუთარი აქვს? ეს ძალიან მავნე საქმიანობაა. ბანკები მხოლოდ საბანკო ბიზნესს უნდა ახორციელებდნენ და სხვა არავითარი არაპროფილური განშტოებები არ უნდა ჰქონდეთ. ეს მთელს მსოფლიოში ასეა მიღებული და მკაცრი კონტროლის ქვეშაა. ჩვენთან ეს მომენტი აბსოლუტურად მიშვებულია, რაც კარგს არაფერს მოიტანს.

— ეს რამდენადაა „ეროვნული ბანკის“ პრეროგატივა?

— მოგახსენებთ. საქმე ისაა, რომ ინფლაციისა და ფასების კონტროლი წესით, „ეროვნული ბანკისთვის“ პრიორიტეტული არ უნდა იყოს იმიტომ, რომ ჩვენი ეკონომიკა იმპორტზეა ორიენტირებული. იძახიან, ლარის გაუფასურება ექსპორტზე დადებითად მოქმედებსო. ჩვენთან, ექსპორტსა და იმპორტს შორის ბალანსი, 70-30-ზეა, მეტიც, 80-20-ზე. აქედან გამომდინარე, თავისთავად, იმპორტზე ორიენტირებული ბიზნესისთვის ლარის სტაბილურობა ძალიან მნიშვნელოვანია. არასტაბილური ლარი აზიანებს იმპორტს და იმპორტზე ორიენტირებულ ბიზნესს, ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე იმიტომ, რომ ინვესტორებისთვის ეკონომიკაში ეს მიუღებელი მდგომარეობაა. წეღან ვთქვი, რომ ფულის მასა იზრდება, რომელიც ეკონომიკას არ ხმარდება, პირიქით, ლარზე ახდენს ზეწოლას. მეორეც, თუ ლარის კურსი ერთი რომელიმე ტრანზაქციის მიმართ ასეთი მგრძნობიარეა, მაშინ საქმე ძალიან ცუდად ყოფილა. როგორ შეიძლება ერთმა ტრანზაქციამ ქვეყანა დააქციოს?! მეორეც, ფინანსთა მინისტრმა განაცხადა: „იბიარდის“ სესხს ველოდებით და სიტუაცია გამოსწორდებაო. ძალიან ცუდადაა საქმე თუ „იბიარდის“ სესხზე — 60 მილიონზე ვართ დამოკიდებული, რომელიც თურმე, სავალუტო კურსს გამოასწორებს, ეს ნორმალური არაა. ცალკეულ ტრანზაქციაზე, ვიღაცის კარტელურ შეთანხმებაზე, გადმოგვიგდებენ სესხს დახმარების სახით თუ არა, მუდმივად ამაზე რომ არ ვიყოთ დამოკიდებული, პირველ რიგში, ის საინვესტიციო ფინანსური არხები უნდა ავაწყოთ, რომელიც ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების მუდმივ ნაკადს უზრუნველყოფს. მხედველობაში მაქვს არაპირდაპირი ინვესტიციები, რომლებიც ინფრასტრუქტურულ პროექტებს კი არ მოხმარდება, არამედ პორტფელურ ინვესტიციებს, რაც ბიზნეს-სექტორში წავა. ეს მხოლოდ საინვესტიციო გარემოს შექმნით და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების შედეგად მიიღწევა. ამ შემთხვევაში, ბევრი ინვესტორი მიიღებს გადაწყვეტილებას ფული აქ დააბანდოს. დღეს, ეს სიტუაცია არ არის, არამედ გვაქვს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ანუ საბანკო სესხის ალტერნატივა, რომელიც პრაქტიკულად, არ არსებობს, ის ბანკებს უკავიათ და არავითარ შემთხვევაში ხელიდან არ გაუშვებენ იმიტომ, რომ ეს ინტერესების შეჯახებაა. ბანკებს ალტერნატიული წყაროს განვითარება არ აწყობთ. ეს ბუნებრივია. აქედან გამომდინარე, სანამ ეს კვანძი არ გაიხსნება, ჩვენ, მუდმივად ასეთ მდგომარეობაში ვიქნებით, ლარი ყოველთვის იქნება ძალიან მგრძნობიარე, არაჯანსაღი. ეს უკვე დღევანდელი მთავრობის გადასაწყვეტია, ამას კომპლექსური ხედვა,პროფესიონალური მიდგომა, ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენც და ლარიც სულ ასე ციებ-ცხელების რეჟიმში ვიქნებით.

— რაც შეეხება სახელმწიფოს, რა ევალება მას ვითარების გამოსასწორებლად?

— დღეს, ლამის ექსპერტებს დაგვაბრალონ, თქვენ აზვიადებ

დებთ სიტუაციასო. მაპატიეთ, მაგრამ პირველ რიგში, სახელმწიფომ თავის ეროვნულ ვალუტას თვითონ უნდა სცეს პატივი. ახლა, დედოლარიზაციას გაიძახიან. დოლარიზაციის მაჩვენებელი ძალიან მაღალია. პირველ რიგში, ეს მთავრობას ეხება, მან ისეთი ღონისძიებები უნდა გაატაროს, რაც დოლარიზაციას შეამცირებს: უპირველესია ანგარიშსწორების ლარში შემოღება. კანონში ეს გვაქვს, მაგრამ არ სრულდება. კაპიტალურ აქტივებზე, უძრავ-მოძრავ ქონებაზე, ძვირადღირებულ აქციებზე, მათ შორის, ინტელექტუალურ საკუთრებაზე ანგარიშსწორება ლარში უნდა მოხდეს და არა დოლარში. ინვესტიციები რომლებიც ბიზნეს-სექტორში ხორციელდება, აუცილებლად ლარში უნდა იყოს ნომინირებული, ასევე, საპრივატიზაციო ობიექტების ფასი ლარში უნდა დადგინდეს, რათა ლარზე უფრო მეტი მოთხოვნა გაჩნდეს.

ეს მთავრობის გასაკეთებელია. ჩვენთან, აქამდე ვერ მიხვდნენ, რომ კურსის ფორმირების მექანიზმი რომელიც დღეს გამოიყენება, ჩვენი ეკონომიკის მასშტაბების, ტემპებისა და ეკონომიკური საქმიანობის ინტენსიურობისთვის, აბსოლუტურად, მიუღებელია.

— რა კურსია ჩვენთან რეალურად, მუდმივად თავისუფალი მცურავი კურსი გვესმის.

— აქ, არ არის თავისუფალი მცურავი კურსი, არამედ ეს რეგულირებადი კურსია იმიტომ, რომ „ეროვნული ბანკი“ თავისი ინტერვენციების მეშვეობით ჩარევებს ახორციელებს. ადრე, ფრანკფურტის მეთოდი გამოიყენებოდა, რასაც გერმანია ევროკავშირში შესვლამდე იყენებდა. ეს პირდაპირ სავალუტო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას ასახავს, სადაც ბანკების კლიენტურის ჩართულობაცაა. დღეს, ბანკების კლიენტურა ვერ ერთვება იმიტომ, რომ საერთოდ არ იციან ბანკი რა გარიგებას დადებს, როგორ და ა.შ. „ეროვნულმა ბანკმა“ ამას თუ არ მიხედა, მომავალში მიზნობრივად, რაციონალურად და ეფექტიანად ინტერვენციების განხორციელება, ძალიან გაუჭირდება.

ჩვენ მცირე ეკონომიკა გვაქვს. თუ ასე გაგრძელდა, ლარი ძალიან ცუდად დაამთავრებს არსებობას — ვერც „ეროვნული ბანკის“ ინტერვენციები უშველის და ვერც მთავრობის დაპირებები. ეს საკითხი სასწრაფოდ მისახედია. იმედია საღ გადაწყვეტილებას მიიღებენ და ოპტიმალურს გახდიან როგორც ბიუჯეტის ხარჯვას, ასევე, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ხერხებსაც გადახედავენ. მოლოდინი არის შიში — ხვალ რა მოხდება. ამას დომინოს ეფექტს ეძახიან. წინაპირობები დევალვაციის მოლოდინის საშუალებას იძლევა. ეს ძალიან ცუდია, მაგრამ ჩვენმა „ეროვნულმა ბანკმა“ და მთავრობამ ისე უნდა იმოქმედოს, რომ ლარი გარკვეულ დიაპაზონში დაიკავოს. „ეროვნული ბანკი“ ექსპერტების გარკვეულ შეთავაზებებს, ინიციატივებს საერთოდ იგნორირებას უკეთებს. „ეროვნული ბანკი“ და მთავრობა აბსოლუტურად ვერ იყენებენ იმ პოტენციალს, რაც დღეს არსებობს. რჩევებს მაინც მოუსმინონ.

— წელან ახსენეთ, მთავრობამ ლარს პატივი უნდა სცეს, ასევე, ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში უნდა ხდებოდესო. ჩვენთან კი რა ხდება: ადგილობრივ წარმოებას შემოტანილი სჭარბობს, შრომის ბაზარიც დაუცველია, ინვესტორებს საკუთარი მუშახელი მოჰყავთ და ქვეყნიდან დოლარი გააქვთ. აგერ, ჩინეთმა ლამის, სახელმწიფოში სახელმწიფო შეგვიქმნა.

— დიახ, მე ამას პირდაპირ საინვესტიციო ჰოლოკოსტს დავარქმევდი. ექსპორტის ეკონომიკა ქმნის სამუშაო ადგილებს, დასაქმებას, ზრდის ეკონომიკას და დადებითად მოქმედებს იგივე, ვალუტაზე. რა სიტუაციაა ამჟამად? — დღეს, ვხედავთ პირდაპირ უცხოურ კაპიტალს პირდაპირი ინვესტიციის სახით — 100%-იან კაპიტალს რომლის დაბანდება ხდება, მაგრამ ქართველები დაჩაგრულნი არიან. თურქებს, ირანელებს, ჩინელებს ფული ჩამოქვთ და აქ, 100%-იანი მონაწილეობით აფუძნებენ, სადაც უმეტესწილად თავის ხალხს ასაქმებენ და იგივე, დივიდენდების სახით ეს თანხა უკან მიაქვთ. თან საგადასახადო სისტემა იგივე, ირანთან მიმართებაში აქ, უფრო შეღავათიანია. დავსვათ საკითხი: რატომ არ შეიძლება ქართველები იყვნენ ბიზნესის მწარმოებლები და ფლაგმანები, მაგრამ ამასთან ერთად მოიზიდონ იგივე, ჩინური ფული, ნებისმიერი სახელმწიფოს ინვესტორის თანხები? რატომ არ შეიძლება? იმიტომ, რომ ეს შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მოხდეს. აი, როგორ: დავუშვათ წარმოებასთან, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით გარკვეული იდეა გაქვს, შეიმუშავე პროექტი, განახორციელე აქციების გამოშვება და აქციონერები ათასობით ჩინელი, იაპონელი, ევროპელი, ამერიკელი და ა.შ. გაგიხდება. პრაქტიკულად, იდეაში მიიღებ აქციების პაკეტს და იქნები ბიზნესის წარმმართველი, დაასაქმებ ქართველებს და მოიზიდავ, გამოიყენებ იმ ფულს, რომელიც მსოფლიოში დიდი ოდენობითაა და ელოდება სად იქნება მისთვის საინტერესო დაბანდება. მაგრამ ადგილობრივ კომპანიებს დღეს ამის საშულება არ აქვთ იმიტომ, რომ მთლიანად სასესხო კაპიტალზე არიან დამოკიდებულები. ქართული ბიზნესის განვითარების ალტერნატივა პრაქტიკულად, მოსპობილია. ამიტომ, საკითხს ცოტა თანამედროვე თვალით უნდა შევხედოთ და ის კი არ გადმოვიღოთ რაც მიუღებელია, არამედ ის რაც მიზანშეწონილი იქნება ჩვენი ეკონომიკისთვის. ეს შესაძლებელია, მაგრამ ამას სჭირდება ნება, კომპეტენტური ხალხი. დღეს, მონეტარულ პოლიტიკაში, ერთეულების გარდა, ფუნდამენტალურ ცოდნას ვერ ვხედავ. იქამდე მივიდნენ, გაიძახიან, რად გვინდა ლარი, მოდით დოლარი შემოვიღოთო, ეს საერთოდ ქაოსი, ქვეყნის დაქცევაა. ეს კომპეტენციის პრობლემაა, რაც მხოლოდ ექსპერტებს არ ეხებათ, არამედ სამთავრობო გუნდის წევრებსაც, რომლებიც ობიექტურ შეფასებას მოკლებულნი არიან. ალტერნატიული აზრი, ჩართულობა აუცილებელია. ნუ ელოდებით, რომ ვიღაც ბიძია სემი ჩამოვა და რაღაცას გეტყვით. ასეთი რეკომენდაციები, ჩვენი ეკონომიკისთვის, მხოლოდ და მხოლოდ ზიანის მომტანია. სჯობს, ქართველ პროფესიონალებს ჰკითხონ აზრი. დღეს, „ეროვნულ ბანკს“ არ გააჩნია მოქნილი მექანიზმები, რათა იგივე, ფულადი მასა არეგულიროს იმიტომ, რომ ბანკთაშორისი კაპიტალის ბაზარი აბსოლუტურად განუვითარებელია. ვგულისხმობ, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, საბირჟო ბაზარს, ბანკთაშორისი სასესხო ბაზარი საერთოდ არ გვაქვს, აღარაფერს ვამბობ ლარის დაზღვევის ინსტრუმენტების შემოღებაზე, რომელსაც აბსოლუტურად, სხვა პრინციპები სჭირდება. „ეროვნულ ბანკს“ ძალიან უჭირს მონეტარული და სავალუტო პოლიტიკის გატარება. არადა, შესაძლებელია ისეთი მექანიზმების შექმნა, რომელიც „ეროვნულ ბანკს“, ამ მიმართულებით, ორჯერ უფრო ეფექტურს გახდის.

— ბატონო ვახტანგ, ბოლო დროს უცნაური ტენდენცია გამოიკვეთა, დილით კურსი ვთქვათ, 2,40-ია, საღამოს უცებ, 2,45 ხდება. რა იწვევს ამას, ხომ არ ხდება ხელოვნური რყევები, რათა მავანმა ამაში დიდი ფული გააკეთოს?

— სწორედ ამიტომ ვამბობ: ეს სავაჭრო სისტემა, რომელიც შემოღებულია აუცილებლად უნდა შეიცვალოს იმიტომ, რომ ეს გაუმჭირვალე სისტემაა, რომელიც საშუალებას არ იძლევა მოთხოვნა-მიწოდების კონცენტრაცია მოხდეს, ეს სისტემა სასწრაფოდ შესაცვლელია. ეს არის სავალუტო კურსის არასწორი შეფასება, განსაზღვრა, მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობის არასწორად მოდელირება, რაც უნდა შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის, დამახინჯებულ სავალუტო კურსს მივიღებთ, რომელიც მერე ათას უბედურებას გამოიწვევს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

დავით გაგნიძე:

შევარდნაძისა და ნაციონალების მმართველობის პერიოდებში საქართველოდან 50-55 მილიარდი დოლარია გაჟანილი

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძეს ჩვენთან ინტერვიუში არაერთხელ უთქვამს, რომ თითქმის ყველა უწყებაში, მათ შორის ძალოვან და საგამოძიებო სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებს ისევ ნაციონალები იკავებენ, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის წინსვლაზე. ჩვენი რესპოდენტი თითიდან გამოწოვილი მიზეზის გამო დაითხოვეს ნაციონალებმა სამართალდამცავი სისტემიდან, თუმცა მან ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც ვერ იპოვა სამართალი, „აუხსნელი“ მიზეზების გამო, გამოცდილი პროფესიონალი „ოპერატივნიკი“ არც სამსახურში დააბრუნეს და „წინამორბედების“ მსგავსად, ვეტერანი პოლიციელის პენსიის მიღების შანსიც მოუსპეს. ეს იმ დროს, როცა ზონდერპოლიციელები, რომლებსაც მოსახლეობის დარბევა-დატერორებაში დიდი „წვლილი“ მიუძღვით, არათუ აგრძელებენ მუშაობას, არამედ რაღაც „მანქანების“ წყალობით, უფრო მაღალ თანამდებობებსაც იკავებენ.

დავით გაგნიძე: „2007 წელს მე თვითონ გავხდი უკანონობის მსხვერპლი, 23 წელზე მეტი ვიმუშავე შსს-ში, ვარ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის მონაწილე, ბოლოს სოდის თანამშრომელი ვიყავი, უამრავი მადლობა (მათ შორის, მაშინდელი შს მინისტრის მერაბიშვილის ხელმოწერით) და წახალისება მაქვს მიღებული, მაგრამ ბოლოს ვითომდა კანონგადაცდენის გამო ისე დამითხოვეს სამსახურიდან, რომ უპენსიოდაც დამტოვეს. თუ მართლაც რამე დავაშავე, ეს ჩემი უშუალო ხელმძღვანელის დავალებით მოხდა, მაგრამ რატომღაც მარტო მე დამსაჯეს. ოპერატიულ სამსახურში ვმუშაობდი, ხელმძღვანელმა ნიკა სამარღანიშვილმა პოლიციის ინფორმატორისთვის (აგენტი) 1000 ლარი გამომაწერინა, რაც ჩვეულებრივი მუშა პროცესია, ამიტომ ეჭვი არაფერში შემპარვია. ეს თანხა თვალით არ მინახავს, იმ ხელმძღვანელმა აიღო, მერე ისე გამოიყვანეს, რომ თითქოს მე მივითვისე. იმავე წელს აღძრეს სს-ის საქმე, რომელიც დღემდე რეაგირების გარეშე დევს შსს-ს გენინსპექციაში. თუ თანხა მართლაც მივითვისე, მაშინ დაბრუნებას რატომ არ მთხოვენ, ერთხელ ხომ მაინც უნდა დავეკითხე ოფიციალურად, თაროზე რომ შემოდეს ეს საქმე და მხოლოდ სამსახურიდან დათხოვნით შემოიფარგლნენ. ერთია, პროფესიონალი თანამშრომელი რომ არ აწყობდათ და მომიშორეს, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რომ ჩემი საქმე კახი კალაძის ძმის გატაცებასაც უკავშირდება. მე შევარდნაძის მმართველობისასაც ვმუშაობდი ამ საქმეზე, მაშინაც გამაჩერეს, მერე ნაციონალები დაინტერესდნენ, რაღაც შედეგამდე რომ მივედი, ასეთი რაღაც მოხდა, ამიტომ ვფიქრობ, რომ სწორ კვალზე გავედი და არ აწყობდათ სიმართლის გარკვევა. სანამ სამსახურიდან დამითხოვდნენ, ჩემი შვილი ისე მიიღეს პოლიციაში, არავისთვის მითხოვია, მოკლედ, „მძევლად“ აიყვანეს, რომ აღარ მედავა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მივმართე შსს-ს, შევხვდი მინისტრის მაშინდელ მოადგილეს ალეკო ტაბატაძეს, რომელსაც კარგად ვიცნობდი, ადრე ჩემი თანამშრომელი იყო, იცოდა ჩემი გამოცდილების შესახებ, თითქოს სამსახურში აღდგენა უნდოდათ, შემახვედრა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსსაც (მასაც კარგად ვიცნობდი), რომ გადაგვეწყვიტა სამომავლოდ როგორ იმუშავებდა ეს უწყება, მაგრამ მერე ყველაფერი გაჩერდა.



რეპუტაციის შელახვა და ვეტერანი ოფიცრის საარსებო სახსრის გარეშე დატოვება ერთია, მაგრამ პოლიციაში ახალი თაობა ვიღაცამ ხომ უნდა აღზარდოს, შეასწავლოს ოპერთანამშრომელმა როგორ უნდა იმუშაოს. ირაკლი ოქრუაშვილმა შსს-ს მთელი კონტიგენტი ქუჩაში მოისროლა, ნაციონალებს პროფესიონალიზმი რომ არ ჭირდებოდათ გასაგებია, რადგან სასამართლო ცარიელ ფურცელსაც უკანონებდა პროკურატურას, მაგრამ ეს მიდგომა ხომ უნდა შეცვლილიყო. ზუსტად ამ არაპროფესიონალიზმის შედეგი იყო, პროკურატურის წნეხისგან გათავისუფლებულ სასამართლოს, ერთმანეთის მიყოლებით რომ გამოჰქონდა გამამართლებელი განაჩენები. არ გახსოვთ, უმძიმეს დანაშაულობებში ეჭვმიტანილ „ბობოლა“ ნაციონალებს ვერაფერს რომ უმტკიცებდნენ. წლების განმავლობაში ვმუშაობდი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შსს-ში რომ მივედი, გაოცებული დავრჩი, ამ სამსახურის ახალგაზრდა თანამშრომლები უსაქმურობისგან ლამის თვლემდნენ. არადა სამუშაო თავზე საყრელია, ლარის კურსის ასეთი მერყეობა, რაც ხელოვნურადაა გამოწვეული, საბოტაჟის ამდენი შემთხვევა და კიდევ სხვა მრავალი, ზუსტად ამ სამსახურის გამოსაკვლევი და სამუშაოა, ესენი კი უმოქმედოდ ისხდნენ. ვერ გეტყვით დღეს რა ვითარებაა, მაგრამ ამდენი გამოუძიებელი ფაქტის შემხედვარე, ვფიქრობ, დიდად არაფერი შეცვლილა. სიმართლე გითხრათ, იმ ახალგაზრდებს ვერც ვამტყუნებ, არ იციან რა გააკეთონ, ვიღაცამ უნდა ასწავლოს, მაგრამ ვინ ასწავლის, როცა პროფესიონალი იქ თითქმის აღარავინაა. ეს პროფესიონალები კვლავ უმუშევრები არიან, სამაგიეროდ, ნაციონალების მიღებული უცოდინარი კადრები ინიშნებიან მაღალ თანამდებობებზე. ასე ახალგაზრდა კადრები ვერ გაიზრდებიან, ლენინმაც კი გამოიყენა რუსეთის ინტელიგენცია, ჩვენ ხელისუფლებას შეიძლება ძალიანაც უნდა, რომ პროფესიონალები გამოიყენოს, მაგრამ ოკეანისგაღმელი „მეგობრები“ ამის უფლებას არ აძლევენ. უშიშროების სამინისტრო რომ იშლებოდა, პროკურატურა და შსს დავცინოდით,

მერე პროკურატურის დაშლა დაიწყეს, შსს ისევ იცინოდა, ბოლოს ჩვენ მოგვადგნენ, თავის დროზე ამ ორი უწყებისთვის მხარი რომ დაგვეჭირა პოლიციელებს, ასეთ სურათს არ მივიღებდით. მეც იმავე აზრისა ვარ, რომ ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი საკადრო „წმენდაა“, სახელმწიფო უწყებები, განსაკუთრებით ძალოვანი და საგამოძიებო უწყებები ნაციონალების ნარჩენებისგან უნდა გაიწმინდოს. ეს ხელისუფლების შეცვლიდან მალევე უნდა მომხდარიყო, მაგრამ არა უშავს, შეცდომა ახლა გამოვასწოროთ“.

– ბატონო დავით, რა პრინციპით უნდა ჩატარდეს ეს ე.წ. წმენდა თუნდაც შსს-ში?

- პირველ რიგში ის ოფიციალური ზონდერები უნდა დაითხოვონ. გამოცდილ, პროფესიონალ კადრს გადასცენ თანამშრომელთა პირადი საქმეები, თუმცა ეს საქმეები არც უნდათ, წახალისებების ბრძანებები მისცენ, რომელიც მიტინგების დარბევის პერიოდს ემთხვევა. Орი აზრი არ არსებობს, რომ ყველა ამ „წახალისებულს“ ხალხის უმოწყალო დარბევაში აქვს მონაწილეობა მიღებული. მათი სამსახურში დატოვება არაფრით არ შეიძლება, ვინც ფულის გულისთვის ადამიანს არ დაინდობს, ის შენც აუცილებლად გიღალატებს. **კაცი პრემიის გულისთვის რომ საკუთარ ხალხს სასტიკად დაარბევს, როგორ შეიძლება სამართალდამცავ სისტემაში მუშაობდეს?** არ იციან ვინ იყვნენ ეს „მარბიელები“? წითელქურთუკიანები შსს-ს აპარატის თანამშრომლები იყვნენ, ლურჯქურთუკიანები სოდის თანამშრომლები და ა.შ., იქვეა წახალისების ბრძანებებიც, ასე რომ ვის რა აქვს ჩადენილი, ამის გარკვევა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. რომელიმე თანამდებობის პირი შეიძლება ნაციონალების მმართველობისასაც მუშაობდა ამ სისტემაში, მაგრამ ამ სიბინძურეში აქტიურად არ ყოფილა ჩართული, მათთან არ მაქვს პრეტენზია. ის ხალხი უნდა დაისაჯოს, ვინც ხალხის დარბევა-გაუბედურებაში პრემია აიღო. სასტიკი დარბევის შემდეგ, გამწარებულმა ხალხმა პოლიციელებსა თუ სპეცრაზმელებს ავტომანქანები დაუმტვრია. ვანო მერაბიშვილმა ამ თანამშრომლებს პრემიების გარდა, დამატებითი თანხებიც მისცა ავტომანქანების შესაკეთებლად. დღეს ეს ხალხი სამმართველოს უფროსებად და მოადგილეებად მუშაობენ, ამათი სამსახურში დატოვება შეიძლებოდა? ჩემი აზრით, თუ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მისცეს, მინიმუმ ხუთი წლით მაინც უნდა აუკრძალონ ძალოვან სტრუქტურაში მუშაობა. ყველას ოჯახი ყავს სარჩენი და შეიძლება ვერ გაიმეტო სამსახურიდან გასაგდებად, მაგრამ უნდა ჩამოაქვეითონ, დანიშნონ რიგით ოპერ-

თანამშრომლებად და პატრულებად, იმუშაონ პატრულირებასა და ინფორმაციის შეგროვებაზე, არ ჰქონდეთ სხვების საიდუმლო ინფორმაციებთან წვდომა, როგორც კი რაიმე სამსახურებრივი გადაცდომა ექნებათ, მაშინვე მკაცრად მოსთხოვონ პასუხი. ძალოვანი უწყებებიდან თუ პროკურატურიდან შეუფერხებლად რომ ჟონავს ინფორმაცია, სწორედ ამ კონტიგენტის „დამსახურებაა“ და არც საქმიანობაში ხელის შეშლას ერიდებიან. ზოგი შეიძლება ჩამოქვეითებაზე არ დათანხმდეს, მაგრამ იმ ხუთი წლის მერეც რომ გაუჩნდეს სამართალდამცავ სტრუქტურაში დაბრუნების სურვილი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაინიშნოს მაღალ თანამდებობაზე. აი, ასეთი მკაცრი ღონისძიებები უნდა გატარდეს, თუ გვინდა რომ ქვეყანაში ვითარება გამოსწორდეს. დანიშნონ მაღალ თანამდებობებზე ახალგაზრდა კადრები, ენდონ, მაგრამ გვერდით პროფესიონალები დაუყენონ, თანაშემწედ იქნება თუ მრჩევლად, რომ მხოლოდ მათთან კონსულტაციების შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება. დაგვიძახონ ძველ თანამშრომლებს, ჩვენ არც მაღალი თანამდებობები გვინდა და არც მაღალ ხელფასზე გვაქვს პრეტენზია (პირადად მე კუთვნილ პენსიაზეც თანახმა ვარ), რომ ჩვენი გამოცდილება მოვახმართ ქვეყანას. თითო სამმართველოში თითო პროფესიონალი რომ იყოს, თუ უფრო მეტი იქნება, მთლად უკეთესი, რომელიც კურირებას გაუწევს სამსახურის საქმიანობას, ძალიან ბევრს ნიშნავს, მით უმეტეს, როცა საქმე ოპერა-

ტიულ მუშაობას ეხება. დროზე მიხედონ ამ საქმეს, სანამ ის პროფესიონალები კიდევ ცოცხლები არიან. პოლიციელის ნორმალურ „ოპერატივნიკად“ ჩამოყალიბებას ხუთი წელი მაინც ჭირდება, ესეც იმ შემთხვევაში, თუ პროფესიონალი მასწავლებელი ყავს, დროის დაკარგვა დანაშაულის ტოლფასია, მით უმეტეს, რომ ძალიან გვჭირდება კარგი ოპერთანამშრომლები. უამრავი რეზონანსული საქმეა გასახსნელი და ბოლომდე მისაყვანი, რასაც სერიოზული ოპერატიული მუშაობა ჭირდება, ეს ვინ უნდა გააკეთოს? **შევარდნაძისა და ნაციონალების მმართველობის პერიოდებში საქართველოდან 50-55 მილიარდი დოლარია გატანილი, მაგრამ მის დაბრუნებაზე რატომღაც არავინ საუბრობს. არ უნდა დავაბრუნოთ ეს ფული, ვინ უნდა გადაიხადოს ის ვალები, რომელიც ამ ჰალსტუხიანმა ჟაჩაღებმა აჰკიდეს ჩვენს ქვეყანას?** თუ არ იციან რომელ ბანკშია ეს ნაპარავი ფული და როგორ დაბრუნდეს, დაგვავალონ გამოცდილ პროფესიონალებს, მოგვცენ ჯგუფი და ყველაფერს მოვაგვარებთ. გია ბარამიძე ტელეეკრანიდან ყოველდღე ჭკუას რომ გვარიგებს, ჰგონია არ ვიცით მან და ზურაბ ჟვანიამ 102-მილიონიანი კრედიტი რომ გაიტანეს ეროვნული ბანკიდან „მწვანეების“ ეგიდით? ეს მთელმა საქართველომ იცის. იმ მეორე „ტელევარსკვლავის“, რომან გოცირიძის „დამსახურება“ არ იყო, რაც ეროვნულ კუპონს დაემართა, მთელი საქართველო „მილიონერებად“ რომ ვიქეცით და ამ მილიონით ერთ პურს რომ ვერ იყიდდი. მერე დამცველებიც გამოუჩნდნენ ამ „პატიოსან“ მსესხებლებს, რას ერჩით ამ ხალხს, ის კრედიტი ხომ დააბრუნესო. რამდენი დააბრუნეს იმ 102 მილიონის სანაცვლოდ, 200 დოლარი? ვინ გადარიცხა რუსეთის ბანკში მილიარდობით ფული, მერე მოსკოველი მსუბუქი ყოფაქცევის მანდილოსნები რომ ითხოვდნენ განაღდებას, შემთხვევით მოქკავშირის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები ხომ არ იყვნენ? რუსი სამართალდამცავები გაოცებული რეკავდნენ, რა ხდება, რა ფული გადმორიცხეთ ამისთანა, ბანკებში რიგი რომ დგასო, თუმცა მათი მამა-მარჩენალ შევარდნაძის ძალისხმევით ყველაფერი მიაჩუმათეს. ეს საქმეები ყველა გამოსაძიებელია, რადგან ამის შედეგად გაღატაკდა საქართველოს მოსახლეობა, წლობით ნაგროვები ანაბრები ვიღაც ვიგინდარებმა შეუჭამეს, დასამარხი ფოლიც კი არ დაუტოვეს ხალხს. ვინ გამოიძიებს ამ საქმეებს, ნაციონალების ნარჩენები? Eს ხომ ფანტასტიკის სფეროა. ასე რომ, სანამ ყველა უწყებას არ გავწმენდთ საეჭვო რეპუტაციისა და წარმომავლობის კადრებისგან, ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ და ყველას საკადრისს არ მივუზღავთ, არაფერი გვეშველება.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 77

ძლიერი რეგიონები

ერეკლეობა 2016

ერეკლე მეფის დაბადებიდან 296 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები 7 ნოემბერს მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში და თელავში, ერეკლე მეორის სასახლის კარის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში მეფის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით გაიმართა კონცერტები, ღვინისა და სოფლის ნობათის, ხალხური რეწვის ნუმუშების გამოფენა-გაყიდვა, თელაველი მხატვრებისა და ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. ერეკლეობა თელავის თეატრის დიდ დარბაზში გამართული ღონისძიებით დასრულდა.

ქალაქის მერმა პლატონ კალმახელიძემ საპატიო თელაველების წოდება ტრადიციულად თელავის წინაშე დამსახურებულ პიროვნებებს გადასცა. ასეთები არიან: ქალაქ ბიბერახის მერი ნორბერტ ცაიდლერი, თელავის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის, ლიანა კალმახელიძე, პირველი ქართველი (თელაველი) საოპერო ჟანრის შემსრულებელი, რომელმაც ლასკალას სცენაზე იმღერა, პაატა გულიაშვილი, ყველასთვის საყვარელი მსახიობი, ეთერ მაგრაქველიძე, დამსახურებული საჯარო მოხელე, დარეჯან ჭანკოტაძე, პედაგოგი, ქალბატონი რომელიც წლების განმავლობაში პირველი საჯარო სკოლის დირექტორი იყო.

ახლად რეაბილიტირებული ბატონის სასახლის კარი ყველა სტუმრისთვის ღია იყო. დაინტერესებულ მოქალაქეებს სპეციალურად ამ დღისთვის მთავარ დარბაზში განთავსებული მეფის ხმალიც შეეძლოთ ეხილათ. ახლად რეაბილიტირებულ სასახლეში იმყოფებოდნენ კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, მისი მოადგილე ზურაბ არსენიშვილი, ქალაქ თელავის მერი პლატონ კალმახელიძე და ვიცე-მერი თენგიზ მთვარელიშვილი, რომლებმაც მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა გაიხსენეს.

გურჯაანში უძრავი ძეგლის სტატუსი 9 ისტორიულ ობიექტს მიენიჭა

წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 9 ისტორიულ ობიექტს მიენიჭა. ცხრავე ძეგლი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანში მდებარეობს. აქედან 7 ეკლესია და 2 კოშკია: „მამაშაურის“ ეკლესია (IX-X სს.), წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და „ზურიას“ საყდარი (ორივე — გვიანდელი შუა საუკუნეები), ღვთისმშობლის ეკლესია (XVIII სს.), „ყვავის“ საყდარი (გარდამავალი პერიოდი), კოშკი და დიდი კოშკი (ორივე — გვიანდელი შუა საუკუნეები).

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ აღნიშნულ ძეგლებს სტატუსი გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართვისა და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მიანიჭა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში 400-მდე ისტორიული ობიექტია, საიდანაც დღეისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 130-მდე ობიექტს აქვს მინიჭებული.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დედოფლისწყარო-ზემო ქედის დამაკავშირებელ გზაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

დედოფლისწყარო-ზემო ქედის დამაკავშირებელი 6-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია-მოასფალტებას შპს „სერპარტინი“ ახორციელებს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, ამ გზის რეაბილიტაცია მომავალი წლის ბოლომდე დასრულდება.

„მოგეხსენებათ, აღნიშნული გზა ქედების ზონასთან დამაკავშირებელი გზაა, რომელიც საქართველოს ბეღელად წოდებულ შირაქსაც უკავშირდება. ჩვენ აქტიურად დავიწყეთ გზების მშენებლობა. წინა წლებში დედოფლისწყარო-ქედების მიმართულებით 24-კილომეტრიანი გზა გაკეთდა. ეს პროცესი წელსაც აქტიურად მიმდინარეობს და მომავალი წლის დასასრულს ქვემო ქედამდე სრულიად ახალი გზა იქნება. უახლოეს პერიოდში მუნიციპალიტეტის სოფლებთან დამაკავშირებელი გზების პრობლემა აღარ გვექნება“, — განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში თითოეული მოქალაქის საჭიროებებს ეცნობიან

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა ყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებს მოქალაქეებს. გამგებელი ირაკლი კუჭავა, სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის უფროსი ნუკრი დუმბაძე და გამგეობის სხვა თანამშრომლები მოსახლეობასთან შეხვედრებს ყოველკვირეულად მართავენ როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ისე ადგილებზე, სოფლებში, ეცნობიან. ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ და საყოფაცხოვრებო პრობლემებს და მათ მოგვარებას ცდილობენ.

საჩხერლობა და მუხრანობა გრანდიოზულად აღინიშნა

საჩხერის მუნიციპალიტეტში ორი სახალხო დღესასწაული ერთდროულად აღინიშნა.

„მუხრანობა“ სოფელ არგვეთის საჯარო სკოლასა და მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმში

პოეტის ნაწარმოებებზე აგებული ლიტერატურული კომპოზიციებით დაიწყო. შემდეგ საჩხერეში, მუხრან მაჭავარიანის სკვერში გვირგვინით შეამკეს პოეტის ბიუსტი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მოსწავლეებმა წაიკითხეს მუხრანის ლექსები, შესრულდა სიმღერები და ხალხური ცეკვები, რომლებიც მუნიციპალიტეტში არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა — „საწერეთლომ“, „ფაფანაკმა“ და „შევარდენმა“ წარმოადგინეს.

ზეიმის მონაწილეებს სიტყვით მიმართა პოეტის ქალიშვილმა ნანა მაჭავარიანმა და დიდი პოეტის ღვაწლის კიდევ ერთხელ აღიარებისთვის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და ხალხს მადლობა გადაუხადა.

თავისუფლების ქუჩაზე ობოლა ციმაკურიძის სახელობის კულტურის ცენტრთან ანსამბლ „მოდინახეს“ პატივმიგების ცერემონიალი გაიმართა, ხოლო ცენტრის ფოიეში ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭომ გამოფენა მოაწყო.

„საჩხერლობის“ ცენტრალურ ადგილზე, რკინიგზის მოედანზე გაიმართა სპორტული თამაშობები, წიგნების, რეწვის ოსტატებისა და ნახატების გამოფენა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიულმა ერთეულებმა ზეიმის მონაწილეებს შესთავაზეს ტრადიციული კერძები, სასოფლო ნობათი; პატარებისთვის მუშაობდა საბავშვო-გასართობი ატრაქციონები.

სახალხო დღესასწაულზე საჩხერის ბევრი ქომაგი და გულშემატკივარი დააჯილდოვეს, რომლებსაც დიპლომები და საგანგებო სუვენირები გადაეცათ, ხოლო პაატა კვიჟინაძეს, საჩხერის მაჟორიტარ დეპუტატს გადაეცა ხმალი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ბრძოლებში მონაწილეობისთვის.

ზეიმზე მოწვეულმა ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა თემურ წიკლაურმა, ნუკრი კაპანაძემ და სხვებმა საჩხერელი მაყურებლისთვის იმღერეს.

„საჩხერლობისა“ და „მუხრანობის“ სახალხო დღესასწაული ფეიერვერკით დასრულდა.

აბაშა — გეზათში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა

აბაშის მუნიციპალიტეტის გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაპროექტებული ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებით ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ალისამ“ შეასრულა.

გეზათის ახალი საბავშვო ბა-

ძლიერი საქართველოსთვის

ღის შენობა სახალხო დღესასწაულის — „აბაშობა-2016“-ის ფარგლებში გაიხსნა. ბაღში ოცი აღსაზრდელი ირიცხება.

აბაშა – ახალი ამბულატორია სოფელ წყემში

წყემის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის ამბულატორიისთვის გარემონტდა ოთახები, დამონტაჟდა ელექტროობა და განახლდა შენობის ფასადი.

პროექტი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 6869 ლარით დაფინანსდა. სამუშაოები ინდმეწარმე ბარნაბა ნადარაიამ შეასრულა.

წალენჯიხა – ეწერის საჯარო სკოლის მოსწავლეები გამგეობაში

ეწერის საჯარო სკოლის მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელ ბესიკ ფარცვანიას სტუმრობდნენ. შეხვედრაზე მოსწავლეებმა ისაუბრეს გარემოს დაცვის, ბზის კულტურის გადარჩენის საკითხებზე, ხე-ტყის რესურსის გადარჩენაზე, დასუფთავების აქციებზე.

მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ სოფელ ეწერის ცენტრში საფუძველი ჩაუყარონ ნიკო კეცხოველის სახელობის პარკის განაშენიანებას და 10 ნოემბერს მოაწყონ ნერგების დარგვის აქცია.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ადიგენი – უდეში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად მიმდინარეობს

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ უდეში აქტიურად მიმდინარეობს სასმელი წყლის 1000-ტონიანი რეზერვუარის მშენებლობა. რკინაბეტონის კონსტრუქციის რეზერვუარი სოფელ უდის მცხოვრებლებს სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფს. პროექტი მიმდინარე წელს დასრულდება. სამუშაოების შესასრულებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან 199 706 ლარი გამოიყო.

ნაპირსამაგრი სამუშაოების მეორე ეტაპი მიმდინარეობს მდინარე ქვაბლიანის გასწვრივ. ადიდებული მდინარე წლების განმავლობაში დიდ საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო ნათესებს. დამცავი გაბიონების მოწყობის შემდეგ კი აღნიშნული პრობლემა მოგვარებულია. გარდა ამისა, მოიხრეშა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზები.

ბორჯომი

გარე განათების ქსელი დამონტაჟდა სოფელ უდის შესასვლელში და ე. წ. „ზაქორიების“ ქუჩაზე. ამავე ქუჩაზე სასაფლაოსკენ ასასვლელი კიბეც მოეწყო.

სოფელ უდეში მიმდინარე და დასრულებული ინფრასტუქტურული პროექტები ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაქარია ენდელაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ იმედა მღებრიშვილმა დაათვალიერეს.

გზების მასშტაბური რეაბილიტაცია სამცხე-ჯავახეთში

ახალციხის სოფლების აგარა-საყუნეთის ცენტრალური საავტომობილო გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

პროექტის ფარგლებში საავტომობილო გზაზე დაიგება ორფენიანი ასფალტბეტონის საფარი, ასევე მოეწყობა რკინაბეტონის სანიაღვრე არხები.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, რომელსაც შპს „ჰედეფ ჯორჯია“ ახორციელებს.

წყალთბილა-ნაოხრების საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ რუბენ კარაპეტიანმა დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში აღდგენილია გადასასველი ხიდი, ამჟამად კი რკინაბეტონით გზის საფარის მოწყობა მიმდინარეობს.

წყალთბილა-ნაოხრების საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ასტორია“ ახორციელებს, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფინანსდება.

ადიგენი

ბორჯომი – ხეების დარგვა

ბორჯომში ახლად აშენებული სელედუკის (ღვარსაშვები) მიმდებარე ტერიტორიაზე კედარის ხეები დარგეს.

3-3,5 მ სიმაღლის 20 ძირი ხე მუნიციპალიტეტს გამგებლის ყოფილი მოადგილის ვახტანგ ოჩხიკიძის პირადი საჩუქარია მუნიციპალიტეტისთვის.

„ბორჯომი ლამაზი ქალაქია. ღვარცოფგამტარის მშენებლობით ქალაქს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ობიექტი შეემატა, მის მიმდებარედ ტერიტორიის კეთილმოწყობა კი აუცილებელი იყო. მარადმწვანე ხეები არსებულ ადგილს კიდევ უფრო გალამაზებს და დაამშვენებს“, — აღნიშნა ვახტანგ ოჩხიკიძემ.

ვახტანგ ოჩხიკიძე დღეს სტიქიების პრევენციისა და ოპერატიული რეაგირების სამმართველოს უფროსია. ბორჯომის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებულ მადლობას უხდის ბატონ ვახტანგს გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის, ნაყოფიერ მოღვაწეობასა და ბევრ წარმატებას უსურვებს.

ერთ თვეში 126 556 ლარი მოქალაქეთა დასახმარებლად

ბორჯომის მუნიციპალიტეტმა მოქალაქეების დასახმარებლად მიმდინარე წლის ოქტომბერში 126 556 ლარი დაფინანსება გასცა. ამ თანხით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და საკრებულომ თანადგომა გაუწია 437 ბენეფიციარს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის, დიმიტრი ყიფიანის განცხადებით, გამგეობაში მოქმედი სოციალური პროგრამების მიხედვით, გასულ თვეს 314 მოქალაქის დასაფინანსებლად 75 655 ლარი გაიხარჯა.

„აღნიშნული თანხით დახმარება გაეწია 4 და მეტ შვილიან ოჯახებს, შშმ პირებს, გამოჩენილ ადამიანებს, ახალდაქორწინებულებს, ახალშობილებს, 100 წელს გადაცილებულ პირებს, ობოლ ბავშვებს და, რაც ყველაზე მთავარია, პროგრამების მიხედვით დაფინანსდა მოქალაქეებისთვის საჭირო სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურება“, — აღნიშნა გამგებელმა.

უნდა აღინიშნოს, რომ პირადი განცხადებების საფუძველზე მოქალაქეებს სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად თანადგომა გაუწია მუნიციპალიტეტის საკრებულომ.

მონაცემების მიხედვით, ოქტომბრის თვეში ადგილობრივმა საკრებულომ გამოყოფილი 50 904 ლარით დახმარება გაეწია 123 მოქალაქეს.

უფასო სამედიცინო აქცია შუახევში

შუახევის მუნიციპალიტეტის რაიონულ საავადმყოფოში ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ექიმებმა ქალებსა და ბავშვებს

ქობულეთი

უფასო სამედიცინო კონსულტაცია გაუწიეს.

კონსულტაციის მიღება ერთი დღის განმავლობაში ნებისმიერ მსურველს შეეძლო, ხოლოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ადგილზე ყველა პროფილის ქირურგი, პედიატრი, გასტროენტეროლოგი, ნევროლოგი, კარდიოლოგი, ალერგოლოგი, ინფექციონისტი, ნეონატოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, ტრავმატოლოგი და გინეკოლოგი მოემსახურა.

აქციის ფარგლებში პორტატული ულტრაბგერის (ექოსკოპის) აპარატით განხორციელდა მუცლის ღრუს ორგანოების დიაგნოსტიკური კვლევაც, ასევე კარდიოექოსკოპიური და ნეოროსონოსკოპიური კვლევები.

ქალთა გინეკოლოგიური კონსულტაციების გარდა პაციენტებზე გაიცა სამკურნალო დანიშნულებაც და საჭიროებისამებრ მოხდება მათი მიზნობრივი რეფერირება.

აქციის მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე მოადგილე ზვიად დიასამიძესთან ერთად გაეცნო.

ქობულეთი – თამარ მეფის სანაპიროს კეთილმოწყობას 6 მილიონი ლარი მოხმარდება

თამარ მეფის სანაპიროზე ახალი წყალსადენი სისტემის მოწყობითი სამუშაოები დაიწყო. პროექტის მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ადგილზე გაეცნენ. სამუშაოების განხორციელებისთვის ბიუჯეტიდან 222 678 ლარია გათვალისწინებული. პროექტის ფარგლებში მოეწყობა წყალმომარაგების ქსელი, იგეგმება აბონენტთა გამრიცხველიანება და ქსელში 100-მდე ოჯახის ჩართვა. პროექტის დასრულება წლის ბოლომდე იგეგმება.

2017 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის უმთავრესი პრიორიტეტი ზღვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა იქნება. ამ მხრივ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ღონისძიებაა დაგეგმილი. ჩატარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები: აშენდება 2 კმ სიგრძის ახალი ჯებირი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება და მოპირკეთდება არსებული ნაპირსამაგრი ნაგებობები. გარდა ამისა, დაგეგმილია სანაპიროზე 200 ათასი კუბი ნატანის შეტანა, ასევე მომავალი წლიდან დაიწყება სანაპირო ზოლის 3 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელიც ორ ეტაპად განხორციელდება. პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყობა ბულვარი, სადაც დეკორატიული ფილებით მოპირკეთდება სასეირნო ზოლი, მოეწყობა ველობილიკები, გაშენდება მწვანე ზოლი, ასევე დამონტაჟდება ახალი განათების სისტემა. სამუშაოების განხორციელებისთვის სულ 6 200 000 ლარი დაიხარჯება.

ერიჰა, მირიან მეფის დროიდან მოყოლებული საქართველოს მიზანი დასავლური კურსის გატარება ყოფილა?!

მირიან მეფის დროიდან მოყოლებული, საქართველოს მიზანი დასავლური კურსის გატარება ყოფილა! ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს საქართველოს პარლამენტის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი. ეს სიტყვები უბრალო მოკვდავს კიდევ ეპატიება, მაგრამ დეპუტატს გაცილებით მეტის ცოდნა მოეთხოვება, მათ შორის, ისტორიისაც. ჭკუის სწავლებას არავისთვის ვაპირებთ, მაგრამ შეგახსენებთ კი, ბატონებო, რომ, ვიდრე დღევანდელი ევროპის სახელმწიფოები ჩამოყალიბდებოდა, საქართველო უკვე ანგარიშგასაწევ ძალას

წარმოადგენდა, რომელსაც, ყველაფერთან ერთად, საკუთარი დამწერლობა, ანბანი ჰქონდა. მსგავსი ფუფუნება დღესაც ბევრს როდი აქვს.

... გასულ კვირას რუსეთის დუმის ერთ-ერთი კომიტეტის თავმჯდომარემ კალაშნიკოვმა, ქართველ კოლეგებს შესთავაზა, დაიწყოს ორი საკანონმდებლო ორგანოს შორის ურთიერთობის აღდგენაზე მუშაობა. ზაქარია ქუცნაშვილმა კი, ემანდ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას პრორუსულობა არ დაგვაბრალონო, თავი იმართლა, პროდასავლური კურსი გვაქვს დეკლარირებული და ამას არ გადავუხვევთო, რასაც მოაყოლა ზემოთ აღნიშნული სიტყვები. კალაშნიკოვის წინადადებაზე საქართველოს პრემიერმინისტრის წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, ჟენევის შეხვედრაზე ამ თემაზე საუბარი არ ყოფილაო.

სამწუხაროდ, ქართველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ქვეყნის დეოკუპაციამდე გამორიცხავს რუსეთის მხარესთან დიალოგსაც კი. არავინ უარყოფს, რუსეთი ოკუპანტია და მიტაცებული აქვს ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტზე მეტი ტერიტორია. თუმცა, როგორ უნდა დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები, არავინ ამბობს. ჩვენც, 23 წელია, გულუბრყვილოდ ველოდებით, როდის მოგვართმევენ დაკარგულს ხონჩაზე დასავლელი პარტნიორები. სამწუხაროდ, მათ ჩვენი დარდი სულაც არ აქვთ, რადგან მათ ქვეყნებში ისეთი მდგომარეობაა, თავადაც გაოგნებულები არიან.

გასაგებია, რომ დღევანდელ სიტუაციაში დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე ძნელია საუბარი, მაგრამ დიალოგი ხომ შეიძლება? უბრალოდ, გაუგებარია, რატომ ვიმართლებთ თავს ვიღაცების წინაშე, რუსეთს არ დაველაპარაკებითო. განა რა მიუღებელი წინადადება შესთავაზა იგივე კალშნიკოვმა ქართველ კოლეგებს, ასეთი ვაი-უშველებელი რომ ატეხეს ზოგიერთმა პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა. ვფიქრობთ, დიალოგი ნებისმიერი ქვეყნის ოფიციალურ პირებთან გარდაუვალი და აუცილებელიც კი არის. მსგავსი ორმხრივი შეხვედრების დროს გავიგებთ მეორე მხარის ზუსტ პოზიციას, რას ითხოვენ ჩვენგან და ჩვენის მხრივ, ჩვენს პრეტენზიებს მკაფიოდ წავუყენებთ.

კვლავ ისტორიას დავესესხებით და შეგახსენებთ, რომ ქართველი მეფეები არასოდეს ერიდებოდნენ ოსმალო, სპარს თუ მონღოლ დამპყრობლებთან დიალოგს და სწორედ ამით იყვნენ ძლიერები ჩვენი წინაპრები. ქართული დიპლომატია ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი განსაკუთრებული სიტყვაკაზმულობით. ახლა, XXI საუკუნეში, რა უსაშველო გვჭირს, რომ მეზობელს, თუნდაც ოკუპანტს, ვერ თუ არ ველაპარაკებით.

რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოა, რომელმაც თვალუწვდენელი იმპერია შექმნა, რომლის წინაშე კაცობრიობა შიშით ცახცახებს. ამას მსოფლიოს ყველა ქვეყანა აღიარებს, მათ შორის, აშშ-იც. ჩვენ კი ჩვენს ძმებთან, აფხაზებთან და ოსებთან ვერ მოგვიგვარებია, ფაქტობრივად, შინაური დავა. ამიტომაც ფხიზლად უნდა დავინახოთ ჩვენი შესაძლებლობები, რა არის რეალური რუსეთი, რომლის ხელშიც არის აფხაზეთის და სამაჩაბლოს მომავლის ბედი გვინდა ჩვენ თუ არა, თორემ ქვეყნის მომავლის განსაზღვრა გაგვიძნელდება.

რეალურად ჩვენი ძალა და შესაძლებლობა მხოლოდ დიპლომატიაა, რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ხელისუფლებამ. შლეგი საა-კაშვილის საომარი რიტორიკის და ქმედების შედეგი უკვე მოიმკო ჩვენმა ქვეყანამ. ამიტომაც „ნაცმოძრაობის“ წევრებს რუსეთის მხარე არასერიოზულად აღიქვამდა და დღესაც ასე მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლები ყველანაირად შეეცდებიან, ხელი შეუშალონ და შეაფერხონ ნებისმიერი დიპლომატიური ქმედებები.

დიახ, ევროპას თავისი გასაჭირი აქვს. აზიის ქვეყნებიდან დევნილების შემოსევის გარდა, ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის სურვილმა თავდაყირა დააყენა იქაური პოლიტიკური ვითარება. ამის გარდა, ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა დევნილების შეყვანაზე კატეგორიულ უარს აცხადებს. აქედან გამომდინარე, დასავლეთში ჩვენი მომავალი, სავარაუდოდ, ნაკლებად აღელვებთ.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, — ამბობდა სულმნათი ილია. ამ სიტყვებს აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს. პირიქით, უფრო გამძაფრდა კიდეც, რადგან, რატომღაც გვგონია, რომ მხოლოდ უცხოელთა კარნახით უნდა იმართებოდეს ქვეყანა. დამოუკიდებლობა, მეოთხედი საუკუნეა, აღვადგინეთ, მაგრამ დეკლარირების იქით ვერ წავედით. კვლავ უცხოელებს მივჩერებივართ პირში თუ ხელში, არ დაგვტუქსონო. საქართველოს სჭირდება საკუთარი, ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. ემანდ, ჩვენი უცხოელი პარტნიორები არ გავანაწყენოთო და ჩვენი საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ არ ველაპარაკებით იმ ქვეყანას, რომლის ხელშიც არის ამის გასაღები.

ვიმეორებთ, არავინ უარყოფს რუსეთის ოკუპანტობას. არც იმას ვამბობთ, ერთბაშად აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ დიალოგი ხომ შეგვიძლია. ამას წინ რა უდგას. ქვეყნის, სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლე, ავტორიტეტიც უნდა დათმოს მზრუნველმა მმართველმა. ამის მაგალითები საქართველოს ისტორიაში მრავალი გვაქვს.

საკუთარი ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის უქონლობამ, ადვილი შესაძლებელია, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ახლო მომავალში კიდევ უფრო დააზარალოს ჩვენი ქვეყანა. სამწუხაროდ, ამის საშიშროება არსებობს. იგივე ჩვენი მეზობელი თურქეთი კვლავ ოცნებობს აჭარის მითვისებაზე. რომ არა სირიაში და ერაყში მიმდინარე საომარი ვითარება, ალბათ, განახორციელებდა კიდეც. დღევანდელი შინაური პოლიტიკური ვითარება თურქეთში შეშფოთებას იწვევს ევროპისა და აშშ-ის ხელისუფლებაში., თურქები არავის აზრს აღარ ითვალისწინებენ, მოქმედებენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. როგორც „ბოროტი ენები“ ამბობენ, რუსები დიდად არ შეეწინააღმდეგებიან აჭარის ანექსიას, ყარსის ხელშეკრულების მიუხედავად. ამის გარდა, აშშ-ის ხელისუფლებამ



გასულ კვირას რეკომენდაციით მიმართა თავის მოქალაქეებს, დატოვონ თურქეთის ტერიტორია, განსაკუთრეით სტამბული და სამხრეთის რეგიონი. მიზეზად მოსალოდნელი ტერაქტები სახელდება, მაგრამ, ვინ იცის...

ნურავინ იფიქრებს, რომ სამეზობლოში გაჩენილი ხანძარი ჩვენამდე არ მოაღწევს. ესეც ერთ-ერთი გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისთვის.

საკუთარი ეროვნული პოლიტიკის გათვალისწინება ეკონომიკური ხელშეკრულების გაფორმების დროსაც არის აუცილებელი. უცხოელი ინვესტორები თუ დამსაქმებლები საქართველოს მოქალაქეებს მონებივით ეპყრობიან. ამას გასულ კვირას ხარაგაულში მომხდარი ფიზიკური დაპირისპირებაც ადასტურებს, სადაც ჩვენი ათი მოქალაქე სასტიკად სცემეს ჩინელებმა.

ახალარჩეულ საქართველოს პარლამენტს მართლაც დიდი გარჯა მოუწევს ქვეყნისთვის სასარგებლო და საჭირო კანონების მისაღებად. ერთ-ერთი მთავარი მიზანი კი ქვეყნის გამთლიანება უნდა გახდეს. ჯიუტად იმის მტკიცება, ევროატლანტიკურ კურსს არსად გადავუხვევთო და ჩვენს მეფეებსაც დასავლეთისკენ სწრაფვა დავაბრალოთ, შორს ვერ წაგვიყვანს და არც კარგს მოგვიტანს რაიმეს.

ვიდრე სახელმწიფოებრივი ეროვნული პოლიტიკა გვექნება, სხვა მრავალი მოქმედი სექტის გარდა საქართველოში მასონური ლოჟაც შეიქმნა! რაღა გვიჭირს. თუმცა რა გასაკვირია მასონების საქართველოში გამოჩენა, როდესაც ქვეყანაში კანიბალებიც გვყოლია!

გია ბურდული
551 71 27 07



კროსვორდი



შეეულად: 1. ელექტრო ხელსაწყოების ბიბი. 2. ავტოტურისტებისათვის მონყობილი სასტუმრო. 3. ზღაპრული სინდიდრით ცნობილი ფრიგიელთა მეთაური მეფე. 4. კონცერტის ტიპის მუს. ნაწარმოები, მაგრამ მასზე მეორე ზომისა. 5. ქართველი ილუზიონისტი. 6. ნყალ ქვეშ სასუნთქი აპარატი. 12. ძველებური იტალიური სიმღერა. 14. ვულკანი მექსიკაში. 17. მეფის ხელისუფლების ერთგული. 18. სასყიდელი, რომელსაც საქმრო აძლევს საცოლის მშობლებს აღნოსაღლეთის ზოგ ქვეყანაში. 19. ზოლი, რომლის თავზედაც გადის საავიაციო ხაზი თვითმფრინავის მარშრუტი. 20. მდინარის, ხეკის ჩანგრეული ნაპირი. 21. გერმანიაში პრეზიდენტ-მინისტრის ნოდებულება. 24. ქარისგან მოტანილი ხიდის ბორცვი ზღვის, ტბის ნაპირზე. 25. ცუდად, დაუფიქრებლად, უადგილოდ ნათქვამი. 26. საგმელი სოკო. 27. ქერის თხელი ფიცარი, კოქტებზე ქვევიდან მიკრული.

თარაზულად: 3. რუსეთის ძველი, ისტორიული სახელი. 7. ძველ რომში არასრულუფლებიანი მოქალაქე, რომელიც დამოკიდებული იყო ოავის მფარველზე. 8. ზღაპრული უზარმაზარი მაგვე არსება, კაკის მსგავსი, რქიანი და ბანჯგვლიანი. 9. ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება, გამოყენება. 10. ყაბის და ტენიანი ადგილების მცენარე იყენებენ ქილობებისა და ჩანთების დასამზადებლად. 11. ქრილობიდან ჩირქის, სისხლის დენრეტა სპეციალური ძილის ან მარლის გრძელი ნაჭრის საშუალებით. 12. ფრანგული ანგლომობილი. 13. იგივეა, რაც ეგრეკი. 15. მინერალი, რომლისგანაც თუთიას ილებენ. 16. ბოტლანდიის საპორტო ქალაქი. 20. ბასრი ძირი წყრილი ალრალისა. 21. კაცოჭამია ველური. 22. ძველად ასე მოიხსენიებოდა ნაგნიტიც და ალმასიც. 23. მოძხალიანი ნათლულის მიმართ. 24. სრუტე ევროპასა და ზღვრე აზიას შორის, აერთებს მარმარილოსა და ეგეოსის ზღვებს. 28. ხელოვნური ბოქკო, რომელსაც ღებულობენ ნაკეთების გადამუშავების შედეგად. 29. ბომბრო ტანის ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა. 30. დაზვერვის საიდუმლო წარმომადგენელი უცხო ქვეყნის გარკვეულ რაიონში. 31. ძველის ფოსი, რომელშიც თვალია მოთავსებული, თვალია ბუდე.

ლაბირინთი

ა	ლ	ი	ზ	ნ	ა	ნ	ი	ო	ბ	ი	დ	ი	ტ
ლ	ა	ი	ი	ე	რ	კ	ა	ხ	ა	ლ	ი	ა	ბ
დ	ა	ო	ბ	ი	ი	ტ	ი	ტ	კ	ი	ი	ნ	ი
ო	ნ	შ	ი	ხ	ბ	ი	ტ	ა	ტ	ი	ხ	ი	ა
ტ	ი	ა	ნ	ბ	ა	ტ	ა	რ	ა	კ	ი	ი	ლ
ნ	ი	ბ	ა	ლ	კ	უ	შ	ა	ბ	ი	ბ	ბ	ი
ა	ბ	ლ	უ	შ	ა	კ	ი	ნ	ი	რ	ი	ბ	ი
ნ	ი	ხ	ო	რ	დ	ი	ზ	ო	თ	ჩ	ხ	ე	დ
კ	ა	ბ	ა	ე	ა	ა	ტ	ბ	ა	ა	ი	ლ	ა
ე	ლ	ი	ნ	ხ	ნ	ბ	ბ	შ	რ	ი	ბ	შ	ი
ი	რ	ი	დ	ი	ი	ნ	ო	ხ	ტ	ა	ლ	ო	ბ

1. ... წერეთელი; 2. საზოგადოების ჩაკეტილი ნაწილი; 3. ტოპის ფადოქარი; 4. ზოდიაქოს ნიშანი; 5. დონ-კიხოტის ცხენი; 6. შოის საძოვარი; 7. მერიის შეჩობა; 8. ძღვენი, საჩუქარი; 9. პოპულარული ხანიერელა; 10. „ირეალის" ფენომენი; 11. საშშიბლოა ხეედა; 12. ანროვნებია ორგანო; 13. გადასასვლელი ეგეონების შორის; 14. კალიმპურიის გამომგონებელი; 15. ფრანგი მხატვარი; 16. ლესმოტი, მტარვალი; 17. მიმარცვა იტალიაში ქალისადმი; 18. ქალაქი იაპონიაში; 19. უფანაშაულობის საბუთი; 20. გროტი; 21. ენაბრგვილი; 22. ქალაქი გერმანიაში; 23. კეროლინი რაჭაში; 24. უსრუნველი ცხოვრება; 25. ბრძანების ხმლეცი ოფიცერი; 26. ინგლისური ლუდი; 27. პირველყოფილ ხალხთა ლიდერი.

მიფრვორდი



ა-11	ხ-25
ბ	ტ
გ	ფ-33
დ	ფ
ე	ქ
ვ	ღ
ზ	ყ
თ	შ
ი-4	ჩ
კ-31	ც
ლ-17	ძ
მ	წ
ნ	ჭ
ო	ხ
პ	ჯ
ჟ	ჰ
რ-7	

ირაკლი ვაშაყმაძე – 70

ნათელი

მოსაღამოვდა, თებერვლის თქეშმა
ქუჩებში იწყო მოთქმა–თარეში,
უცებ გავცოცხლდი და მომენატრე,
რომ ჩამეხედა შენთვის თვალებში...
ხელის ცეცებით გეძებდი ბნელში,
ქარი და ყინვა ძვლებში მატანდა,
მღეროდი ჩემში, მოთქვამდი ჩემში,
და ვიღაც ჩემში თბილად გხატავდა.
მერე...
უკუნი განათდა ღამე,
აყვავდა ირგვლივ ვარდი და ია,
თვალი ხარ ჩემი, სული ხარ ჩემი,
ყველაფერს შენი სახელი ჰქვია.

ცივა, ქარია, წვიმს...

ანათებს თაფლის სანთელი,
ცივა,
ქარია,
წვიმს...
ეჰ, კარგო მოსულიყავი,
ოცდაათი წლის წინ!
ნეტავი მოსულიყავი,
არ გავყვებოდი სხვას,
მთვარე ვიყავი,
მზეს ვგავდი,
და... მოყვავილე ცას.
კარებთან ყმუის ზამთარი,
ცივა, ქარია, წვიმს...
იცი, რა გოგო ვიყავი,
ოცდაათი წლის წინ?

შენთან ვიყავი დათვისში

ამ ქვაცრემლიან სოფელში,
დავალ ეკლიან წინდებით,
როცა ცა მოიქუფრება,
მზის დარად ამობრწყინდები.

მზესავით ამობრწყინდები,
დათვისს არაგვად იტირებ,
მერე მაცხოვრის ცრემლებით
დამწვავ და გამაქვიტკირებ.

ჯალაურთა

იმერული გაზაფხული
გალობს ჯალაურთას,
მამაპაპურ საგალობელს
ზეცა მოაქვს გულთან,
არე-მარეს ქარ-შოშინი
ღვთის სურნელში ახვევს,
მზეო, რაც გულს შენთვის უთქვამს,
ყვავილობა ამხელს.
თითეული ძგერა გულის
ამბობს შენს ტკბილ სახელს!

შეგთხოვ

ღვთით ზეციერო ძმებო!
ამშვენიერებთ ზეცას,
მკერდში მამული გედოთ
და ცოტნეს კვართი გეცვათ.
ჟამი ჩამოდგა ნივთის,
დროება მოდგა კუჭის,
შემოხვევია ფითრი
ამირანს, ... ძლიერ უჭირს.
ულხინს გაგას და ნიკას,
ნანუკა, ანკა, ვიკას...
უცხოდ ხმაურობს, კნავის,
ქართული ამერიკა.
ხარობს დათკა და ქეთუ,
გოკა, ტუტიკა, მანჩო,
მრავალჟამიერს, ნადურს
ეშმაკის როკვა ახრჩობს.
ულხინს გიგის და ჟუჟუს,
ნუკის, ნანკას და გიგას,
იმერ-ამერი მოჰგავს
მაცილ-მასონურ იგავს.
უჭირს ფარნავაზს, ვახტანგს,
გიორგის, დავითს, ქუჯის,
ნინოს, ქეთევანს, ანას,
უჭირს, ძალიან უჭირს.
სასოებაო ჩვენო!
შეგთხოვ მცირედზე მცირეს,
ტანსმოხვეული მუმლი,
კბენარი მოგვაცილე.

ციხის წუხილი

აუღებელი, მედგარი
გულზე გეხატე ფარადა,
კლდეს ვიდექ, ციხე კლდეკარი,
ჩემი ბექთარი გფარავდა,
ჩამოშლილ-ჩამოქცეული,
მიმობნეული ლოდქვადა,
შემომხვევია ტანს ჯავრი,
ხევში ჩავღვრილვარ მოთქმადა,
იქნებ გალობა-ვედრებით
ირიბირაბოს, ინათოს,
მიწას დაღვრილი კედლებით
კვლავ ციხედ წამოვიმართო.

ფერეიდნელი დედა

ძველქართულს მღერის ნანას,
ჩონგურს ძველქართულს უკრავს,
უფლის შვილს ურწევს აკვანს,
და მაცხოვარი უყვარს.
შვილს არ აკარებს ეშმაკს,
ოჯახს – ვარამს და ჭმუნვას,
მაინც რა გული იტევს
ღვთიურ დარდსა და ურვას!
უმღერს ვაჟკაცებს ნანას,
გულს უგრემობა უკლავს,
უსასოობა დაჰყეფს
მოთქმა-გოდების ულრანს.
აქ ფერეიდნელ ქართველს
ქართველი არ მოუკლავს,
მთლად საქართველო სტკივა,
მთლად საქართველო უყვარს.

ცხელი კუნძი

ჟამი უჟამური გარდაიქცა ნაღვერდლად, ნაცრად,
შენ ჯოჯოხეთი აირჩიე სამოთხის ნაცვლად.
ყვითელფოთლება შემოდგომა მიმობნეულა...
და... უსულგულო დაღმართს დახვალ
მარტოდ, ეულად.
მთვარის სახლებში იქარგება სიზმრები კვირის,
ძველ სახურავზე ტკბილად მტკივა
ბავშვობის კბილი...
აურანდია გიორგობას ლაჟვარდი ზეცის,
ტიკტიკებს ჩვილი – მაცხოვარი ჭიკჭიკად
მერცხლის.
დახავსებულა დანგრეული მამის ტაძრები...
შორს მწვერვალები – დაფლეთილი თეთრი ანძები.
ოხრავს ქალაქი – კრაზანების ვეება ბუდე,
ღურალუმინის ჯართის თავი ცხელ კუნძზე უდევს...
ცათა კალთებზე ქარ–ხორშაკი დაჰქრის, თარეშობს
და დედამიწაც დაემსგავსა... საპირფარეშოს.
უსულგულობით ყველა გახდა მოძღვარ–ქადაგი,
თითო–ოროლა კაცით მაინც ცოცხლობს ქალაქი.

იქნებ შენ მითხრა

იქნებ აქ ყოფნას, ზეციერო! არყოფნა ჰქვია
და დაბადებას – არყოფნაში გარდაცვალება...
იქნებ შენ უწყი – გულს დახლილი მოყვასის ტყვია,
იქნებ შვებაა, ლხენაა... და არა წვალება.
იქნებ ეს ცრემლი მაცხოვარის ცხელი ცრემლია,
მტკვრად და რიონად მთებიდან რომ მოედინება,
იქნებ მზე იყავ, მშვენიერო, მანათობელი,
შენი აქ მოსვლა იავნანად ღმერთმა ინება.
იქნებ, ესაა უხილავი ცეცხლის გენია,
უსულგულოთა ჯოჯოხეთიც ყაყან–ქაქანით,
წუთისოფელიც დამზრალი და ნაცრისფერია,
„თავი მომეჭრა“, – დედაჩემის კვნესაც აქ არი.
ჟამმა დაადნო ყოველივე, რაც კი გამაჩნდა,
წარსული ესე დიდ ღამედ და ერთ დღედ გაიყო,
იქნებ შენ უწყი, ზეციერო, იქნებ შენ მითხრა;
რა იყო მოსვლა, ასე უცებ წასვლა რა იყო!
იქნებ აქ ყოფნას, ზეციერო, არყოფნა ჰქვია,
და დაბადებას – არყოფნაში გარდაცვალება...
იქნებ შენ უწყი – გულს დახლილი მოყვასის ტყვია,
იქნებ შვებაა, ლხენაა და არა წამება.

ირაკლი ვაშაყმაძეს - შესანიშნავ პოეტს, შესანიშნავ ადამიანს, თავისი ქვეყნის ნამდვილ ჭირისუფალს, დიდი სიყვარულით ვულოცავთ 70 წლის იუბილეს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს.

„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი**.

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

— მაინტერესებს არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები.

— თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგდგენთ სრულად:

მუხლი 29. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები

1. დაინტერესებული პირი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება/წევრთა შეთანხმება), რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება;

ბ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ;

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი;

დ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის (დამფუძნებლების) შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში — სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში — სრული სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის რეკვიზიტები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები)); თითოეული დამფუძნებლის შესახებ მონაცემები შეიტანება ცალ-ცალკე;

ე) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ორგანოების) შესახებ;

ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა;

ზ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

თ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა;

ი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), მისი (მათი) არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა;

კ) მონაცემები წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

ლ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;

მ) რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა, თუ იგი განსხვავდება ამ ნაწილის «თ» ქვეპუნქტში მითითებული წესისა და პროცედურისაგან.

3. რეგისტრაციის შესახებ განცხადებას აგრეთვე უნდა დაერთოს:

ა) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) გამოიყენებს (გამოიყენებენ) საქმიან ურთიერთობებში;

გ) ცნობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ — ადგილსამყოფლის მესაკუთრის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა ან ადგილსამყოფლით სარგებლობის თაობაზე დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.

* * *

— როგორ არის დარეგულირებული კანონის მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახთან და გარესამყაროსთან ურთიერთობის საკითხი?

— თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 87-89-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

— მუხლი 87. არასრულწლოვნის ოჯახთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობა

1. არასრულწლოვან მსჯავრდებულს აქვს ოჯახთან და გარე სამყაროსთან ხშირი და რეგულარული კონტაქტის უფლება. კერძოდ, მას უფლება აქვს:

ა) ჰქონდეს თვეში 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით — თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;

ბ) ჰქონდეს წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით — წელიწადში 6 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

გ) თვეში ჰქონდეს საკუთარი ხარჯით 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული — არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით — ულიმიტო სატელეფონო საუბარი;

დ) ჰქონდეს თვეში 4 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით — თვეში 2 დამატებითი ვიდეოპაემანი;

ე) შეუზღუდავად მიიღოს წერილები, ამანათები და გზავნილები. ამასთანავე, ამანათებისა და გზავნილების მიღების უფლება შეიძლება შეიზღუდოს ამ კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ) ისარგებლოს პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით;

ზ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარებისა და სხვა საგნების შესაძენად თავის პირად ანგარიშზე არსებული თანხა ყოველთვიურად დახარჯოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში.

2. არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს, თვეში ჰქონდეს არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნისა. მას აგრეთვე აქვს უფლება, დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული — არაუმეტეს 15 წუთისა, და შეუზღუდავად მიიღოს წერილები და ამანათები. აღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების მიზნებისათვის არასრულწლოვანს უფლება აქვს, პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირების გარდა, მისი კანონიერი წარმომადგენლის და პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით შეხვდეს აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს.

4. არასრულწლოვნის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას პატიმრობის დაწესებულება და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება უზრუნველყოფენ არასრულწლოვნის შეუფერხებელ კონტაქტს და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

მუხლი 88. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა

1. არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს, წელიწადში სამჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.

2. არასრულწლოვან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევა მას შემდეგ, რაც მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

მუხლი 89. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის დროებით გადაყვანა სხვა დაწესებულებაში

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დროებით გადაყვანა სხვა დაწესებულებაში დასაშვებია პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მისი ან სხვა არასრულწლოვანთა უსაფრთხოებისათვის.

2. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში დროებით გადაყვანისთანავე:

ა) მას უტარდება სამედიცინო შემოწმება;

ბ) კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდება ინფორმაცია მისი ადგილსამყოფლის შესახებ;

გ) მას ეძლევა უფლება, ჰქონდეს სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 15 წუთისა.

* * *

— როგორია დახმარება საჯარო მოსამსახურის დაღუპვის ან დაინვალიდების შემთხვევაში?

— კანონის «საჯარო სამსახურის შესახებ» 49-ე მუხლი ითვალისწინებს დახმარებას საჯარო მოსამსახურის დაღუპვისას ან დაინვალიდებისას.

1. სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით მოსამსახურეზე თავდასხმის შედეგად მისი დაღუპვის შემთხვევაში დაღუპულის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით.

2. მოსამსახურეს, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით თავდასხმის შედეგად მიიღო სხეულის დაზიანება, რის შედეგადაც ცნობილ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად ან დასახიჩრდა, ეძლევა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 5 000 ლარისა.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 15 000 ლარის ოდენობით.

4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური წოდების მქონე თანამშრომლის დაჭრის/დასახიჩრების ან მისთვის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში თანამშრომელს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად მიეცემა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7 000 ლარისა.

38 წლის **ლევან გეგიძე**, რომელსაც ავტოკატასტროფის შედეგად უამრავი დაზიანება აქვს მიღებული და უკვე მეორე თვეა კომაშია, სასწრაფოდ საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას, რისი საშუალებაც ოჯახს არ გააჩნია.

ლევან გეგიძის საბანკო რეკვიზიტებია:

თიბისი ბანკი, ანგ # GE72TB7805445 165 100 009.

მადლობას გიხდით გულისხმიერებისთვის.

ლ. გეგიძის ოჯახი

ტაქსი გამოძახებით

0322 300 308; 0322 450 450; 558 300 088

დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური, კომფორტული მომსახურება 24 საათის განმავლობაში

პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო

1873 წელს ჟიულ ვერნმა გაახარა თავისი მკითხველები ახალი რომანით „მოგზაურობა დედამიწის გარშემო“. წიგნი აღფრთოვანებით მიიღეს დედამიწის ორივე ნახევარსფეროში. თუმცა, ფილეას ფოგის მოგზაურობის მარშრუტის გამეორებას პროფესიონალ მოგზაურთაგან არავინ აპირებდა. მხოლოდ 6 წლის შემდეგ გამოჩნდა ნამდვილად მამაცი ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა დედამიწის გარშემო ემოგზაურა...

ნელი ბლაი — ვინ იყო ის?

ქალიშვილს, რომელმაც ცნობილი რომანისტის გმირების მიერ განვლილი გზის გავლა გადაწყვიტა, ნელი ბლაი ერქვა (ნამდვილი სახელი და გვარი ელიზაბეთ კოკრანი).

ელიზაბეთი 1864 წლის 5 მაისს დაიბადა აშშ-ში, პენსილვანიის შტატის ქალაქ კოკრან-მილზში, მოსამართლისა და დასახლების დამაარსებლის ოჯახში.

სამწუხაროდ, მამის უეცარმა გარდაცვალებამ ოჯახი რთულ მატერიალურ მდგომარეობაში ჩააგდო და გოგონა იძულებული გახდა, კერძო პანსიონატიდან წამოსულიყო, სადაც აღსაზრდელად მიაბარეს.

წარუმატებელი აღმოჩნდა მისის კოკრანის მეორე ქორწინებაც — ახალი ქმარი უსაქმური და ლოთი აღმოჩნდა, რომელიც ხშირად სცემდა ბავშვებს. ამიტომ, განქორწინების შემდეგ, 1880 წელს ოჯახი პიტსბურგში გადავიდა. ელიზაბეთის ჟურნალისტური ტალანტი სწორედ აქ გამოვლინდა.

ახალი ჰორიზონტები

კოკრანი იმდენად აღაშფოთა ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილმა წერილმა, რომელიც საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის ასპექტებს შეეხებოდა, რომ მკაცრი წერილი მისწერა გაზეთის რედაქტორს. მას იმდენად მოეწონა წერილის სტილი, რომ ელიზაბეთი მაღალი წრის ქრონიკის მიმომხილველად აიყვანა.

კოკრანს ეს არ მოეწონა და რედაქტორს შესთავაზა, იგი საკუთარ კორესპონდენტად გაეშვა მექსიკაში. რედაქტორი დათანხმდა და ნელი ბლაი ყოველ კვირა აქვეყნებდა რეპორტაჟებს მეზობელი ქვეყნის შესახებ.

ჟურნალისტმა ფსევდონიმად ერთ-ერთი სიმღერის გმირის სახელი აიღო — ნელი ბლაი. მისი მართალი რეპორტაჟები ადგილობრივ მთავრობას არ მოეწონა და მექსიკის პრეზიდენტის, პორფირიო დიასის ბრძანებით ნელი პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადეს და, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე სახელმოხვეჭილი ჟურნალისტი გახლდათ, მშობლიურმა გაზეთმაც კი კარი მიუხურა.

იმის ნაცვლად, რომ მოემზადებინა რუბრიკები მებაღეობის ან კულინარიის შესახებ, ნელიმ დაიწყო იმ ქალების მძიმე სამუშაო პირობების კვლევა, რომლებიც მეტალურგიულ ქარხნებში მუშაობდნენ, რამაც კვლავ უკმაყოფილება გამოიწვია, ოღონდ ამჯერად არგილობრივი ოლიგარქებისა.

შედეგად, რედაქტორთან ჩხუბის შემდეგ, რამდენიმე დოლარით ჯიბეში ნელი ნიუ-იორკში გაემგზავრა. შეუპოვარი ხასიათი დაეხმარა ნელის, რომ ერთ-ერთ უმსხვილეს გაზეთში, „ნიუ-იორკ უორლდში“ დაეწყო მუშაობა, რომელიც მილიონერ ჯოზეფ პულიცერს ეკუთვნოდა.

ახალ ადგილზეც მან უარი განაცხადა ელიტარული ქრონიკების გაშუქებაზე. მაშინ მთავარმა რედაქტორმა შესთავაზა, გაეკეთებინა რეპორტაჟი ქალთა ფსიქიატრიული საავადმყოფოდან.

მოგვიანებით ბლაი დაწერს: „მე ვცდილობდი, ყველაფერი გამეხსენებინა, რაც სულით ავადმყოფების შესახებ ვიცოდი. პირველ რიგში, ფართოდ გახელილი თვალები. და მე ვცდილობდი, ისე ფართოდ გამეხილა თვალები, როგორც შესაძლებელი იყო და თან, არ დამეხამხამებინა“.

ექიმებს ეჭვიც არ შეპარვიათ, რომ ის ავადმყოფი იყო და „უსახლკაროთა თავშესაფრის ბინადარი“ კუნძულ ბლეკუელის სამკურნალო დაწესებულებაში გააგზავნეს. იქ გატარებული ათი დღის შედეგად ნელიმ გააკეთა რეპორტაჟების სერია იმ დამცირებების შესახებ, რასაც სამედიცინო პერსონალი პაციენტებზე ახორციელებდა. სტატიების პუბლიკაციისა და შემდგომში წიგნის „10 დღე საგიჟეთში“ გამოსვლის შემდეგ სკანდალი აგორდა და ჯანდაცვის მინისტრს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ის როგორმე ჩაეფარცხა.

ფაქტის ლიტერატურა

1888 წელს ნელის ხელში ჩაუვარდა სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანი ფილეას ფოგის თავგადასავლების შესახებ და ქალიშვილს იდეა გაუჩნდა, არამხოლოდ ემოგზაურა დედამიწის გარშემო, არამედ მოეხსნა გმირების მიერ დამყარებული რეკორდიც. ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინა კიდევ ერთმა გარემოებამ: ჟიულ ვერნი თავის ნაწარმოებს გაზეთ „ლე ტანის“ საკვირაო გამოცემებში აქვეყნებდა, როგორც რეალური პიროვნების მიერ დაწერილ რეპორტაჟებს. ჟურნალისტიკის ამგვარი ჟანრი ნელი ბლაისთვის ფრიად მისაღები გახლდათ.

პულიცერმა, მოისმინა რა შეთავაზება, მიხვდა, რომ ეს იყო გაზეთის ტირაჟის გაზრდის შესანიშნავი შანსი და დათანხმდა პროექტის დაფინანსებაზე. ნელიმ დაიწყო გემებისა და მატარებლების განრიგის შესწავლა და მარშრუტის შემუშავება. ამგვარად, 1889 წლის 14 ნოემბერს 9 საათზე, 40 წუთსა და 30 წამზე, რაც ოფიციალურ ოქმში დაფიქსირდა, ლაინერმა „ავგუსტა ვიქტორიამ“ კურსი ნისლიანი ალბიონის ნაპირებისკენ აიღო.

როდესაც ლა-მანშის გადაცურვის შემდეგ მოგზაური ქალბატონი, რომლის ეკიპირება მხოლოდ წყალგაუმტარი უჯრედებიანი ლაბადისგან, თეთრეულითა და ტანსაცმლით სავსე საკვოიაჟისა და საათისგან შედგებოდა, რომელიც ნიუ-იორკის დროით მუშაობდა, საფრანგეთში აღმოჩნდა, გზას გადაუხვია და ამიენში შეიარა ჟიულ ვერნის სანახავად.

მწერალი ტელეგრამით იყო გაფრთხილებული მოგზაურის ჩასვლის შესახებ. იგი გაოცებული დარჩა, როცა თავგადასავალთა მაძიებელი არა მამაცი და ძლიერი მამაკაცი, არამედ მომხიბლველი ნაზი ქალიშვილი აღმოჩნდა.

იმ მომენტიდან მწერალი ყურადღებით ადევნებდა თვალს ნელის მარშრუტს, ეს ძნელი არ იყო, რადგან „უორლდისა“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე რეგულარულად იბეჭდებოდა ბლაის რეპორტაჟი-ანგარიშები. როდესაც ის გზა გაანალიზა, რომლითაც ლიტერატურული გმირი მოგზაურობდა, ნელიმ უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანა მასში, რამაც დროის დაზოგვის საშუალება მისცა.

კერძოდ, ბლაიმ უარი თქვა ტრანსკონტინენტურ გადაცურვაზე და იგი პორტებში სხვადასხვა გემებზე ხშირი გადაჯდომით ჩანაცვლა. გათვლა სწორი აღმოჩნდა, საბედნიეროდ, ქარიშხლებმა გავლენა ვერ მოახდინეს მოგზაურობის განრიგზე.

აი, ამგვარად, როდესაც ბლაიმ გაიარა მარშრუტი: სუეცი-ცეილონი-სინგაპური-ჰონკონგი-იოკოჰამა, მოგზაურობის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ იგი სან-ფრანცისკოში ჩავიდა, სადაც პულიცერის მიერ სპეციალურად დაქირავებული მატარებელი ელოდებოდა, რომელიც დიდი სიჩქარით გაემართა ნიუ-იორკისკენ. სწორედ აქ, „უორლდის“ რედაქციაში დააფიქსირა კომისიამ მოგზაურობაზე დახარჯული დრო — 72 დღე, 6 საათი, 10 წუთი და 11 წამი. ამგვარად, ფილეას ფოგის რეკორდი მოიხსნა!

ბლაის, როგორც ნაციონალურ გმირს, ისე შეხვდნენ. გულაჩუყებულმა ჟიულ ვერნმა რედაქციაში დეპეშა გაგზავნა: „მე არასოდეს მეპარებოდა ეჭვი ნელი ბლაის წარმატებაში. მან დაამტკიცა თავისი შეუპოვრობა და სიმამაცე. ვაშა მას!“

ბედისწერის ზიგზაგები

მოგზაურობის დასრულების შემდეგ ნელი დიდების მწვერვალზე აღმოჩნდა, რაც მისი წიგნის — „72 დღე დედამიწის გარშემო“ — გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გამყარდა.

შემდგომ ჟურნალისტმა ქალბატონმა ორჯერ გააუმჯობესა საკუთარი რეკორდი, როდესაც დედამიწის გარშემო ჯერ 67, შემდეგ კი 66 დღეში იმოგზაურა.

1895 წელს ნელი ცოლად გაჰყვა მრეწველ-ნილიონერს რობერტ სიმანს, დაიკავა მისი კომპანიის პრეზიდენტის პოსტი, რომელიც ფოლადის ქვაბებს აწარმოებდა და დიდი ქონების მფლობელი გახდა.

სამწუხაროდ, 1904 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, კომპანია ცუდი ხელმძღვანელობისა თუ მმართველის არაკეთილსინდისიერი ქმედების — ქურდობის გამო მალე გაკოტრდა და ამერიკის ერთ-ერთი პირველი ბიზნეს-ლედი იძულებული გახდა ჟურნალისტიკაში დაბრუნებულიყო და ქველმოქმედებით დაკავებულიყო.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა